ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“ +
„ქართული მწერლობის საუნჯე“
პირველი ტომი
8 ლარი

ოთხშაბათი, 19 სექტემბერი, 2011 №222 (5602) ფასი: 30 თეთრი

# მერაბიშვილი უგულავა-ბოკერიაზე კომპრომატებს აგროვებს



## ალასანიას პრემიერ-მინისტრად ამზადებენ?

გვ.2





## კოკოითი უკვე ნათესავებს დაერია

გვ.3

სამხრეთ ოსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი უკვე 15-მა ადამიანმა გამოთქვა

## დეპუტატები ვერა ქობალიას დასჯას ითხოვენ

გვ.7

## მანანა ნაჭყებია: „ნაციონალები უმცირესობაში უნდა დავტოვოთ“

გვ.4





## არჩილ გეგეშიძე: „გაერთიანების გარეშე ოპოზიცია წარმატებას ვერ მიაღწევს“

გვ.6

## ილია II: „ჩვენ ჩვენს გულში უნდა ჩავიხედოთ“

გვ.3





## ტარიელ ფუტკარაძე: „ვილაცებს სურთ, ტაო-კლარჯეთის წარმოშობა დაამახინჯონ“

გვ.6

## პანკისის ხეობაში პროტესტის ნიშნად დღეს სკოლა და საბავშვო ბაღი არ იმუშავებს

გვ.5





## როგორ ხვდებიან მძღოლები „სითი პარკის“ მახეში

გვ.5

3090
sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 3090 მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

2 არჩევნებისთვის რესპუბლიკელები ირაკლი ოქრუაშვილთან გაერთიანებას გეგმავდნენ

4 ქართული პროდუქტების საპატენტო ნიშანი რუსეთის ტერიტორიაზე არ იმოქმედებს

6 „ეროვნული ფორუმი“ „ქართველთა მარშის“ მარშრუტს დღეს გამოაქვეყნებს

2 ახალი წიგნის შესაძენად მოსწავლეები ძველ სახელმძღვანელოებს ყიდიან

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

შედით საიტზე atb.ge



# მერაბიშვილი უგულავა-ბოკერიაზე კომპრომატებს აგროვებს

ქეთი ხომერიკი

ქართული პოლიტიკური სპექტრი უკვე კარგა ხანია, რაც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. უკვე 6 წელზე მეტია, რაც ერთი და იგივე ადამიანები ერთმანეთთან არკვევენ ურთიერთობებს, არჩევენ საქმეებს, დაუსრულებლად აბრალებენ ერთმანეთს ზოგი სააკაშვილისა და ზოგი მერაბიშვილის კოლაბორანტობას და ა.შ. არ გვინდა, ისე წარმოვაჩინოთ, თითქოს ქვეყნის ხერხემლად წოდებული შინაგან საქმეთა მინისტრი მერაბიშვილი ზის და გულშემოყრილი ფიქრობს — მართლა და რომელია ჩემი ინტერესების გამტარებელიო... სრულიად ლოგიკური იქნებოდა, თუ მთელ პოლიტიკურ სპექტრში თავისი ხალხი ეყოლებოდა უშიშროებას, მაგრამ უკვე ნამეტანია და სასაცილო ხდება იმ ხალხის მეტი რაღა ვთქვა და მანჭვა-გრეხა, რომლებსაც ძალიან უნდათ, თავი გენიალურ პოლიტიკოსებად და ხალხზე მზრუნველი და მოამაგის იმიჯით წარმოაჩინონ, მაგრამ, ფიცის კი გვწამს, ოღონდ, აი, ბოლოსი კი რა მოგახსენოთ, ნამდვილად, გვაკვირვებს.


ირაკლი ალასანია

„ახალი თაობის“ კონფიდენციალური წყაროს ცნობით, სერიოზული ძალთა გადაჯგუფება მოხდა ზაფხულში იმ ვარაუდით და იმ მიზნით, რომ სექტემბერში რაღაც აქციებისმაგვარი უნდა დაწყებულიყო. იყო კიდევაც ორიოდე უნიჭო მცდელობა, მაგრამ განსაკუთრებული არაფერი მოჰყოლია ამ ამბავს, მეტიც, საქმე ისე წავიდა, 500 კაცი მოვიდოდა თუ არა აქციაზე, ესეც კი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა და აქციობანა ოქტომბრისთვის გადაიდო. იქით ოპოზიციურმა ექვსიანმა საარჩევნო გარემოზე მუშაობაც, ასე ვთქვათ, დაასრულა, ვერც ვერავითარი შედეგი მიიღო და არც მოლაპარაკების პროცესს ამთავრებენ, არც საზოგადოებას ამცნობენ, საერთოდ ეს პროცესი რატომ დაიწყო, რატომ იკრიბებიან სერიოზული სახეებით, რაზე მუშაობენ საერთოდ და მუშაობენ თუ არა. აი, ოპოზიციური ექვსიანისგან განსხვავებით, ქდმ რაღაცას ფაფხურობს. მაგალითად, ინგა გრიგოლიამ სოფელ სააკაძეში სკოლის დახურვა სერიოზულად გააპროტესტა (დიახ, დიახ, თბილისის საკრებულოს წევრმა ქალბატონმა ინგა გრიგოლიამ სოფელ სააკაძეში)! ამით ალბათ იმისი თქმა უნდოდა, სააკაშვილი თუ სააკაძეში სკოლის დახურვას არ აპროტესტებს, რომელიმე სხვა სოფელში აბა რა მოხდებაო... ქდმ-მ, ეტყობა, სამსახურიდან გაყრილ პედაგოგებთან დაიწყო მუშაობა — მშვენიერი აზრია. თუ მართლა საქმის გაკეთება უნდათ, სკოლებშიც უნდა შევიდნენ და მოქმედ პედაგოგებთან დაამყარონ კავშირი. ბოლოს და ბოლოს, არჩევნების 90% სკოლებში ტარდება ხოლმე და რაღა უმუშევრად დარჩენილი მასწავლებლები უნდათ? მით უმეტეს, რომ მმართველი პარტია დიდი სიამოვნებით მიაბამდა უმუშევრად დარჩენილ მასწავლებლებს, რომელიღაც ფსევდოოპოზიციურ გაერთიანებას... რა თქმა უნდა, მხედველობაში არ გვინდა იმის მიღება, რომ ქდმ კარგა ხანია, რაც ნაციონალური მოძრაობის საქვეუწყებო დაწესებულებად მოიაზრება მთელ საზოგადოებაში.

კიდევ უფრო საინტერესოა თვით ნაციონალური მოძრაობის შეხედულებები იმ საკითხზე, თუ რით აპირებენ გამოსავლის მოძებნას შექმნილი სიტუაციიდან. არადა, ძალიან ლოგიკური იქნებოდა ახალი სამთავრობო კარუსელის დატრიალება. ბოლოს და ბოლოს, ძალიან ბევრი ისეთი რამ მოხდა განათლებაში, რაც სჯობს, რომ შაშკინს დაბრალდეს, შაშკინს გადაიყვანენ და მის ადგილას მოვა ახალი შაშკინი. იმავე წყაროს ცნობით, შაშკინს აქვს ძალიან მყარი პოზიციები და მას ასე ადვილად არავინ შეეხება. მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა განათლებამ ბევრი წააგო შაშკინისნაირი მინისტრის ხელში, შესანიშნავად ახერხებს მანევრირებას პრეზიდენტის დედისა და გიგი თევზაძეს დაჯგუფებას შორის, პლუს ყველაფერ ამას გასათვალისწინებელია, რომ თვით თეა თუთბერიძეც კი არ არის უკმაყოფილო შაშკინის მოღვაწეობით. პრეზიდენტის კადრები შეიძლება პანტაპუნტით ტოვებენ თანამდებობებს, მაგრამ პრეზიდენტის დედის — ნურას უკაცრავად.

## ალასანიას პრემიერ-მინისტრად ამზადებენ?

ასევე ერთობ საინტერესოა ძალოვან ფრონტზე არსებული დაპირისპირებები. იმავე წყაროს მტკიცებით, შინაგან საქმეთა სამინისტროში წმენდა იწყება — ბოლოს და ბოლოს, ხომ არ შეიძლება, უშიშროება საერთოდ არ ჰყავდეს ქვეყანას და მხოლოდ პოლიციის იმედად იყოს (ან, პირიქით, მარტო უშიშროება ჰყავდეს და პოლიცია არა) ან ორივე ოღონდ გაიყოს. ჩვენი წყაროს თქმით, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის დონეზეც კი შეიძლება მოხდეს საკადრო ცვლილებები. ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, ორმაგი აგენტებით არის სავსე შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთი განყოფილებაო. არადა, მერაბიშვილი სერიოზულად იმყარებს პოზიციებს ბოკერია-ადეიშვილ-უგულავას ჯგუფთან შესაძლო დაპირისპირებისთვის. ეს დაპირისპირება უკვე დაწყებულია. წყაროს მტკიცებით, დიდი ხანია, რაც პროკურატურის მიერ ჩხრეკისას ამოღებული მანქანები შინაგან საქმეთა სამინისტროს სადგომებზე დგანან — ასეთ დონეზე არ უწევს ანგარიშს პროკურატურას პოლიცია. გასაგებიც არის — როცა პირველი პირები დაპირისპირებულნი არიან, იქ ყველამ უნდა დაიცვას დაპირისპირების კანონები. რა თქმა უნდა, ადეიშვილ-ბოკერია-უგულავას დაჯგუფებასთან მერაბიშვილის დაპირისპირება გვაქვს მხედველობაში. რა ვერ გაიყვეს ამ მერაბიშვილმა და ბოკერიამო, იკითხავს საზოგადოება, დარჩა კი რამე გასაყოფიო? ჩვენი კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, ხელისუფლების გადაცემის რამდენიმე მოდელი არსებობს. მერაბიშვილს თავისი საკუთარი მოდელი გააჩნია, რომელიც, რა თქმა უნდა, არ ემთხვევა ბოკერიასა და ადეიშვილის მოდელს. ერთ შემთხვევაში ბაქრაძეზეა საუბარი, მეორე შემთხვევაში კი — უგულავაზე. ჰოდა, სააკაშვილი პრემიერ-მინისტრად და მარიონეტი პრეზიდენტად არც ისე ჭკვიანურია. ამიტომაც თვლის მერაბიშვილი ხელისუფლების შესანარჩუნებლად ბაქრაძის ტიპის პოლიტიკოსზე, თანაც დაპირისპირებაც არ იქნება საგრძნობი — ვინ ჰყავს სააკაშვილს ბაქრაძეზე ერთგული...


ვანო მერაბიშვილი

რაც შეეხება უგულავას პრეზიდენტობას, აქ საქმე გაცილებით უარესადაა. ჩვენი წყაროს მტკიცებით, შეიძლება მართლაც საჭირო გახდეს სააკაშვილისთვის რაღაცების დაბრალება და შევარდნაძესავით მშვიდად და წყნარად კრწანისში კი არ იცხოვრებს, შეიძლება, სულ სხვა ადგილას მოუწიოს ცხოვრება ციხეში. და უგულავა ამის გამკეთებელი ნამდვილად არის. ამიტომ არის აქ უფრო საინტერესო თვით სააკაშვილის მოსაზრებები და არა მხოლოდ მისი, ასე ვთქვათ, ა.წ. უკვე ოპონენტებისა.

ისე არ უნდა იქნეს ეს ჩვენი სტატია გაგებული, რომ მსუბუქი ირონიით ვუყურებთ ყველაფერ ამას. საქმე ის გახლავთ, რომ ხელისუფლების ეს გადაცემა ისეთ გარნირში უნდა იქნეს ჩაწყობილი და ისეთი სოუსი უნდა მოესხას, რომ ხალხმა ეს დაიჯეროს, თორემ არჩევნებზე თუ 100 კაციც არ მივიდა, ვინც გინდა, ის იყოს პრეზიდენტი, რა მნიშვნელობა აქვს, არა? გარდა ამისა, ამერიკელებთან სალაპარაკოდ ხომ არის კაცი საჭირო? აი, აქ კი საქმე უკვე სერიოზულად გვაქვს — ჯერ ერთი, თვითონ ბოკერიაც სერიოზულ მოთამაშედ აღიქმება ამერიკელების მხრიდან და მეორე, რა თქმა უნდა, ირაკლი ალასანია შერისხული პრეზიდენტის მიერ და საპრემიერმინისტროდ გამზადებული ხელისუფლების გადაცემის არა მერაბიშვილისეულ მოდელში. ამ გეგმის თანახმად, უგულავა პრეზიდენტად, ალასანია კი პრემიერ-მინისტრად უნდა მოგვევლინოს.

და რომელი ჯგუფი მოიგებს ამ ბრძოლას? ჩვენი კონფიდენციალური წყარო როგორც ამბობს, უგულავა-ბოკერია-ადეიშვილის დაჯგუფებაზე უამრავი კომპრომატი არსებობს, მათ შორის, ფინანსური და ეს კომპრომატები მერაბიშვილის მაგიდის სულ ქვედა უჯრაში ინახება, თანაც პრეზიდენტსა და მერაბიშვილს შორის არც შავ კატასა და არც პატარა კნუტს ჯერჯერობით არ გაურბენია. ასე რომ, მთელი ეს დაპირისპირება იმით არის საინტერესო, რომ ვირთხები გარბიან ჩასაძირად განწირული ხომალდიდან. ერთი სიტყვით, თუ წმენდით არ გაერთობა და პირდაპირ დაარტყამს ამ ჯგუფს, მაშინ გამარჯვების ძალიან რეალური შანსები აქვს მერაბიშვილს, თუ არადა... დასძინა წყარომ.

# ახალი წიგნის შესაძენად მოსწავლეები ძველ სახელმძღვანელოებს ყიდიან

ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად მშობლებისათვის, ახალი სახელმძღვანელოების ფასი კვლავ აქტუალურია.

როგორც „მედიანიუსს“ მეათე კლასის მოსწავლის მშობელმა განუცხადა, თბილისში წიგნების ბაზრობებზე სასკოლო სახელმძღვანელოების ფასი ძალიან მაღალია, კერძოდ ერთი საგნის სახელმძღვანელოს ფასი 15-20 ლარს აღწევს, მთლიანი წიგნების კონპლექტი კი 100 ლარზე მეტი ჯდება და ეს მაშინ, როდესაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა განაცხადა, რომ ახალ სასწავლო წელს, სასკოლო სახელმძღვანელოების ღირებულება 10 ლარს არ გადააააჭარბებდა, რეალურად კი სხვაგვარადაა. მშობლების განცხადებით, მათ მეორადი სასკოლო სახელმძღვანელოების ყიდვა ურჩევნიათ, რადგან მათი ფასი გაცილებით ნაკლებია, თუმცა მეორადი სასკოლო წიგნების გამოყენება, რიგ შემთხვევებში, შეუძლებელია, ამის მიზეზი კი ის არის, რომ ყოველ წელს ყველა კლასის სასწავლო პროგრამა იცვლება.

ეს დღეებია თბილისში, ვარკეთილის მეტროს ამოსასვლელთან სკოლის მოსწავლეები თუ მათი მშობლები მეორად წიგნებს ყიდიან ან ყიდულობენ.

მათი თქმით, მხოლოდ წინა წლის წიგნების გაყიდვის შემთხვევაში ექნებათ მათ საშუალება, ამ წლის სახელმძღვანელოები შეიძინონ, რადგან ახალი სახელმძღვანელოების ყიდვის ფინანსური საშუალება არ აქვთ.

ზოგიერთი მშობლის თქმით კი, მეორადი წიგნის ყიდვაც მათთვის პრობლემას წარმოადგენს, რადგან, როგორც წესი, წინა წლის წიგნები მეორე წელს ბავშვებს აღარ ადგება, ძველ წიგნებს კი ახალი სახელმძღვანელოების შეძენის მიზნით ყიდიან.

— იმ პირობებში, როდესაც ოჯახში რამდენიმე ბავშვია, ყველა სასკოლო სახელმძღვანელოს ყიდვა ძალიან გვიჭირს,— აღნიშნა „მედიანიუსთან“ საუბარში ერთ-ერთმა მშობელმა.

სასკოლო სახელმძრვანელოების სიძვირეს პოლიტიკური პარტიებიც აპროტესტებენ.

ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური მდივანი გიორგი გუგავა მიიჩნევს, რომ საქართველოში ანტიეროვნული, ანტისაგანმანათლებლო პოლიტიკა მიმდინარეობს.

როგორც „მედიანიუსს“ გუგავამ განუცხადა, სასკოლო სახელმძღვანელოების სრული კომპლექტის შესაძენად 150 ლარია საჭირო.

— მე მყავს მესამე კლასელი შვილი და იმისათვის, რომ წიგნების კომპლექტი შედგეს, 150 ლარია საჭირო. ახლა ვირეშმაკობენ, წიგნები დაყვეს რამდენიმე ნაწილად და აცხადებენ, რომ თითოეული წიგნი 10 ლარზე ნაკლები ღირს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, იმას, რომ უნდა შევიძინოთ, დამხმარე სახელმძღვანელო, რომელიც აუცილებელია, ასევე რვეული, რომელიც ამ წიგნს ახლავს, ამ შემთხვევაში საფასური გამოდის ბევრად მეტი, ვიდრე 10 ლარი, რიგ შემთხვევებში თითო სასკოლო დისციპლინაში სახელმძღვანელოს ფასი 15-20 ლარამდე ადის, — აღნიშნა გიორგი გუგავამ და დასძინა, რომ გარდა ამისა, მთლიანად შეიცვალა პირველიდან მეექვსე კლასამდე სასწავლო პროგრამა და შეიცვალა სახელმძღვანელოებიც, კერძოდ შარშანდელი სახელმძღვანელოები უვარგისია წლევანდელი წლისთვის, აქედან გამომდინარე, დაიბეჭდა წიგნების ახალი პარტია.

— ხელისუფლებისათვის ეს ყოველივე ბიზნესია. რასაც, დამატებით უზარმაზარი თანხა მოაქვს მათთვის. წიგნები ისეა დაბეჭდილი, რომ ავტომატურად ერთი და იგივე სახელმძღვანელოში უნდა გადაიხადო ბევრად მეტი, რადგან ერთი სახელმძღვანელო ორ-სამ ნაწილად გამოდის, რომელსაც თან შვიდ-რვა ლარიანი რვეულიც ახლავს. აქ იმის თქმა, რომ ადგილი აქვს სპეკულაციას და თავად წიგნების გამყიდველები აწესებენ ამ ფასს და არა განათლების სამინისტრო, მორიგი ტყუილია, — განაცხადა გუგავამ

მედიანიუსი

# არჩევნებისთვის რესპუბლიკელები ირაკლი ოქრუაშვილთან გაერთიანებას გეგმავდნენ

სკანდალურად ცნობილი პორტალი „ვიკილიქსი“ აქვეყნებს 2007 წლის 6 აგვისტოს საქართველოში აშშ-ს საელჩოდან ვაშინგტონში გაგზავნილ წერილს, სადაც საელჩოს თანამშრომელი მარკ პერი წერს, რომ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის რესპუბლიკელები ირაკლი ოქრუაშვილთან გაერთიანებას გეგმავდნენ.

წერილის მიხედვით 2007 წლის 19 ივლისს აშშ-ს ელჩთან შეხვედრაზე რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ მისი პარტია თავდაცვის ყოფილ მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილთან 2008 წლის არჩევნებისათვის საარჩევნო ბლოკის ჩამოყალიბებაზე ფიქრობდა. წერილის მიხედვით, საუბარი იყო თანამშრომლობაზე 50/50 სისტემით (არჩევნებში მოპოვებული საპარლამენტო მანდატები თანაბრად გაიყოფოდა). გარდა ამისა, რესპუბლიკური პარტიის ლიდერი მზად იყო შემდგომში, საპრეზიდენტო არჩევნებში ოქრუაშვილი საპრეზიდენტო კანდიდატად დაესახელებინა.


ირაკლი ოქრუაშვილი

უსუფაშვილი კოალიციაში ბადრი პატარკაციშვილთან თანამშრომლობის პერსპექტივასაც განიხილავდა.

წერილის მიხედვით, უსუფაშვილმა განაცხადა, რომ მის პარტიას ფინანსური დახმარება სჭირდებოდა, თავდაცვის ყოფილ მინისტრს კი ძლიერი ფინანსური რესურსები გააჩნდა. გარდა ამისა, უსუფაშვილის განცხადებით, ოქრუაშვილი ხალხშიც პოპულარული იყო.

— მიუხედავად ამისა, უსუფაშვილმა იცის, რომ ოქრუაშვილთან გაერთიანება სარისკო გადაწყვეტილებაა. მან თქვა, რომ ოქრუაშვილი ხელისუფლებაში ყოფნის დროს გაკეთებულ რამდენიმე განცხადებასა (მათ შორის სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით) და ქმედებას სააკაშვილის ბრძანებას უკავშირდებოდა. ოქრუაშვილმა ასევე, უარყო თავისი მონაწილეობა დეპუტატ გელაშვილის ქუჩაში ცემის საქმეში, — ვკითხულობთ წერილში.

წერილის მიხედვით, რესპუბლიკელებს ეშინოდათ, რომ ოქრუაშვილი თანაბარი პარტნიორი არ იქნებოდა და მათ გამოყენებას შეეცდებოდა. ისინი ფიქრობენ, რომ 2003 წელს მიხეილ სააკაშვილმა მათ უღალატა და არ სურთ იგივე მოხდეს, რადგან ორჯერ ასეთ სიტუაციაში ჩავარდნა სირცხვილია.წერილის თანახმად უსუფაშვილი ოქრუაშვილთან მოლაპარაკებების გამართვას სამომავლოდ კიდევ გეგმავდა.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

## ილია II: „ჩვენ ჩვენს გულში უნდა ჩავიხედოთ“

გუშინ სამების საპატრიარქო ტაძარში ტრადიციულ საკვირაო ქადაგებისას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II მრევლს საქართველოს მთიან რეგიონებში მცხოვრები გაჭირვებული ადამიანების დახმარებისკენ მოუწოდა.



როგორც ქადაგებისას პატრიარქმა ბრძანა, ვისაც აქვს საშუალება, ეკლესიაში მისვლისას შეუძლიათ ფქვილი, ზეთი და ღვინო მიიღონ. უწმინდესის თქმით, ეს სურსათი მთიანეთსა და საქართველოს სხვა, ძნელად მისადგომ ადგილებში მცხოვრებ ადამიანებს გაეგზავნებათ.

— ჩემი მოწოდების შედეგად დარიალის ხეობაში ახლად აშენებული ტაძარში მისულმა მრევლმა 300 ტომარა ფქვილი, ერთ ტონამდე ზეთი და 600 ლიტრი ღვინო მიიტანა, რომლებიც გაჭირვებულ ადამიანებს დაურიგდათ. გარდა ამისა, შესაწირი გაეგზავნა ზემო და ქვემო სვანეთში მცხოვრებ გაჭირვებულ ოჯახებს, ასევე, ლენტეხისა და ფშავ-ხევსურეთის მცხოვრებლებს. ჩვენ გვინდა დავეხმაროთ მთიანეთს. ამიტომ, როცა გექნებათ საშუალება და როცა მოდიხართ ეკლესიაში, შეგიძლიათ მოიტანოთ ფქვილი, ზეთი და ღვინო, — ბრძანა პატრიაქმა.

უწმინდესმა ქადაგებისას ადამიანის სულის მნიშვნელობაზე ისაუბრა და დასძინა, რომ ყველაზე დიდი სასწაული და საიდუმლო არის თავად ადამიანი.

— ადამიანი სასწაულს ეძებს სხვაგან, მაგრამ ვერ ხედავს ამ სასწაულს თავის თავში. ჩვენ უნდა ჩავიხედოთ ჩვენს გულში, ჩვენი გული არის ტაძარი სულისა წმინდისა, — აღნიშნა პატრიარქმა და დასძინა, ღმერთი მიდის ადამიანთან და ადამიანიც უნდა მივიდეს ღმერთთან.

**მედიანიუსი**

## რამაზ ნიკოლაიშვილმა ოზურგეთში განახლებული საავტომობილო გზა გახსნა

რეგიონული განვითარებისა და იფრასტრუქტურის მინსიტრმა რამაზ ნიკოლაიშვილმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეაბილიტირებული დვაბზუ-ბახვის 5 კმ-იანი საავტომობილო საავტომობილო გზა გახსნა. განახლებული გზით შვიდი სოფლის — ბახვის, ქვედაბახვის, ფამფალეთის, ვაკიჯვარის, ასკანას, მთისძირის და მშვიდობაურის მაცხოვრებლები სარგებლობენ. გზის გახსნას გურიის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებული ვალერი ჩიტაიშვილიც ესწრებოდა. რამაზ ნიკოლაიშვილი დგილობრივ მოსახლეობასაც შეხვდა და რაიონში არსებულ პრობლემებს გაეცნო. მისნისტრი ოზურგეთელებს პრობლემების მოგვარებას დაჰპირდა. დვაბზუ-ბახვის 5 კმ-იან მონაკვეთზე მოეწყო ხელოვნური ნაგებობები, კიუვეტები, სადრენაჟე არხები და ტროტუარები. მოსახლეობის თქმით აღნიშნული გზის საშუალებით ახლა უკვე 10 წუთზე ნაკლებ დროს ანდომებენ რაიონულ ცენტრამდე ჩასვლას, რაც მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**მედიანიუსი**

# კოკოითი უკვე ნათესავებს დაერია

*თეა მარხვაი ე*

ცხინვალში არჩევნების მოახლოებასთან ერთად პოლიტიკური ვითარება სულ უფრო მწვავდება. წინასაარჩევნო დაპირისპირებას საპარლამენტო კრიზისიც დაემატა.ძალაუფლების დაკარგვის საფრთხის წინაშე მდგარი კოკოითი კი უკვე საკუთარ ნათესავებსაც დაერია.

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ აგვისტოში სამმა პიროვნებამ სასტიკად სცემა ოს დეპუტატ ალიკ პლიევს. პროკურატურის ცნობით, მას ბოროტმოქმედები სახლში მიუვარდნენ. დამნაშავეები სასწრაფოდ დააპატიმრეს. ოპოზიციამ ეს პოლიტიკურ დევნად შეაფასა. რადგანაც ერთ-ერთი გამრტყმელი ალან კოჩიევი საპრეზიდენტო არჩევნებში აპირებდა მონაწილეობას. სხვათა შორის, ის ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც თქვა, რომ კენჭს იყრიდა. ახლა ეს კაცი, ციხეში ზის.

კოკოითიმ თავისი ახლო ნათესავი სწორედ ამ საქმეს გადააყოლა. საუბარია სამხრეთ ოსეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე მუხარ კოკოევზე, რომელიც სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტს ბიძაშვილად ერგება.

როგორც პორტალი „ეხო კავკაზა“ წერს, მუხარ კოკოევი არასდროს იყო დამჯერი ნათესავი. უფრო მეტიც, მოსამართლე კოკოევი თურმე ხშირად არად დაგიდევდათ ბიძაშვილის ხუშტურებს და ისეთი განაჩენი გამოჰქონდა, როგორიც თავად მიაჩნდა საჭიროდ.

ამჯერადაც ასე მოხდა, კოკოითის მოთხოვნის მიუხედავად, მან ცხინვალიდან გაუსვლელობის ხელწერილით პატიმრობიდან გაათავისუფლა ვინმე თემურ დოგუზოვი, რომელიც პრეზიდენტობის კანდიდატ ალან კოჩიევთან და ალექსანდრე კოტაევთან ერთად დეპუტატის ცემისთვის დააკავეს. სასამართლომ სამივე მათგანს პატიმრობა შეუფარდა.

ოსური მედიის ცნობით, დოგუზოვმა განაჩენი უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა, მისი საქმე მუხარ კოკოევმა განიხილა და დეპუტატის მცემელი პატიმრობიდან გაათავისუფლა.

ამ გადაწყვეტილებით აღშფოთებული დარჩენილა კოკოითი. მან თავგასული ბიძაშვილის დასჯა გადაწყვიტა. თავად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს ვერ მოხსნიდა. მისი მოხსნა პარლამენტს სთხოვა.

მოსამართლე კოკოევის საკითხი ჯერ საპარლამენო კომიტეტის სხდომაზე უნდა გასულიყო. დეპუტატების გამოუცხადებლობის გამო ეს სხდომა არ შედგა. ადრე თუ ისინი კოკოითის ნებისმიერ მოთხოვნას უსიტყვოდ ასრულებდნენ ახლა თავს იკავებენ, რადგანაც ყველამ კარგად იცის, რომ კოკოითი წასვლელია და ჯერ არავინ იცის, ვინ დაიკავებს პრეზიდენტის პოსტს. სავარაუდოდ სწორედ ამიტომ თქვეს ოსმა კანონმდებლებმა უარი კოკოითის მიერ წამოყენებული საკითხის განხილვაზე.

კომიტეტის სხდომა მართალია ჩავარდა, მაგრამ მუხარ კოკოევმა თანამდებობა მაინც დატოვა. მან თავად დაწერა განცხადება გადადგომის შესახებ. ამით მან ბიძაშვილი ალბათ ძალიან გაახარა. თუმცა მის მიერ გამოტანილმა განაჩენმა კოკოითი საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში ჩააგდო.

მუხარ კოკოევის მიერ გამოტანილ განაჩენს მნიშვნელოვანს უწოდებს სამხრეთ ოსეთის ყოფილი პროკურორი ახსარ კოჩიევი.

მისი თქმით, ამ გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ ის საქმე შეთითხნილია.

— მან პატიმრობიდან გაათავისუფლა ერთ-ერთი პიროვნება, რომელსაც სხვებთან ერთად დეპუტატ პლიევის ცემა ედება ბრალად. თუ ერთი მათგანი უდანაშაულოდ სცნეს, მაშინ გამოდის, რომ მასთან ერთად დაკავებული 2 პიროვნებაც უდანაშაულოა, — აცხადებს ყოფილი პროკურორი.

რაც შეეხება პატიმრობაში დარჩენილ ალან კოჩიევს, ის მოძრაობა „რუხს ფიდაენ“-ის დამფუძნებელია. როგორც რუსული და ოსური მედია წერს, მას საკმაოდ ბევრი ადამიანი უჭერს მხარს. ეს არა მისი, არამედ მამამისის დამსახურებაა. მისი მამა ცნობილი საველე მეთაური გრი კოჩიევი გახლავთ. ქართულ-ოსური კონფლიქტის მონაწილე ვეტერანების უმეტესობა პატიმრობაში მყოფ კანდიდატს უჭერს მხარს.




ამ არჩევნებში მონაწილეობს სურვილი ძალიან ბევრს გაუჩნდა. როგორც სააგენტო „რესი“ იუწყება, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის ცესკოს უკვე 15-მა საინიციატივო ჯგუფმა მიაკითხა. ცესკოს წარმომადგენელი მარინა ცხოვრებოვა დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტობის მსურველთა რიცხვი კიდევ გაიზრდება. ცესკოში განცხადების შეტანა მიმდინარე წლის 8 ოქტომბრამდეა შესაძლებელი. ოსებმა ცესკოს თუ ასეთი ტემპით მიაკითხეს, შესაძლოა ამომრჩეველი აღარ დარჩეს.

არ გამართლდა ვარაუდი, რომ ოპოზიციას ერთიანი კანდიდატი ეყოლებოდა. არჩევნებში რამდენიმე აქტიური ოპოზიციონერი აპირებს მონაწილეობის მიღებას. მათ შორის არიან ცნობილი ოსი ოლიგარქი ალბერნ ჯუსოევი, რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში ძამბოლატ თედეევი და განათლების ყოფილი მინისტრი ალა ჯიოევა.

მათი განაცხადები ისევე როგორც კიდევ 12 კაცისა, უკვე მიიღო ცესკომ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი არჩევნებში აუცილებლად მიიღებენ მონაწილეობას. ამ ეტაპზე ცესკო სწავლობს წესრიგში აქვთ თუ არა მათ საბუთები.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა იმას, ცხოვრობდნენ თუ არა ისინი ბოლო 10 წლის განმავლობაში სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. ეს მუხლი განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ კოკოითის მთავარი ოპონენტის, ძამბოლატ თედეევის წყალობით მოექცა.

ამ უკანასკნელს ბოლო ათი წელია ცხინვალში არ უცხოვრია. კოკოითი კი ყველაფერს აკეთებს, რომ მან არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღოს. იგივე ბედი შეიძლება გაიზიაროს მეორე ოპოზიციონერმა. საუბარია ალბერტ ჯუსოევზე, რომელიც ცოტა ხნის წინ თედეევთან ერთად უპირისპირდებოდა კოკოითის. ერთი შეხედვით ის აღარ აპირებდა ბრძოლას პრეზიდენტობისთვის. მას მხარი თედეევისთვის უნდა დაეჭირა. მაგრამ რაღაცის გამო მანაც გადაწყვიტა არჩევნებში მონაწილეობა. ახლა ცესკო დეტალურად სწავლობს მის საქმეს.

**სამხრეთ ოსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი უკვე 15 ადამიანმა გამოთქვა**

უახლოეს მომავალში შევა ცესკოში კოკოითის მემკვიდრის განაცხადი. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ერთი კვირის წინ თქვა, რომ მისი მემკვიდრე ან რესპუბლიკის გენპროკურორი თეიმურაზ ხუგაევი იქნებოდა, ანდა საგანგებო სიტუაციათა მინისტრი ანატოლი ბიბილოვი.

ცნობისათვის, ხუგაევი კოკოითების ნათესავად შეიძლება ჩაითვალოს. მას და კოკოითის ძმას დები ჰყავთ ცოლად. ჩვენებურად რომ ვთქვათ, სამხრეთ ოსეთის პირველი ძმა და გენპროკურორი ქვისლები არიან.

ანატოლი ბიბილოვს კი მოსკოვში ჰყავს სერიოზული „კრიშა“. როგორც რუსული მედია წერს, მას მხარს რუსეთის საგანგებო სიტუაციათა მინისტრი სერგეი შოიგუ უჭერს.

როგორც ჩანს, კოკოითიმ ძმის ქვისლს გენერალი შოიგუ ამჯობინა. ოსური სააგენტოების ცნობით, მან უკვე შესთავაზა არჩევნებში მონაწილეობა ანატოლი ბიბილოვს. ეს უკანასკნელიც დასთანხმდა პრეზიდენტს.

მისი კანდიდატურის წარდგენა ამ დღეებში უნდა მოხდეს. მის წარდგენას შესაძლოა გენერალი შოიგუც დაესწროს, რომელიც გავრცელებული ინფორმაციით 20 სექტემბრისთვის აპირებს ცხინვალში ჩასვლას.

თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კრემლი ბიბილოვის კანდიდატურას ღიად დაუჭერს მხარს. რუსი ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ როგორც აფხაზეთში, აქაც ნეიტრალური პოზიცია დაიკავოს მოსკოვმა. მით უმეტეს, რომ ამ არჩევნებში მონაწილე რამდენიმე პიროვნებას მოსკოვში ძალიან დიდი გავლენები აქვს. ამ მხრივ ყველაზე გამორჩეულები ალბერტ ჯუსოევი და ძამბოლატ თედეევი არიან.

ცხინვალის ხელისუფლებაცა და ოპოზიციაც შიშობენ, რომ არჩევნები შეიძლება სერიოზულ დაპირისპირებაში გადაიზარდოს. აგვისტოს დამლევს ჯუსოევმა არც სამოქალაქო ომი გამორიცხა.

— მოსახლეობაში ძალიან ბევრი იარაღია. ეს ძალიან საშიშია. არჩევნების დროს ნებისმიერი გაუგებრობა შეიძლება შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდოს, — განაცხადა ოპოზიციონერმა ოლიგარქმა.

მოსალოდნელი დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით მან საგანგებო ზომებიც მიიღო. ამ დღეებში მისი მოწვევით ვლადიკავკაზში გაიმართა ფორუმი „დემოკრატიული და მშვიდობიანი არჩევნებისთვის“. ფორუმში მონაწილეობის მისაღებად ყველა პოლიტიკური ძალა იქნა მიწვეული. მათ შორის ედუარდ კოკოითიც.

კოკოითიმ ფორუმზე დასწრება არ ისურვა. ეს, ოსური ოპოზიციის თქმით, იმას ნიშნავს, რომ მას მშვიდობიანი არჩევნები არ სურს. ჯუსოევი დარწმუნებულია, რომ კოკოითი ყველაფერს გააკეთებს თანამდებობის შესანარჩუნებლად.

ამაში ღრმად არის დარწმუნებული ძამბოლატ თედეევის საარჩევნო შტაბიც. ამ დღეებში შტაბის წევრებმა წარმოადგინეს დოკუმენტაცია, რომლითაც მტკიცდება, რომ თედეევი ბოლო წლებში ცხინვალში ცხოვრობდა. ისე ესეც კარგი ოხერია, რადგანაც ყველამ კარგად იცის, რომ ბოლო ათი წელი ის მოსკოვში იყო. ის რუსეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად 2001 წელს დაინიშნა. ვნახოთ, ვისი აჯობებს — მისი თუ კოკოითის.

მოდით, ისევ მოსალოდნელ სამოქალაქო დაპირისპირებას დავუბრუნდეთ. ვითარების განმუხტვის მიზნით თედეევი სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო დაცვის სამსახურის უფროსს, ელბრუს გაბაევს შეხვდა. როგორც პორტალი „უსამონგა“ იუწყება, თედეევმა დაცვის უფროსს შესთავაზა იმ ღონისძიებების გატარება, რომელიც, მისი აზრით, რესპუბლიკას სერიოზულ დაპირისპირებას აცილებდა თავიდან.

გაბაევის პირით ოპოზიციის ლიდერმა კოკოითის ისიც შეუთვალა, რომ არც ის და არც მისი მომხრეები ცხინვალში აქციების მოწყობას არ აპირებენ. ამის გარდა ისიც დააბარა, რომ კოკოითისთან მას პირადი მტრობა არა აქვს და ახლა მთავარი არჩევნების ნორმალურად ჩატარებაა.

თედეევი ასევე შეხვდა დეპუტატ ამირან დიაკონოვს. მასთანაც იმავეზე ილაპარაკა, რაც დაცვის უფროსთან. კოკოითისგან მას პასუხი მალე მოუვიდა. პრეზიდენტმა ყოფილ მეგობარს შეუთვალა „ცხინვალიდან დაახვიე და აქ აღარ დაგინახოს ჩემმა თვალებმაო“. თედეევი ამ მოთხოვნის შესრულებას არ აპირებს და როგორც მისი შტაბი ამბობს, ის ბოლომდე იბრძოლებს.

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ ცხინვალში საპარლამენტო კრიზისიცაა. ოსი დეპუტატების ერთი ჯგუფი პარლამენტის სპიკერის სტანისლავ კოჩიევის გადაყენებას აპირებს. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ცოტა ხნის წინ ტრაბახობდა, ჩემი აქტიურობა რომ არა, კოკოითი მესამე ვადით შეძლებდა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობასო.

## ანტიმონოპოლიური სამსახური მხოლოდ კომერციულ საიდუმლოს არ გასცემს

ე.წ. ანტიმონოპოლიურ სამსახურს მხოლოდ საიდუმლო ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება ექნება.

აღნიშნულ საკითხზე საუბარია თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ„ კანონპროექტში, რომელიც განსახილველად პარლამენტში უკვე შევიდა. კანონპროექტის თანახმად, „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების„ სააგენტო ვალდებული იქნება დაიცვას ეკონომიკური აგენტებისაგან მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც კომერციულ საიდუმლოებას შეიცავს. ასევე, დაიცვას იმ პირების პირადი მონაცემების კონფიდენციალურობა, რომლებიც წარმოადგენენ ინფორმაციის მიმწოდებლებს და მიმართავენ სააგენტოს თხოვნით, მათი პირადი მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ.

გარდა ამისა, იგეგმება კანონმდებლობაშივე გაიწეროს, თუ რა სახის ინფორმაცია არ შეიძლება იყო კონფიდენციალური. კერძოდ, პროექტის მიხედვით, განზოგადებული ინფორმაცია შესაბამისი ბაზრის შესახებ, ასევე, მონაცემები ეკონომიკური აგენტების რაოდენობის, მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების შესახებ არ შეიძლება იყოს კონფიდენციალური.

რაც შეეხება კონფიდენციალური ინფორმაციების დაცვას, დაუშვებელი იქნება სააგენტოში დასაქმებულთა მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება და გავრცელება, მათ შორის, პირადი მიზნით, აკადემიური, სამეცნიერო და სხვა საქმიანობისათვის. პროექტში ასევე ნათქვამია, რომ თუ სააგენტოს თანამშრომელი კომერციულ საიდუმლოებას გასცემს, მას მხოლოდ გააფრთხილებენ, ხელფასს დაუქვითავენ ან სამსახურიდან გაათავისუფლებენ.

კანონპროექტის განხილვა პარლამენტს ჯერ არ დაუწყია.

**ინტერპრესნიუსი**

## „სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს იმის გარკვევაც მოუწევთ, თუ ვინ არის რეგიონში მთავარი“

ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტის პრეზიდენტის, ევგენი სატანოვსკის განცხადებით, ახლო აღმოსავლეთში თურქეთი და ირანი ორ ძლიერ ალიანსს აყალიბებენ და ორივე მათგანი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს: საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს კვლავ თავის ისტორიულ პროვინციებად განიხილავენ.

როგორ სატანოვსკიმ „ნოვოსტი არმენიის“ განუცხადა, თურქეთის ტერიტორიაზე ნატოს რადარების განლაგებით ანკარამ მკვეთრად მიანიშნა, რომ იგი ევროპისა და აშშ-საგან დისტანციის დაჭერასა და ისლამისტური რესპუბლიკის ჩამოყალიბებას იწყებს.

— თურქთი ისლამისტურ რესპუბლიკად ყალიბდება. ანკარამ არა რევოლუციური, არამედ ევოლუციური განვითარების გზა აირჩია, — განაცხადა ექსპერტმა და დასძინა, რომ თურქეთი პოლიტიკური ისლამის სახელმწიფოა.

— ახლო აღმოსავლეთში ორი ძლიერი ალიანსი იქმნება თურქეთის და შიიტური ირანის მიერ. ორივე ქვეყანა თავის მეზობელ სახელმწიფოებს მათ შორის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს: აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოს თავის ისტორიულ პროვინციებად განიხილავენ ეს რეგიონი მათთვის გავლენის სფეროებს წარმოადგენს, — განაცხადა ექსპერტმა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ხელისუფლებებს ურჩია, ირანისა და თურქეთის საქმეებში არ ჩაერიონ.

— ესღა გვაკლდა, რომ ახლა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს თავისი პრობლემების მოგვარების პარალელურად, იმის გარკვევაც მოუწევთ, თუ ვინ არის რეგიონში მთავარი, — განაცხადა მან.

**მედიანიუსი**

# მანანა ნაჭყებია: „ნაციონალები უმცირესობაში უნდა დავტოვოთ“

ნათია ხურცილავა

**ახალი მემარჯვენეების ერთ-ერთი წევრის, მანანა ნაჭყებიას განცხადებით, 2012 წლის პარლამენტის დირიჟორი არა ნაციონალური მოძრაობა, არამედ ოპოზიციური კოალიცია იქნება.**

ინტერვიუ მანანა ნაჭყებიასთან:

— *ექსპერტები ამბობენ, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები განსაზღვრას ჩვენი ქვეყნის მომავალი თუნდაც ათწლეულის პოლიტიკურ ცხოვრებას...*

— ეს არის ძალიან სწორი და ადეკვატური შეფასება, რადგან 2012 და 2013 წლის არჩევნები მართლაც იქნება საეტაპო მნიშვნელობის ჩვენი ქვეყნისთვის, სწორად ამ დროს გადაწყდება, საქართველო განვითარდება დემოკრატიული გზით თუ არა. ამიტომ თვითონ დემოკრატიის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია პირველ რიგში საზოგადოებამ გააცნობიეროს მნიშვნელობა და ძალიან დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს არჩევნებს. რა თქმა უნდა, ხელისუფლებას ექნება მცდელობა, რომ არჩევნები ისევ ძველი მეთოდებითა და ხერხებით მოიგოს, მაგრამ დამერწმუნეთ, თუ საზოგადოების სურვილი იქნება, რომ ხელისუფლების ამ განზრახვას ხელი შეუშალოს, მაშინ დღეს არსებული გარემოც კი, რომელიც აუცილებლად შესაცვლელია უკეთესობისკენ იძლევა იმის საშუალებას, რომ საქართველოში გაკეთდეს რეალური არჩევანი, სწორი არჩევანი იმისთვის, რომ ქვეყანა დემოკრატიულად განვითარდეს.




— ***საზოგადოებაზე გააკეთეთ აქცენტები, რა უნდა გააკეთოს საზოგადოებამ იმისთვის, რომ ამ ქვეყანაში რეალურად შედგეს დემოკრატია და ჩავატაროთ დემოკრატიული არჩევნები?***

— ძალიან მნიშვნელოვანია საარჩევნო გარემო ქვეყანაში, დაწყებული საარჩევნო კოდექსით, მედია საშუალებებით, ასევე ხელისუფლების მცდელობა, რომ აუცილებლად უნდა გამოიყენოს ადმინისტრაციული რესურსი, ფინანსური რესურსი იმისთვის, რომ მან ერთპიროვნულ გამარჯვებას მიაღწიოს ხოლმე არჩევნებში, მაგრამ ეს ყველაფერი შეიძლება დასრულდეს იმით, რომ ხელისუფლებამ მაინც ვერ მოიგოს არჩევნები.

— ***რა შემთხვევაში?***

— თუ საზოგადოება გააცნობიერებს თავის მნიშვნელობას, ამ პირობებშიც კი, ძალიან ცუდ საარჩევნო გარემოშიც კი, ვიმეორებ თუ საზოგადოება მოინდომებს შესაძლებელი არის საარჩევნო ყუთთან მართლაც მოახდინოს მცირე სასწაული. გააკეთოს ისეთი არჩევანი, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულ მომავალს და დემოკრატიულ განვითარებას. რა არის ამისთვის საჭირო? ამისთვის საჭირო არის, საზოგადოების ნაწილი, რომელიც რაღაც გარემოებების გამო ემორჩილებოდა ხელისუფლების დიქტატს, ან მოსყიდული იყო ხოლმე, ან არ სჯეროდა გამარჯვების, ნიჰილიზმში იყო და ამბობდა, რომ მაინც ნაციონალური მოძრაობა გაიმარჯვებს და მე რატომ დავაყენო ჩემი თავი დარტყმის ქვეშ, საზოგადოების, უფრო სწორად კი ამომრჩევლის ამ ნაწილმა უნდა გააცნობიეროს, რომ მას მართლაც აქვს ძალა, რომ მისი ხმა იყოს გადამწყვეტი, მივიდეს საარჩევნო ყუთთან და გააკეთოს თავისუფალი და დამოუკიდებელი არჩევანი. თავისუფალი და დამოუკიდებელი არჩევანი კი ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მოგვცემს იმის საშუალებას, რომ პარლამენტში გავიდეს რამდენიმე პარტია, რომელიც შექმნის აუცილებელ ბალანსს, რომელიც ასე სჭირდება დღეს საქართველოს პარლამენტსა და ჩვენი ქვეყნის მომავალს. ეს არის და ეს, მეტი არაფერი. ამიტომ ვფიქრობ, რომ ბევრად უფრო ადვილია საარჩევნო ყუთებთან გამარჯვების მოპოვება, ვიდრე საპროტესტო აქციებისა და რევოლუციების შედეგად. დღეს არის ამის საშუალება.

— ***რა იძლევა ამის საშუალებას?***

— ის პროცესი, რომელიც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს. ეს პროცესი ალბათ უკვე პარლამენტში გადაინაცვლებს და საბოლოოდ მიიღებს საარჩევნო კოდექსის სახეს. ამის შემდეგ, ვფიქრობ, საზოგადოებამ არჩევნების მიმართ რწმენა უნდა დაიბრუნოს. დაიბრუნოს რწმენა იმისა, რომ მას შეუძლია მართლაც გადამწყვეტი როლი შეასრულოს თავისი ქვეყნის ისტორიაში. ამომრჩეველმა საზოგადოებამ უნდა გააკეთოს საკუთარი არჩევანი. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და ამავდროულად საკმაოდ მარტივად გადასაწყვეტი.

— ***საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მიმდინარე მუშაობას უკვე მიეცემა კანონის სახე, ფიქრობთ, რომ ეს საკმარისი იქნება ამომრჩევლის ნიჰილიზმის გასაფანტად? ეს განწყობები შეიცვლება?***

— მე ვფიქრობ, რომ უნდა შეიცვალოს. გახსოვთ, რა უძღოდა წინ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ შეთანხმებას, იყო ერთის მხრივ ოპოზიციის მოთხოვნები და მეორეს მხრივ ხელისუფლების შემხვედრი წინადადებები. ასევე გვქონდა ძველი, წარსულის გამოცდილება, როდესაც ოპოზიცია ითხოვდა ყველაფერს ან არაფერს. ჩვენ, ახალი მემარჯვენეები, შევეცადეთ, რომ დაგვენგრია ეს სტერეოტიპი „ყველაფერი ან არაფერი“ და ვთქვით, რომ ის, რასაც მივაღწიეთ უკვე არის გამარჯვება, ის, რასაც შეცვლის ეს საარჩევნო კოდექსი იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსახლეობას მიეცეს თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება თუ ამას თავად ამომრჩეველი მოინდომებს. სწორედ ამიტომ გადავდგით ეს ნაბიჯი, სწორედ აქითკენ მიგვყავს პროცესები. ვფიქრობ, ეს ყველაფერი იმით დაგვირგვინდება, რომ საზოგადოება ირწმუნებს არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლის აუცილებლობას. ეს არის დღეს მთავარი. ქართული დემოკრატიის ყველაზე დიდი მტერი ნიყილიზმი არის. ამომრჩევალმა უნდა დათრგუნოს თავის თავში ნიჰილიზმი.

## რატომ არ სჯერათ მემარჯვენეებს ქართველთა მარშის

— ***თუმცა, ამ პროცესს რამდენად შეუწყობს ხელს ეროვნული ფორუმის მიერ დაანონსებული ქართული მარში? თუ ეს არის პოლიტიკური პარტიის მიერ შემოდგომაზე პოლიტიკური ცხოვრების დაწყების სიგნალი?***

— ცხადია, ყველა პოლიტიკური პარტია ფიქრობს იაქტიუროს, მიიპყროს ყურადღება და საზოგადოების ნდობა დაიმსახუროს. რამდენადაც ვიცი, ეროვნული ფორუმის ლიდერებს არსად არ უთქვამთ, რომ ისინი ამ გზით აპირებენ ხელისუფლების შეცვლას. ისინი ამბობენ, რომ ჩვენ ამ გზით ვაპირებთ საზოგადოების მობილიზებას და ორგანიზებულობის შემოწმებას. ასე რომ, არაფერს ამაში განსაკუთრებულს არ ვხედავ. ეს არის ჩვეულებრივი ტაქტიკა, პოლიტიკური პარტიის. ძალიან კარგი იქნება თუ ისინი ამ გზას მიმათრავენ და ამ გზით დაიწყებენ თავიანთი პოლიტიკური პარტიისთვის და ქვეყნისთვის პოლიტიკური შემოდგომას. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისევ და ისევ გაგრძელდეს საქართველოში ასეთი მიდგომა, რომ თუ რომელიმე პოლიტიკური პარტია საქართველოში დააანონსებს, რომ აუცილებლად სხვა დანარჩენი პარტიები მას უნდა შეუერთდნენ. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. სწორედ აქიდან გამომდინარეა ის, რომ დღეს სხვა პოლიტიკური პარტიები ამბობენ, რომ მათ სხვა პოლიტიკური კალენდარი აქვთ. სხვა გეგმები აქვთ და მას განახორიცელებენ. ვფიქრობ, მთავარია ამ გეგმების ძირითადი მიზანი და ძირითადი დანიშნულება იყოს ამომრჩევლის მომზადება მართლაც მნიშვნელოვანი არჩევნებისთვის. შექმნას ფონი იმისა, რომ შეიძლება ამ ქვეყანაში ხელისუფლება არჩევნებით შეიცვალოს. ეროვნული ფორუმიც და სხვა პარტიებიც, შემოდგომიდან იწყებენ წინასაარჩევნო პერიოდს, პოლიტიკურ აქტივობას იმისთვის, რომ ამომრჩევლის ნდობა და პატივისცემა დაიმსახუროს.

— ***თქვენ ამ მოწოდებას აფასებთ ეროვნული ფორუმის წინასაარჩევნო სამზადისად?***

— რა თქმა უნდა. ბუნებრივია ეს არის პოლიტიკური აქტივობა. მათ ჩათვალეს, რომ ასეთი ტიპის პოლიტიკური აქტივობა მოუტანს მათ წარმატებას. სხვა პოლიტიკურმა ძალებმა შეიძლება ჩათვალონ, რომ სხვა ტიპის აქტივობა მოუტანს წარმატებას, ასე რომ, ამაში საოცარი და გასაკვირი არაფერია. ეს ასე ხდება ყველა სხვა დემოკრატიულ სახელმწიფოში და ასე უნდა ხდებოდეს საქართველოშიც. საბოლოო მიზანი არსი ამომრჩევლის გამოცოცხლება, მისთვის რწმენის დაბრუნება, მაგრამ თუ ასეთი ნაბიჯები იქნება მხოლოდ და მხოლოდ ცრუ დაპირება და მცდელობა იმის, რომ დაარწმუნოს ამომრჩეველი, რომ ამ გზით შეიძლება ხელისუფლების შეცვლა, რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცუდია, რადგან ნურავის ექნება ილუზია, რომ ასეთი მარშით შეიძლება ხელისუფლება შეცვალო. სწორედ ასეთი დაპირებების შეუსრულებლობა იწვევს ნიჰილიზმს, რაც ძალიან ცუდია. ამით არაერთხელ ვაგდებთ ამომრჩეველს ნიჰილიზმში. თუ ეროვნული ფორუმი იმ მიმართულებით განავითარებს მოვლენებს, რომ ეს იქნება მისი პოლიტიკური აქტივობა, პოლიტიკური სეზონის დასაწყისი ეს კარგია, მაგრამ თუ იქნება დაპირებები და მოლოდინი, რომ 27 სექტემბერს ყველა ქართველი გამოვა ქუჩაში და ამით დაამთავრებს სააკაშვილის ხელისუფლებას ეს იქნება ცრუ დაპირება და რა თქმა უნდა, ისევ და ისევ დათრგუნავს ამომრჩეველს.

— ***თქვენ ამბობთ, რომ ხელისუფლების ცვლილება მხოლოდ არჩევნების გზით არის შესაძლებელი?***

— პირველ რიგში, ნიჰილიზმი და ინდიფერენტიზმი, ეს განწყობა უნდა დასრულდეს ამ ქვეყანაში. არჩევნების მიმართ უნდობლობა უნდა დასრულდეს. ამას ძალიან სერიოზულად შეუწყობს ხელს საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანა. ერთ წელზე ცოტა მეტი წინასაარჩევნო პერიოდი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის, ქვეყნის პოლიტიკურ ძალას ექნება საშუალება, რომ ამომრჩეველს შესთავაზოს ის, რაც მას მიაჩნია ქვეყნის განვითარების უმთავრეს გზად. ბევრი პოლიტიკური პარტიაა საქართველოში, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ ტრადიციულად რამდენიმე მსხვილი პოლიტიკური პარტიაა, რომელსაც შეუძლია ამომრჩევლის ნდობა დაიმსახუროს. ვფიქრობ, დღეს, ამოცანა ნომერი პირველი, ყველა პოლიტიკური პარტიისთვის არის 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე უმცირესობაში დავტოვოთ ნაციონალური მოძრაობა. შეიქმნას მრავალ პარტიული პარლამენტი, რადგან ერთპარტიული დემოკრატია არ არსებობს. სამწუხაროდ, ჩვენ დღეს, სწორედ ერთპარტიული დემოკრატია გვაქვს. დარწმუნებული ვარ, რომ ახალი მემარჯვენეები, რამდენიმე მსხვილი პარტია აუცილებლად შევა 2012 წლის პარლამენტში და შემდეგ უკვე მათ გონიერებაზე და პასუხისმგებლობაზე არის დამოკიდებული მოვლენების შემდეგი განვითარება. შეიძლება ფიქრი ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიათა კოალიციაზე, რომელიც შექმნის იმის გარანტიას, რომ მთავარი დირიჟორი პარლამენტში იყოს არა ნაციონალური მოძრაობა, არამედ პოლიტიკური პარტიების ერთობა, რომელიც ერთპიროვნულ გადაწყვეტილება კი არ მიიღებენ ვიღაცის დაკრულზე, არამედ პასუხისმგებლობით ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე.

## საქართველოს მონაკოს პრინცი ეწვია

მონაკოს პრინცი ალბერ მეორე საქართველოს მეორედ ეწვია. იგი ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში გუშინ 14.00 საათზე ჩამოფრინდა, რის შემდეგაც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ერთად მესტიაში გაემგზავრა. სვანეთში იგი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს დაათვალიერა, რომელსაც იუნესკოს ეგიდით იცავენ. მესტიიდან ის კვლავ ბათუმში ჩავიდა, სადაც სპექტაკლ „ქეთო და კოტეს“ წარმოდგენას დაესწრო. მონაკოს პრინცი დღეს ბაკურიანში გამეგზავრება, სადაც ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ტრაგიკულად დაღუპული ქართველი მოციგავის, ნოდარ ქუმარიტაშვილის ხსოვნას მიაგებს პატივს. დღესვე დაგეგმილია მისი ვიზიტი ყვარელში.

მონაკოს პრინცი რთველში მიიღებს მონაწილეობას, შემდეგ კი დმანისში გაემგზავრება და ცნობილ არქეოლოგიურ გათხრებს დაათვალიერებს. ხვალვე იგი თბილისს ეწვევა, სადაც ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ოფისისა და ოლიმპიური მუზეუმის გახსნას დაესწრება, შემდეგ კი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გადაინაცვლებს.

ალბერ მეორე თბილისს 20 სექტემბერს დატოვებს.

მედიანიუსი

## ქართული პროდუქტების საპატენტო ნიშანი რუსეთის ტერიტორიაზე არ იმოქმედებს

ადვოკატ ალექსანდრ ქრისტოფოროვის განცხადებით, ქართული საპატენტო უწყების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ეროვნული ბრენდის ხარისხი ათზე მეტ ქართულ კერძს მიენიჭა, მათ შორის ხაჭაპურსა და „ჭაჭას“, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ იმოქმედებს. ამის შესახებ რუსული მედია იუწყება.

ქრისტოფოროვის განცხადებით, ქართველ კანონმდებლებს შეუძლიათ როსპატენტს მიმართონ და რუსულ საპატენტო უწყებასთან განიხილონ აღნიშნული საკითხი. მისი თქმით, გაუგებარია, კონკრეტულად რა ქმედება განახორციელა ქართულმა საპატენტო უწყებამ- დააპატენტა პროდუქტის რეცეპტი, დაარეგისტრირა საბაზრო ნიშანი, თუ პროდუქტის წარმომავლობის ადგილი. შეგახსენებთ, რომ საქპატენტმა ეროვნული ბრენდის ხარისხი ათზე მეტ პროდუქტს მიანიჭა, მათ შორის ყურძნის არაყს (ჭაჭას), ჩურჩხელას, სულგუნს, ხაჭაპურს და მაწონს.

მედიანიუსი

# თიბისი ბანკი თავის მეანაბრეებს ახალ თამაშს სთავაზობს

შორენა გონგლა ე

თიბისი ბანკი თავის მომხმარებელს კიდევ ერთ ორიგინალურ ახალ თამაშს სთავაზობს. ის, ვინც 15 სექტემბრიდან 1 ნოემბრამდე თიბისი ბანკში გახსნის ანაბარს, მიიღებს +1 პროცენტიან სარგებელს და მიეცემა რეალური შანსი, შეტანილი თანხა 20 ათასი დოლარით გაზარდოს.



ახალ ინტელექტუალურ თამაშში ჩართვა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. 20 ათასი დოლარის მოგების რეალური შანსი ნებისმიერს აქვს. ეს ის საპრიზო თანხაა, რომელიც თიბისი ბანკის ანაბრების წინა თამაშის „იპოვე 10.000“-ის მთავარი გმირის, ედმონდ აბაშიძის სახელით თიბისი ბანკმა ამჯერად დააწესა მეანაბრეებისათვის.

ახალ თამაშში საპრიზო თანხა გაორმაგდა და 20 ათასი დოლარი შეადგინა, ხოლო თამაშმა უფრო სახალისო ხასიათი შეიძინა და ვიქტორინის პრინციპზეა აგებული. გათამაშების კითხვების ავტორი თავად კამპანიის სარეკლამო რგოლის გმირი ედმონდ აბაშიძეა. იგი თიბისი ბანკის ახალ მეანაბრეებს სთავაზობს, სახლიდან გაუსვლელად, ყოველგვარი სირთულის გარეშე ინტერნეტის საშუალებით ჩაერთონ თამაშში, გამოიცნონ 34 შეკითხვა მათივე არჩეული 10 სხვადასხვა თემიდან და მოიგონ ბანკის მიერ დაწესებული პრიზი. 20 ათასი აშშ დოლარი ერგება მას, ვინც დასმულ კითხვებზე სწორი პასუხის გაცემას ყველაზე ნაკლებ დროს მოანდომებს.



თამაშში ჩართვისათვის კი საჭიროა თიბისი ბანკში მინიმუმ 1000 აშშ დოლარის ვადიანი ან ვადიანი+ ანაბრის გახსნა. მეანაბრეს ანაბრის გახსნისთანავე გადაეცემა პერსონალური კოდი, რომლის საშუალებითაც ის ჩაერთვება თამაშში. თამაში 21 ოქტომბერს დაიწყება სპეციალურად შექმნილ ვებ-გვერდზე www.tbcdeposits.ge. სწორედ ამ დღიდან ამ საიტზე პერიოდულად დაიდება შეკითხვები, რომლებზეც პასუხის გაცემა მეანაბრეს პერსონალური კოდის გამოყენებით, მისთვის ხელსაყრელ ნებისმიერ დროს შეეძლება. მას, ვინც ყველაზე მეტ საზრიანობას, სისწრაფესა და მონდომებას გამოავლენს, გამოიცნობს სხვადასხვა თემატურ შეკითხვას, სრულიად კონფიდენციალურ სიტუაციაში ელოდება არაჩვეულებრივი შანსი, დაისაკუთროს 20 000 აშშ დოლარი.

მაშ ასე, განათავსეთ მინიმუმ 1000 დოლარი თიბისი ბანკის ვადიან ან ვადიან+ ანაბარზე 31 ოქტომბრამდე, მიიღეთ +1 პროცენტი სარგებელი და პერსონალური კოდი დაუვიწყარი თამაშის დასაწყებად!

პირველი შეკითხვა 21 ოქტომბერს გახდება ცნობილი. გამარჯვებულის გამოვლენის თარიღია 11.11.11 წ. 11:11 სთ.

## ბიწაძემ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი გაასაჩივრა

სასაზღვრო პოლიციის ყოფილმა შეფმა ბადრი ბიწაძემ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი გაასაჩივრა.

როგორც „პირველს“ ბიწაძის ადვოკატმა ლევან სამუშიამ განუცხადა, სააპელაციო საჩივარი სასამართლოში დღეს შევიდა და განაჩენს უშუალოდ მსჯავრდებული ბიწაძე ასაჩივრებს. მისივე თქმით, მსჯავრდებული სასამართლოს განაჩენს არ ეთანხმება და მის უდანაშაულოდ ცნობას მოითხოვს.

რაც შეეხება რომელიმე ქვეყნისთვის პოლიტიკური თავშესაფრის თხოვნის საკითხს, სამუშიას თქმით, ამ ეტაპზე გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

შეგახსენებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ ბიწაძეს, რომელსაც პოლიციაზე თავდასხმის ორგანიზებაში ედება ბრალი, თავისუფლების 5 წლითა და 6 თვით აღკვეთა მიუსაჯა.

**პირველი**

## ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის დაღუპვის ნამდვილი მიზეზების დადგენას ითხოვენ

არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართული აკადემია“ ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის დაღუპვის ნამდვილი გარემოებების დადგენას ითხოვს.

— მოვუწოდებთ საზოგადოებას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, პოლიტიკურ პარტიებს გამოიჩინონ სათანადო ნება, პრინციპულობა, გამონახონ მექანიზმები, რათა აიძულონ ხელისუფლება, დაიწყოს ამ ტრაგიკული ფაქტის მიუკერძოებელი გამოძიება და ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის დაღუპვის ნამდვილ გარემოებათა დადგენა, —აღნიშნულია „ქართული აკადემიის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„ქართული აკადემია“ მიიჩნევს, რომ საზოგადოებაში გავრცელებული ვარაუდი იმის შესახებ, რომ ნიკა კვინტრაძე და სულიკო ასათიანი 27 მაისის საპროტესტო აქციის დარბევის შემდეგ პოლიციელთა მსხვერპლნი გახდნენ და არა ელექტროსადენთან შეხებისა, როგორც ჩანს, დღეს თუ ხვალ დადასტურდება.

— ამას გვაფიქრებინებს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინიციატივით ექსპერტიზის ბრიტანული ბიუროს მიერ ჩატარებული კვლევა და დასკვნა, რომლის მიხედვითაც, დოკუმენტურად მტკიცდება — ნიკა კვინტრაძე აქციის დაშლის შემდეგ პოლიციელთა მიერ იყო დაკავებული. შესაბამისად, იგი სხვაგანაა დაღუპული და ამის შემდეგაა ცხედარი მიტანილი თავისუფლების მოედანზე მდებარე ერთ-ერთი მაღაზიის სახურავზე, —აღნიშნავენ „ქართულ აკადემიაში“ „ქართული აკადემიის“ განცხადებით, ხელისუფლების (მათ შორის, პარლამენტის ნაციონალური უმრავლესობის წევრთა) რეაქცია აღნიშნულ დასკვნაზე ტრადიციად დამკვიდრებული უპასუხისმგებლობით, ცინიზმითა და არგუმენტაციის უსუსურობით გამოირჩეოდა, ამ ტრაგიკულ ფაქტზე საზოგადოების რეაქცია კი ჯერჯერობით ასევე ტრადიციად დამკვიდრებული ხანმოკლე აღშფოთებითა და აჟიოტაჟით ამოიწურა. „ქართული აკადემია“ ხაზგასმით აღნიშნავს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ძალისხმევას და თანადგომას უცხადებს ამ ორგანიზაციას.

**მედიანიუსი**

# რატომ დააკავეს ყოფილი ჟურნალისტი

**თეა მარხვაი ე**

პანკისის ხეობა ისევ ყურადღების ცენტრში მოექცა. ამჯერად ეს ჩეჩენი ბოევიკებისა და რუსი ძალოვანების დამსახურებით არ ხდება. პანკისელებმა საპროტესტო აქციები, ყოფილი ჟურნალისტის შორენა ხანგოშვილის გათავისუფლების მოთხოვნით დაიწყეს.



საპროტესტო აქცია პანკისის ხეობაში

შორენა ხანგოშვილი, სამართლადამცავებმა რამდენიმე დღის წინ ახმეტაში, ავტოსადგურის ტერიტორიაზე დააკავეს. როგორც დაკავებულის ახლობლები ამბობენ, ის ახმეტაში საზღვარგარეთის პასპორტის ასაღებად იყო ჩასული. შორენას ნათესავები დარწმუნებული არიან, რომ ის მისი ძმის გამო დააკავეს. რომელიც საქართველოდან არის გაქცეული. მას მკვლელობაში ედება ბრალი.

დაკავებულის ახლობლები ეჭვობენ, რომ სამართალდამცავებს ფაქტიურად მძევლად ჰყავთ შორენა ხანგოშვილი და ასე ცდილობენ მისი გაქცეული ძმის საქართველოში ჩამოყვანას.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრი იუწყება, შორენა ხანგოშვილს პროკურატურამ ბრალად ნარკოტიკების შენახვა წაუყენა.

შსს-ს სოდ-ის თანამშრომლებმა შორენა ხანგოშვილი ახმეტაში, ავტოსადგურის ტერიტორიაზე დააკავეს. დაკავებულის ახლობლების განცხადებით, სამართალდამცავებმა დაკავებისას შორენა ხანგოშვილს ნარკოტიკი ჩაუდეს.კახეთის საინფორმაციო ცენტრმა დაკავების ერთ-ერთ თვითმხილველთან გასაუბრება მოახერხა.

— შორენა აფთიაქში იყო შესული. უკან სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული ორი კაცი შეჰყვა. გამოსვლისას აქეთ-იქით მხარზე ხელები წაუჭირეს. ხმაურზე ავტოსადგურის ტერიტორიაზე მდგომი ტაქსისტები მოგროვდნენ. უცბად სოდ-ის თანამშრომლები გაჩნდნენ, 25 კაცი მაინც იქნებოდა. შორენას გარს შემოერტყნენ. ხალხმა ჰკითხა, რაზე აკავებთო და ნარკოტიკებზეო, — აღნიშნავს თვითმხილველი.

პანკისის ხეობის მაცხოვრებლების თქმით, შორენა ხანგოშვილის დაკავება მის ძმას მუსლიმ ხანგოშვილს უკავშირდება, რომელსაც საქართველოს შს სამინისტრო რამდენიმე წელია ეძებს.

## პანკისის ხეობაში პროტესტის ნიშნად დღეს სკოლა და საბავშვო ბაღი არ იმუშავებს

— პოლიციას იმედი აქვს, რომ შორენა ხანგოშვილის დაკავების შემდეგ ძებნილი მუსლიმ ხანგოშვილი სამართალდამცავებს ჩაბარდება, — ვარაუდობენ დაკავებულის ახლობლები.

ყოფილი ჟურნალისტისა და ამჟამად ინგლისური ენის მასწავლებლის შორენა ხანგოშვილის გათავისუფლების მოთხოვნით გუშინ პანკისის ხეობაში საპროტესტო აქცია გაიმართა. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრი იუწყება, აქცია სოფელ დუისში გაიმართა და მასში მონაწილეობას 300 ადამიანი ღებულობდა.

პანკისის ხეობის მაცხოვრებლები გამოძიებას უნდობლობას უცხადებენ და საერთაშორისო ორგანიზაციებს დახმარებას სთხოვენ. აქციაში მონაწილეობდნენ მოსწავლეებიც, რომლებსაც შორენა ხანგოშვილი ინგლისურს ასწავლიდა. სოფელ დუისის მაცხოვრებლები კატეგორიულად გამორიცხავენ, რომ დაკავებულს დანაშაულთან რაიმე კავშირი აქვს.

ცნობისათვის, შორენა ხანგოშვილი „როდი სკოტის“ ფონდის თანამშრომელია, რომელიც ხეობაში საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს. როდი სკოტი ინგლისელი ჟურნალისტი იყო. მას საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი აქვს დამთავრებული ჟურნალისტიკის სპეციალობით და სხვადასხვა დროს კახეთის რეგიონულ გამოცემებში მუშაობდა. ის აქტიურად აშუქებდა პანკისის ხეობაში მიმდინარე მოვლენებს.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, შორენა ხანგოშვილის გათავისუფლების მოთხოვნით, პანკისის ხეობაში საპროტესტო აქციები გაგრძელდება. დღეს, 19 სექტემბერს, სოფელ დუისში საჯარო სკოლა და საბავშვო ბაღი არ იმუშავებს. პროტესტის ნიშნად, სკოლაში არც მოსწავლეები და არც მასწავლებლები არ მივლენ. 11:00 საათზე, დუისის ცენტრში საპროტესტო აქცია განახლდება. დღესვე, შორენა ხანგოშვილის მხარდასაჭერად, დუისში, როდი სკოტის მშობლები ჩავლენ.

შორენა ხანგოშვილის უდანაშაულობაში დარწმუნებულია ახმეტის საკრებულოს წევრი ზაქარია ქინქლაძეც.

— შორენას დიდი ხანია ვიცნობ. ვიცი, რომ ის ძალიან კარგი გოგოა და ასეთ რამეს არ გააკეთებდა. ამ საქმესთან დაკავშირებით რაც ითქვა მეტი არაფერი ვიცი. ახსენებენ ვიღაც სოდის თანამშრომელს. ამბობენ რომ მისი მოწყობილია ეს საქმეო. წარმოდგენა არა მაქვს ვისზეა საუბარი და რატომ უნდა გაეკეთებინა მას ეს, — განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ქინქლაძემ.

ახმეტის საკრებულოს წევრის თქმით, შორენა ხანგოშვილს ეკონომიურად უჭირდა. მას ნარკოტიკებთან რაიმე შეხება რომ ჰქონოდა ასე არ იქნებოდა.

— შორენა მარტო ზრდიდა ბავშვს. მის ოჯახს საკმაოდ უჭირდა. მას არასდროს უკადრია ასეთი რამის გაკეთება. მითუმეტეს ახლა არ იკადრებდა. მან ჯიპა დაამთავრა და ინგლისურს ასწავლიდა. საკმაოდ მაღალი ანაზღაურება ჰქონდა. ვიმეორებ, ასეთ რამეს არ იკადრებდა, ნამდვილად რაღაცაშია საქმე, — ამბობს ქინქლაძე.

# როგორ ხვდებიან მძღოლები „სითი პარკის“ მახეში

შვებულებების სეზონის დასრულება დედაქალაქს განსაკუთრებით იმით დაეტყო, რომ თბილისის ქუჩები კვლავ ავტომობილებით გადაივსო. პარკირების მსურველებს პიკის საათებში სერიოზული პრობლემები ექმნებათ, მანქანის დასაყენებელი ადგილი ჭირს! ქუჩებში შექმნილი ქაოსი აშკარად ხელს აძლევს „სითი პარკს“, რომლის თანამშრომლებსაც საქმე არ ელევათ, დამრღვევ მძღოლებს ათლარიან ჯარიმებს ურიგებენ და საჯარიმო სადგომზეც ბევრი მანქანა გადააქვთ.

ცნობილი ფაქტია, რომ პარკირების საფასური თბილისის მთავრობამ დაადგინა და ის ერთი წლის განმავლობაში 50 ლარს შეადგენს, 6-თვიანი ნებართვა 25 ლარი ჯდება, ხოლო ძირითადად დედაქალაქის სტუმრებისთვის არსებობს ასეთი ტარიფიც — 1 კვირაში 4 ლარი.

თანხის ბანკში გადახდის შემთხვევაში, ავტომფლობელს შეუძლია, მანქანა მთელი თბილისის მასშტაბით, პარკირების ნებისმიერ ადგილას, 24 საათის განმავლობაში გააჩეროს. აუცილებელი პირობაა, რომ პარკირებისათვის დადგენილი წესებიც არ იყოს დარღვეული. როგორც „სითი პარკში“ აცხადებენ, პარკირების წესების დარღვევის შემთხვევაში ჯარიმა 10 ლარია. ავტომობილი დაჯარიმებას იმ შემთხვევაში ექვემდებარება, თუ: არ არის გადახდილი პარკირების საფასური და ავტომანქანა დგას ფასიანი პარკირების ადგილზე; დარღვეულია დგომის მეთოდი; ადგილი აქვს ორმაგ პარკირებას; ავტომანქანა დგას სპეციალური პარკირების ადგილზე შესაბამისი ნებართვის გარეშე; ავტომობილი გაჩერებულია დგას ნიშნების „დგომა აკრძალულია“ ან „გაჩერება აკრძალულია“ მოქმედების ზონაში.

ჯარიმის გარდა, მძღოლებისათვის დასჯის გაცილებით მტკივნეული მეთოდიც არსებობს — ავტომობილის გადატანა სპეციალურ სადგომზე.

„სითი პარკში“ განმარტავენ, რომ ავტომობილი სპეციალურ დაცულ სადგომზე იმ შემთხვევაში გადააქვთ, თუ ის დგას ნიშნების „გაჩერება აკრძალულია“ და „დგომა აკრძალულია“ მოქმედების ზონაში; დარღვეულია პარკირების წესები, ავტომობილი აფერხებს მოძრაობას ან საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას.

სადგომზე გადატანილი ავტომობილის გასაყვანად საჭიროა, მფლობელმა წარადგინოს ტრანსპორტის სარეგისტრაციო დოკუმენტი, პირადობის დამადასტურებელი საბუთი და ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯების გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.



სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირების საფასური 60 ლარს შეადგენს, ხოლო დამატებით ყოველი მომდევნო 24 საათის განმავლობაში შენახვის საფასური — 10 ლარს.

ამ თანხის გადახდას ადგილზევე ითხოვენ, ხოლო საჯარიმო ქვითარი (10 ლარი) არაუგვიანეს 30 დღის ვადაში უნდა იყოს გადახდილი. გადაუხდელობის შემთხვევაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ ავტომფლობელს ჯარიმასთან ერთად საურავი — 150 ლარიც ერიცხება. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში კი სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია ხდება, რათა დავალიანება დაიფაროს. თუმცა, ასეთი მკაცრი ზომების მიღება „სითი პარკს“ ხშირად არ უწევს, მძღოლები იძულებული არიან, თავიანთი ქონება რაც შეიძლება მალე დაიხსნან და სერიოზულ სანქციებს გადაურჩნენ.

როგორც აღვნიშეთ, „სითი პარკის“ ფორმიან თანამშრომლებს, რომლებიც თბილისის ცენტრალურ ქუჩებში პატრულირებენ, საქმე ნამდვილად არ ელევათ. მათი განსაკუთრებული კონცენტრაცია ისეთ ხალხმრავალ ადგილებში შეინიშნება, როგორიც „დინამოს“ სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაა. აქ „სითი პარკისათვის“ ერთი განსაკუთრებით მომგებიანი ადგილიც აღმოვაჩინეთ — აკაკი წერეთლის ძეგლის წინ მდებარე მოედნის ტერიტორია. მართალია, აქ დგომის ამკრძალავი ნიშანი ადვილი შესამჩნევია, თუმცა, დამრღვევი მძღოლი მაინც საკმაოდ ბევრია. როგორც „სითი პარკის“ ევაკუატორის ერთ-ერთმა მძღოლმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, ამ ადგილიდან სპეციალურ ავტოსადგომზე დღის განმავლობაში 25-30 ავტომობილის გადატანა უხდებათ. ამ ადგილას, როგორც წესი, ერთი ევაკუატორი მორიგეობს კიდეც, თუმცა, ხშირია შემთხვევები, როცა ერთდროულად 3 მანქანაა საჯარიმოზე გადასატანი და მათ დამხმარე ძალის გამოძახება უწევთ.

## რაში უშლიან ამ კომპანიის წარმომადგენლებს ხელს „სტაიანშიკები“

„სითი პარკელები“ აცხადებენ, რომ მძღოლებთან კონფლიქტური სიტუაციები მინიმალურია და ამიტომაც ამ თემაზე საუბარი არც კი სურთ. თუმცა, საპირისპიროს ამტკიცებენ ამ ტერიტორიაზე მომუშავე „სტაიანშიკები“. ჩვენ მათაც გავესაუბრეთ (არავისთვისაა საიდუმლო, რომ სპეციალური მოსაკრებლის გადახდის მიუხედავად, დედაქალაქის ქუჩებში მრავლად არიან ჯოხიანი ძიები, ე.წ. სტაიანშიკები და მძღოლებს მათთვისაც უხდებათ თანხის გადახდა).

— სხვათა შორის, „სტაიანშიკები“ „სითი პარკის“ მუშაობას ხელს ვუშლით. მათ ჩვენი აქ დგომა არ უნდათ, რადგანაც მძღოლებს ვახსენებთ, სწორად როგორ უნდა დააყენონ ავტომობილები და ჯარიმას გადაურჩნენ. ამიტომაც, სადაც ჩვენ ვდგავართ, იქ ნაკლებად წერენ ჯარიმებს. თუმცა აქვე, ჩვენ სიახლოვეს იწყება ის ადგილი, სადაც ავტომანქანის გაჩერება უკვე დარღვევად ითვლება. როდესაც ადგილები აღარაა, მძღოლები თავიანთ მანქანებს აქ მაინც აჩერებენ და ამ დროს იცით, აქ რა ამბავია ხოლმე? აბა, როგორია, მძღოლი რომ დაბრუნდება და თავისი მანქანა აღარ დახვდება. არის ერთი ყვირილი და გინება. თუმცა, როგორც წესი, ამ დროს „სითი პარკის“ ხალხი ადგილზე აღარაა. ხშირად მანქანების პატრონები მაშინაც გამოჩნდებიან ხოლმე, როცა მანქანას ევაკუატორზე დებენ. აი, ამ დროსაც დიდი ყვირილი და გაწევ-გამოწევაა. ამ დროს პატრონს მანქანას მაინც არ უბრუნებენ და ეუბნებიან, საჯარიმო სადგომზე მოგვაკითხეო, — გვითხრა ერთ-ერთმა „სტაიანშიკმა“.

წესით, თუკი მძღოლი კანონს „სითი პარკის“ თანამშრომლების თვალწინ არღვევს, ავტომობილს აკრძალულ ადგილზე აყენებს, ამ კომპანიის წარმომადგენლებმა დამრღვევს მხოლოდ გაფრთხილება უნდა მისცენ. თუმცა, ეს რომ ყოველთვის ასე არ ხდება, ამის შესახებ ადვოკატმა ფრიდონ მაღრაძემ გვიამბო.

— ერთ-ერთი ჩემი კლიენტის მამამ, პენსიონერმა კაცმა, ძალზე აღელვებულმა დამირეკა. როგორც მისგან შევიტყვე, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე აფთიაქში გადავიდა და ავტომობილიც იქვე სულ ერთი წუთით დააყენა. თურმე, აქ გაჩერება აკრძალული ყოფილა და აფთიაქში არც კი იყო შესული, ევაკუატორით მის მანქანას რომ მიადგნენ. ეს ყველაფერი წამებში მოხდა და ბუნებრივია, ეს კაციც მაშინვე თავის მანქანასთან გაჩნდა. თქვენ წარმოიდგინეთ, მისი მანქანის გადატანა მაინც უნდოდათ. სწორედ ამ დროს დამიკავშირდა და მეც ავუხსენი, რომ ასეთ სიტუაციაში მაქსიმუმი, რაც შეიძლება გაეკეთებინათ, 10-ლარიანი ჯარიმის გამოწერა იყო. ტელეფონით „სითი პარკის“ წარმომადგენლებთან გამასაუბრა და მათ წინააღმდეგობა ველარ გამიწიეს, რადგან მართალი ვიყავი. წარმოიდგინეთ, ამ ადამიანს რომ არ ემარჯვა და ყველაფერი იურისტთან არ გადაემოწმებინა, რამხელა ჯარიმის გადახდა მოუწევდა! — აღნიშნა მაღრაძემ.

დაბოლოს, თუკი ამ მძღოლივით არ გაგიმართლათ და ქუჩაში დაყენებული ავტომანქანა ადგილზე არ დაგხვდათ, ე.ი. „სითი პარკის“ მახეში აღმოჩნდით. ასეთ შემთხვევაში, თქვენი მანქანა სპეციალურ დაცულ სადგომზე უნდა ეძებოთ, რომელიც დავით აღმაშენებლის 164-ში, თამარ მეფის ხიდთან, ძველი კინოსტუდიის გვერდით მდებარეობს.

**შალვა ჯოხა ე**

# ტარიელ ფუტკარაძე: „ვიღაცებს სურთ, ტაო-კლარჯეთის წარმოშობა დაამახინჯონ“

გულიკო ბალა ე

## ინტერვიუ ენათმეცნიერების დოქტორთან, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძესთან

*— ბატონო ტარიელ, როგორც გავიგე, ყოფილხართ თურქეთში, ტაო-კლარჯეთში ექსპედიციით და ექსპედიციის ხელმძღვანელი თქვენ ბრძანდებოდით. ბოლო წლების განმავლობაში იქ მრავალი ექსპედიცია იმყოფებოდა, ფილმებიც გადაიღეს. თქვენ რამ გადაგაწყვეტინათ წასვლა, რა გაინტერესებდათ?*

— ტაო-კლარჯეთში ბევრი დადის ტურისტული მიზეზით. ჩემთვის მთავარი ინტერესის სფერო იქაური ავტოქტონი ქართველების მეტყველების, მათი ლექსიკისა და თურქეთის მოქალაქე ქართველებისა და თურქების ენობრივი სამეტყველო კოდების შერევის დონის კვლევაა.

*— როგორია თურქეთში მცხოვრები ქართველებისა და თურქების კოდების შერევის დონე?*


ტარიელ ფუტკარაძე

— საერთოდ, საინტერესოა იქაური ქართველების როგორც ქართული მეტყველება, ასევე იქაური ქართველების თურქული მეტყველება. იქაური ქართველების თურქულ მეტყველებაში ძალიან დიდია ფენა თავისი ქართული სუბტრატისა.

*— სუბტრატი რა არის?*

— სუბტრატი არის ქართული ფენა, რომელიც იქაურ თურქულ მეტყველებაშია.

*— რამდენად სუფთაა თურქეთის ქართველების ქართული მეტყველება, ანუ შერეული რამდენია და როგორ ახდენენ იდენტიფიკაციას ქართულთან?*

— ჩვენი ქართველებისთვის მთავარი სანახავი ტაო-კლარჯეთში არის ოშკი, ხახული და ქართული კულტურის სხვა ძეგლები, მაგრამ, ვფიქრობ, არანაკლები ძეგლია იქაურ ქართველთა ქართული ენა, ქართველობა, ტრადიციული ყოფა-ცხოვრება და წეს-ჩვეულებები.

*— ყველაზე საინტერესო მაინც რა იყო? იქაურ ქართველებს რომ ხვდებოდით, როგორ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ?*

— მე იქ დიდი ხანია დავდივარ, დამყავს სტუდენტები, რომ დაინახონ და შეისწავლონ იქაური ქართველების ყოფა-ცხოვრებისა და მეტყველების თავისებურებები. არაერთი წიგნი გამომიცია ამ თემებზე, მაგრამ ბოლო პერიოდში მინდა ჩემს სტუდენტებს — დოქტორანტებს, მაგისტრანტებს — ვანახვო და შევასწავლო იქაური ქართული დიალექტები. მაგალითად, ახლა სამი უნივერსიტეტის სტუდენტები მყავდა წაყვანილი — თბილისის, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან და საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტიდან. ჩვენი ინტერესები ორგვარია. ერთი — ინტერნეტიდან სამეცნიერო დაკვირვება და იქ სტუდენტების წაყვანა. მეორე — იქაური ქართველებისთვის მათი ისტორიის, მათი წარსულის გაცნობა. საერთოდ, მათ ნაკლები წარმოდგენა აქვთ თავიანთ ქართულ, ეროვნულ, ეთნოკულტურულ ისტორიაზე.

*— ისტორია მაინც როგორ იციან?*

— ბუნებრივია, ისინი იზრდებიან თურქულენოვანი განათლების სისტემის მიხედვით. მათ ნაკლები ინფორმაცია და ნაკლები ცოდნა აქვს საკუთრივ ქართველი ერის ისტორიაზე — არა მხოლოდ საკუთარი კუთხის ისტორიაზე, რომელიც თურქეთის შემადგენლობაშია, არამედ ზოგადად ქართველი ერისა და საქართველოს ისტორიაზეც, ვინაიდან მათი

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# არჩილ გეგეშიძე: „გაერთიანების გარეშე ოპოზიცია წარმატებას ვერ მიაღწევს“

შორენა კოწოწაშვილი

ექსპერტი არჩილ გეგეშიძე რაიმე სერიოზული პოლიტიკური პროცესის წამოწყებას 27 სექტემბერს გამორიცხავს, რადგან მიაჩნია, რომ ეს მხოლოდ ოპოზიციის გაერთიანების შემთხვევაშია შესაძლებელი.

არის თუ არა 27 სექტემბერს საფრთხილო აფხაზებთან მიმართებით აგრესიული განცხადებების გაკეთება და უნდა შეეთანხმებინა თუ არა საკუთარი ინიციატივა ეროვნულ ფორუმს „ექვსიანთან“? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ექსპერტ არჩილ გეგეშიძესთან.

***— ბატონო არჩილ, რას იტყვით, ეროვნული ფორუმის ინიციატივაზე, 27 სექტემბერს გაიმართოს „ქართველთა მარში“. დროულია თუ დაგვიანებული ეროვნული მოძრაობის ახალი ტალღის გაშლა, რაზეც ფორუმის ერთ-ერთი ლიდერი გუბაზ სანიკიძე საუბრობდა?***

— ტრადიციულად, საქართველოში შემოდგომა ამ თვალსაზრისით გამოირჩეოდა ასეთი ღონისძიებების არ ვიტყოდი, სიმრავლით, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, უფრო ხშირად ხდება ხოლმე შემოდგომაზე საპროტესტო აქციები. როგორც ჩანს, არც ეს შემოდგომა იქნება გამონაკლისი. რაც შეეხება ეროვნული ფორუმის მიერ გამოცხადებულ „ქართველთა მარშს“, სხვა ოპოზიციური პარტიები, ისინი, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ მასობრივ მანიფესტაციებსა და ქუჩის აქციებს, მათი უმრავლესობა მაისის აქციების შედეგად დღეს ერთგვარ ჩრდილშია მოქცეული. ამათ ფონზე ფორუმმა გადაწყვიტა, რომ ხელში აეღო ინიციატივა და არ დაეშვა წყვეტა შემოდგომაზე საპროტესტო აქციებისა. რაც შეეხება სათაურს — „ქართველთა მარში“, არაერთი სათაურით მოგვისმენია მოწოდებები და გამართულა აქციები. ამ სათაურშიც რაიმე განსაკუთრებულს ვერ ვხედავ. მოსალოდნელი იყო. შეიძლება, ვინმეს მოეწონოს ან არ მოეწონოს, დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს, მაგრამ ამგვარი სახელწოდებები აქციებისა პირველი არ არის და ალბათ არც ბოლო.

***— ეროვნული მოძრაობის მეორე ტალღა მართლაც არის ერთადერთი გამოსავალი სააკაშვილის ხელისუფლების შესაცვლელად? რამდენად შესაძლებლად გეჩვენებათ ასე დისკრედიტებული ოპოზიციის პირობებში ახალი ეროვნული მოძრაობის აგორება?***

— ამ თვალსაზრისით ოპტიმიზმს მართლაც არ გავიზიარებდი, რომ ეს შესაძლებელია, უპირველესად ყოვლისა იმიტომ, რომ თავად ოპოზიცია არ არის ერთიანი. მე არ მაქვს მხედველობაში მხოლოდ ერთიანობა საპროტესტო აქციების ფორმებთან დაკავშირებით, ანუ ე.წ. რადიკალურ და ზომიერ ოპოზიციად დაყოფის თვალსაზრისით. არა მარტო ამის გამო. თავად ასე ვთქვათ, ე.წ. რადიკალურ ოპოზიციაშიც ხშირად ჩვენ ვერ ვხედავთ ხოლმე ერთიანობას და ზოგადად ეს ძალიან დაბლა სწევს ოპოზიციის შანსებს, მიაღწიონ შანსებს ზოგადად და მით უმეტეს ისეთ შედეგს — უმაღლეს შესაძლებელ სასურველ შედეგს, როგორიც გახლავთ ხელისუფლების შეცვლა. მე ამ თვალსაზრისით ოპტიმიზმს არ გავიზიარებდი. ამის პირობები დღეს, ოპოზიციისთვის სამწუხაროდ, მომწიფებული არ არის.

***— თქვენი აზრით, ფორუმის ამ დამოუკიდებელმა ნაბიჯმა საარჩევნო გარემოზე ხელისუფლებასთან მომუშავე „ექვსიანი“ დაშალა?***

— რატომ ისმება ასე საკითხი?

***— იმიტომ რომ „ექვსიანთან“ შეუთანხმებლად გააჟღერა გუბაზ სანიკიძემ 27 სექტემბერთან დაკავშირებული განრისხებული ქართველების მარშის თაობაზე.***


არჩილ გეგეშიძე

— რამდენადაც მახსოვს, თავად „ექვსიანის“ ლიდერები არ გამორიცხავდნენ საჭიროების შემთხვევაში ქუჩის აქციებს, თუმცა ამბობდნენ, რომ ეს უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში უნდა მომხდარიყო. აქცენტი კი უნდა გაკეთებულიყო საარჩევნო გარემოსთვის ბრძოლის პოლიტიკურ მოლაპარაკების ფორმატში საქმიანობაზე, მაგრამ არ გამოირიცხებოდა აქციები, მით უმეტეს, თუკი ფორუმი ამბობს, რომ ეს ცალკე მისი გადაწყვეტილებაა და თუნდაც არაკოორდინირებული „ექვსიანთან“, ნებისმიერ პარტიას, მათ შორის ეროვნულ ფორუმსაც აქვს ამის უფლება. არა მგონია, რომ თავის დროზე „რვიანი“ და შემდგომ „ექვსიანი“ როცა შეიკრიბა, იქ რაღაცა პირობა იყო დადებული, რომ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად რაიმე გადაწყვეტილებები არ უნდა ყოფილიყო მიღებული. რა თქმა უნდა, სასურველი იყო, რომ მაქსიმალური კოორდინაცია ყოფილიყო, მაგრამ ასე დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უფლება „ექვსიანში“ შემავალ ყველა პარტიას აქვს, მაგრამ, მეორე მხრივ, ძალიან დიდი ელექტორატის თვალში, ვისაც მიაჩნია, რომ „ექვსიანს“ უფრო მეტი პერსპექტივა აქვს, ვიდრე ე.წ. რადიკალურ გზას ხელისუფლების შეცვლისა, იმის თვალში ეროვნული ფორუმის ეს ნაბიჯი ალბათ, რბილად რომ ვთქვათ, დამაბნეველი უნდა იყოს. არა მგონია, რომ ამან გაზარდოს კონკრეტულად ამ ელექტორატის მოტივაცია ამ პარტიების მხარდაჭერასთან დაკავშირებით, რაც, საერთო ჯამში, ალბათ აისახება მათ შორის ხალხის იმ რაოდენობაზე, რომელიც 27 სექტემბერს გამოვა ქუჩაში.

***— ოპოზიციურ პარტიათა ნაწილი ფიქრობს, რომ წინ პოლიტიკურად „ცხელი“ შემოდგომა გველის. თქვენც ასე ფიქრობთ თუ ეს მარშიც ასე მშვიდად ჩაივლის? ფორუმელები ირწმუნებიან, რომ მათ შეუძლიათ სერიოზული პოლიტიკური პროცესის აგორება.***

— ვერ გავიზიარებდი ოპტიმიზმს ამ თვალსაზრისითაც. არა მგონია, რომ ამას პოლიტიკური ფონი ხელს უწყობს. თუმცა შემოდგომა არის ის დრო, ერთგვარი ბოლო ვადა, როდესაც თითქოს უნდა გამოცხადდეს შეთანხმება ოპოზიციურ და მმართველ პოლიტიკურ ძალებს შორის მომავალ საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ. თუკი ამგვარი შეთანხმება არ გამოცხადდა, ვერ შედგა, აი, მაშინ კიდევ ჩნდება შესაძლებლობა, რომ ოპოზიციურმა ძალებმა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეროვნული ფორუმის ინიციატივით ან ლიდერობით სცადონ სიტუაციის გამწვავება. მაგრამ ამ შემთხვევაშიც არ მიმაჩნია, რომ ეს გამწვავება, მისი მასშტაბი და ინტენსივობა იქნება იმ რანგის, რომ ამან სერიოზული ცვლილებები გამოიწვიოს და ამის წინაპირობები შექნას.

***— ბატონო არჩილ, ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ 27 სექტემბერს სიფრთხილეა საჭირო და რომ აფხაზებთან მიმართებით აგრესიული განცხადებები არ უნდა გაისმას, რათა ვითარება კიდევ არ დაიძაბოს. მართლაც საფრთხილოა სოხუმის დაცემის თარიღი?***

— არა მგონია, რომ აგრესიული განცხადებები გაისმება. არ გამოვრიცხავ, აფხაზეთის თემა ფიგურირებდეს 27 სექტემბერს, მაგრამ არ მოველი, რომ აფხაზური მხარის მიმართ ეს იქნება აგრესიული განცხადებები. ბოლო პერიოდში ოპოზიციას ამგვარი რიტორიკა არ ახასიათებს, რაც კარგია.

***— რამდენად შესაძლებლად გეჩვენებათ, რომ „ქართველთა მარშმა“ საფუძველი დაუდოს პოზიციის გაერთიანებას? ზოგიერთი ფიქრობს, რომ ეს იქნება ერთდღიანი მსვლელობა და მეტი არაფერი.***

— ამ კითხვაზე პასუხი მე ნაწილობრივ უკვე გავეცი. მეც გავიზიარებდი ასეთ ფრთხილ დამოკიდებულებას ამ საკითხის მიმართ. როგორც გითხარით, სამწუხაროდ, დღეს სიტუაცია მომწიფებული არ არის იმისათვის, რომ ოპოზიცია გაერთიანდეს. მე ვერ წარმომიდგენია, რომ „სახალხო კრება“, მისი ლიდერები, პირველ რიგში, რადიკალურ ოპოზიციასთან გაიგივებული პოლიტიკური პარტიები, ნინო ბურჯანაძის პარტია მაქვს მხედველობაში, მივიდეს „ექვსიანთან“, სადაც მოიაზრება ირაკლი ალასანია და კიდევ სხვები. ვეჭვობ, რომ ისინი ერთად დადგნენ და ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ. მე ამას, ამ ეტაპზე გამოვრიცხავ.

***— შეგიძლიათ თქვათ, რომ დღესაც კი, როცა პრეზიდენტი აქტიურად არის ჩართული წინასაარჩევნო პიარკამპანიაში, ოპოზიციამ ჯერაც ვერ ისწავლა საკუთარ შეცდომებზე და კვლავ არასწორად მოქმედებს?***

— ოპოზიცია, სამწუხაროდ, ვერ სწავლობს მთავარ გაკვეთილს, რომელიც მდგომარეობს პირად ამბიციებზე ამაღლებაში და გაერთიანებაში. მთავარი გაკვეთილი ეს არის, მაგრამ, რაც შეეხება ამ საბოლოო ხელისუფლების გამარჯვებასა და ოპოზიციის დამარცხებას, ასე შავ-თეთრ ფერებში ამისი დანახვა სწორი არ იქნებოდა. შეიძლება მმართველი პარტია ალბათ მართლაც დიდი ალბათობით უფრო მეტ ხმას აიღებს ამ საპარლამენტო არჩევნებში, ვიდრე ოპოზიცია, მაგრამ ასევე გარკვეული ალბათობით, შეიძლება ითქვას, რომ ეს არ იქნება ისეთივე პროპორციით გამარჯვება, როგორც იყო წინა საპარლამენტო არჩევნების დროს. გარდა ამისა, როცა ვამბობთ, რომ ამ ეტაპზე შემოდგომაზე არ არის ხელსაყრელი ფონი სიტუაციის გამწვავების, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გაზაფხულზეც ასე იქნება. არჩევნების მოახლოებასთან ერთად ალბათ ეს ფონი სულ უფრო და უფრო ხელსაყრელი იქნება ამგვარი სიტუაციის გამწვავებისთვის. აი, მაშინ უკვე შესაძლოა ოპოზიციას სხვა შანსები ჰქონდეს ისევ და ისევ იმ შემთხვევაში, თუ ერთიანობისკენ გადაიდგმება რაღაც ნაბიჯები.

***— ანუ ფიქრობთ, რომ ოპოზიციის ერთიანობის გარეშე სერიოზული პოლიტიკური პროცესის წარმართვა გაძნელდება?***

— რა თქმა უნდა. გამორიცხულია.

# „ეროვნული ფორუმი“ „ქართველთა მარშის“ მარშრუტს დღეს გამოაქვეყნებს

დღეს „ეროვნული ფორუმი“ 27 სექტემბრისთვის დაგეგმილი „ქართველთა მარშის“ მარშრუტსა და სხვა დეტალებს გამოაცხადებს.

ამის შესახებ განცხადება ჟურნალისტებთან შეხვედრაზე „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთმა ლიდერმა გუბაზ სანიკიძემ გააკეთა. როგორც ცნობილია, 27 სექტემბერს თბილისში ერთდღიანი დემონტრაცია, „ქართველთა მარში“ გაიმართება. აქციის ორგანიზატორი „ეროვნული ფორუმია“. სანიკიძის განცხადებით, ეს არ არის პარტიული ღონისძიება და იგი აქციაში მონაწილეობისაკენ ყველა იმ ადამიანს მოუწოდებს, ვისთვისაც ქართული ღირებულებები (მათ შორის ქართული ენა) მნიშვნელოვანია.

„ეროვნული ფორუმი“ აქციაში მონაწილეობისაკენ არაქართულ მოსახლეობასაც მოუწოდებს. ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, „ქართველთა მარშს“ „სახალხო კრებაც“ უერთდება.

27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა.

**მედიანიუსი**

# „ფეისბუქში“ რობერტ სტურუას მიერ კულტურის მინისტრისადმი გაგზავნილი წერილი გავრცელდა

სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ რობერტ სტურუას წერილი გავრცელდა. წერილში რეჟისორი კულტურის მინისტრ ნიკა რურუას რუსთაველის თეატრის მმართველის თანამდებობიდან ზაალ ჩიქობავას გათავისუფლებას სთხოვს და თანხმობას აცხადებს, სამხატვრო ხელმძღვანელის მოვალეობასთან ერთად, მმართველის ფუნქციებიც შეითავსოს. ამის მიზეზად კი თეტარში არსებულ პრობლემებს ასახელებს.

აღნიშნული წერილი „ფეისბუქში“, თავად სტურუას გვერდზე გამოქვეყნდა. წერილი დათარიღებული არ არის. „ინტერპრესნიუსი“ წერილის შინაარსს უცვლელად გთავაზობთ:

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს, ბატონ ნიკოლოზ რურუას.

50 წელია ვმუშაობ რუსთაველის თეატრში და ჩემს თვალწინ ჩაიარა მსახიობთა და დირექტორთა, ანუ მმართველთა სოლიდურმა ჯგუფმა. ამ ხნის მანძილზე ჩამოყალიბდა რუსთაველის თეატრის სახე, ესთეტიკა და ჩვენმა თეატრმა საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიოს თეატრალურ სივრცეში. ჩვენი ცხოვრების ურთულეს პერიოდშიც - 90-იან წლებში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა. რა თქმა უნდა, წარმატებას მარცხიც ახლდა, მაგრამ რუსთაველის თეატრი ინარჩუნებდა სათანადო დონეს.

ბოლო სამი წლის მანძილზე თაობების მიერ დღემდე სიმწრით მოტანილი სახელი საფრთხის წინაშე დადგა. რეპერტუარში მომრავლდა ულიმლამო, არაფრისმთქმელი სპექტაკლები. ერთ-ორი ახალგაზრდა რეჟისორის გარდა, ვერავინ შეძლო მიახლოვებოდა იმ მოთხოვნებს, რომელსაც რუსთაველის თეატრი აყენებს. მიუხედავად იმისა, რომ მსახიობები თითქოს დაკავებულები არიან, სცენაზე დგანან, თანდათან კარგავენ პროფესიულ ჩვევებს. ძალიან ძნელი ასატანია ჩემთვის ვუყურო, თუ როგორ აივსო თეატრის ადმინისტრაცია, პიარისა და მარკეტინგის სამსახური ადამიანებით, რომლებსაც წარმოდგენა არ აქვთ საერთოდ ხელოვნებაზე და კონკრეტულად თეატრზე. მთელ ამ უბედურებაში ბრალი მეც მიმიძღვის, მაგრამ რა ვქნა - არ შემიძლია და არც არასდროს შემეძლო ხმალამოღებულს მებრძოლა თვითდაჯერებულ უგუნურებასთან და ამიტომ ერთადერთ გამოსავალს ვხედავ. თეატრში ბევრი რამ უნდა შეიცვალოს. მე მარტო, რა თქმა უნდა, ვერაფერს გავხდები და მინდა მხარში მედგეს გამჭრიახი ადამიანი, რომელმაც კარგად იცის რუსთაველის თეატრის ჭირ-ვარამი და ბოლომდე გააცნობიერებს, რა უნდა გაკეთდეს მომავლისთვის, ხოლო რაც შეეხება დღევანდელ მმართველს (შეგახსენებთ, რომ მის დანიშვნაში დიდი წვლილი მიმიძღვის), მისმა მოღვაწეობამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ მსახიობი არ შეიძლება თეატრის სათავეში იდგეს. მსახიობობა შესანიშნავი პროფესიაა და ვერაფერს ითავსებს. ასეთი შემთხვევები ადრეც ყოფილა და კარგი არაფერი მოუტანია.

თუ თქვენ არ დამეთანხმეთ და ჩემი თხოვნა სამართლიანად არ მიიჩნიეთ, გამოსავალი აქაც არსებობს. 72 წლის რეჟისორი სევდიანად, მაგრამ მშვიდად დატოვებს რუსთაველის თეატრს.

თუ თქვენ ჩემს წინადადებას მისაღებად მიიჩნევთ, თანახმა ვარ ვიკისრო მძიმე ტვირთი და შევითავსო მმართველის თანამდებობა (შეგახსენებთ, რომ ერთდროულად სამხატვრო ხელმძღვანელად და დირექტორად მუშაობის საკმაო გამოცდილება მაქვს). პატივისცემით, რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რობერტ სტურუა.

**ინტერპრესნიუსი**

# დეპუტატები ვერა ქობალიას დასჯას ითხოვენ

ნანა მიშელაშვილი

ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისათვის“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ვერა ქობალიას პასუხისმგებლობის საკითხის დასმას აპირებს. ეს იმ დროს მოხდება, როდესაც პარლამენტში სამთავრობო საათი გაიმართება. ახალი ფრაქცია სამთავრობო საათის მოწვევას სექტემბრის ბოლოს მოითხოვს. ამ სხდომაზე ეკონომიკური გუნდის მინისტრები არიან დაბარებული. კერძოდ, პარლამენტში დაბარებილია პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური, ფინანსთა მინისტრი დიმიტრი გვინდაძე, სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი და ჯანდაცვის მინისტრი სანდრო ურუშაძე.

რატომ აპირებს ვერა ქობალიას პასუხისმგებლობის საკითხის დასმას ახალი ოპოზიციური ფრაქცია? დიმიტრი ლორთქიფანიძის განცხადებით, ვერა ქობალია ახალი ფრაქციის სხდომაზე არ მივიდა, რის გამოც მისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დაისვას.

— ახლადშექმნილმა ფრაქციამ სატელევიზიო ანძასთან დაკავშირებით ქალბატონი ქობალია ზაფხულში სხდომაზე გამოიძახა. მისი პასუხისმგებლობის საკითხი მწვავედ დადგება, რადგან თუკი ის მივლინებაში იყო და ქვეყნის გარეთ იმყოფებოდა, (თუმცა, ჩვენთვის ცნობილია, რომ ქობალია მაშინ ბათუმს სტუმრობდა) მაშინ წამოდგენილი უნდა ყოფილიყო მინისტრის რომელიმე მოადგილე ან დეპარტამენტის ხელმძღვანელი. ეს არის სრული უპასუხისმგებლობა იმ ორგანოს მიმართ, რომელსაც საქართველოს კონსტიტუციით დაკისრებული აქვს შესაბამისი კონტროლის განხორციელება. ეს არის კონსტიტუციის მასხრად აგდება, მათ შორის, საკუთარი გუნდის მასხარად აგდება და უპატივცემულობა პარლამენტის მიმართ, — ასეთია დიმიტრი ლორთქიფანიძის პოზიცია.

ოპოზიციონერი დეპუტატი აპირებს, რომ სამთავრობო საათზე მისულ მინისტრს როგორც ეკონომიკის ისე მდგრადი განვითარების მიმართულებით დაუსვას შეკითხვები. მინისტრის მიმართ ასევე დასმული



იქნება სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გასხვისებაზე და მასთან არსებულ დეტალებზე შეკითხვები.

ერთ-ერთი თემა, რაზეც ეკონომიკის მინისტრს პასუხის გაცემა მოუწევს, სტრატეგიულ ობიექტებს უკავშირდება. ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილის თქმით, სტრატეგიული ობიექტები ეკონომიკის სამინისტროს გამგებლობის სფეროს განეკუთვნება და ეს სამინისტრო არის პასუხისმგებელი ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებზე.

დეპუტატებს შეკითხვები ექნება სოფლის მეურნეობის მინისტრთანაც. კერძოდ, ბაკურ კვეზერელს ჰიბრიდულ სიმინდთან დაკავშირებით მოუწევს პასუხების გაცემა.

ოპოზიციური ფრაქცია სათანადო ვიდეო მასალით არის მომზადებული. მათ ერთ-ერთ სოფელში გადაღებული აქვთ კადრები, სადაც ჰიბრიდული სიმინდის გავერანებული ყანებია აღბეჭდილი.

— სოფლის მეურნეობის მინისტრთან გვექნება ძალიან მწვავე შეკითხვები. გაგახსენებთ ბოლო სამთავრობო დებატებს, სადაც ჩემ მიერ დასმული იყო გენმოდიფიცირებულ სიმინდის ჯიშეზე შეკითხვა — რამდენად ეყრდნობა ის მეცნიერულ, აკადემიურ კვლევებს. მაშინ მინისტრმა კვეზერელმა მოიშველია აკადემიკოს ნასყიდაშვილის რეცენზია გაზეთიდან, სადაც თითქოსდა ბატონი ნასყიდაშვილი ამტკიცებდა მართებულობას ჰიბრიდული სიმინდის დათესვის. ვაპირებ ნასყიდაშვილი მოვიწვიო და მისი პოზიცია გავიგო. თუ დადასტურდება, რომ ნასყიდაშვილის სიტყვები არასწორად იქნა მოყვანილი, მაშინ კვეზერელს მოუწევს ამაზე პასუხის გაცემა, — აღნიშნა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

ოპოზიციონერი დეპუტატი ამტკიცებს, რომ ზოგიერთ რაიონში ეს მოსავალი არ მოვიდა და ეს პროექტი ჩავარდა, მაგრამ ამაზე ხელისუფლება დუმს.

ფრაქციას შეკითხვები ექნება სახელმწიფო სტრატეგიის გეგმიდან გამომდინარე. ამ გეგმას თავის საფეხურები გააჩნდა, რომლის მიმდინარეობის შესახებ ფრაქცია ინტერესდება.

დიმიტრი ლორთქიფანიძე პრემიერ-მინისტრს დევნილებთან დაკავშირებითაც დაუსვამს შეკითხვებს. იგი კონკრეტულ მაგალითებს მოიყვანს ქურთის მუნიციპალიტეტსა და თიღვის მუნიციპალიტეტში არსებულ მდგომარეობაზე.

— შეკითხვები გვაქვს სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიასთან დაკავშირებით, რაც უკუპროპორციული აღმოჩნდა იმასთან, რაც სახეზე გვაქვს. ერთიან მონაცემთა ბაზაში, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არსებულთა მონაცემები კატასტროფულად მატულობს, — აღნიშნა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

გიორგი ცაგარეიშვილი წინასწარ აცხადებს, რომ ეკონომიკური გუნდის მინისტრებთან და ჯანდაცვის მინისტრთან ფრაქციას ათეულობით შეკითხვა აქვს.



— არა მგონია, რომ მინისტრები არ მოვიდნენ და შეკითხვებზე პასუხის გაცემას გაექნენ. სულ იმას უსვამენ ხაზს, რომ არ არსებობს ისეთი კითხვები, რომელზეც პასუხები მომზადებული არა აქვთ. ვნახოთ, როგორ არიან გაწაფულები პასუხების გაცემაში, — აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა.

რა შეკითვები აქვს ახალ ფრაქციას ფინანსთა მინისტრთან? დიმიტრი გვინდაძეს ინფლაციასთან დაკავშირებით მოუწევს პასუხის გაცემა.

— ჩვენი ინფორმაციით, საკმაოდ რთული ვითარებაა, ინფლაცია ორნიშნა რიცხვია. ამის შემაკავებელი ფაქტორი, ჯერჯერობით, არსაიდან არ ჩანს. საერთოდ, ინფლაცია ორნიშნა იყო და დარჩენილია ორნიშნა ციფრზე. ასევე თვიდად თვემდე იზრდება საგარეო ვალი და არ კლებულობს, — ასეთია ფრაქციის თავმჯდომარის შეფასება.

პენსიების საკითხზე საუბარს ვერ ასცდება ჯანდაცვის მინისტრი. სანდრო ურუშაძეს პასუხის გაცემა 100-დოლარიან პენსიაზეც მოუწევს. როდის გახდება პენსია 100 დოლარი და რატომ არ სრულდება დანაპირები? ეს შეკითხვა მინისტრის მისამართით ისევ დაისმევა.

რაც შეეხება პრემიერ-მინისტრს, მასთან სტატეგიული ობიექტების გასხვისების გარდა, შეკითხვები მონოპოლიების თემაზეც იქნება.

— მონოპოლიები არის ბევრ სფეროში, საწვავიდან დაწყებული, წამლებით დამთავრებული. ამიტომ ამ საკითხების გარკვევას ჩვენ პრემიერთან ვგეგმავთ, — აღნიშნა „ახალ თაობასთან“ საუბარში გიორგი ცაგარეიშვილმა.

რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ მინისტრები და პრემიერი ოპოზიციის მიერ მოთხოვნილ სამთავრობო საათზე არ მივლენ? ამ შეკითხვაზე ცაგარეიშვილმა ასე იხუმრა: „თუ პრემიერი და ეკონომიკური გუნდი არ მოვიდა, მაშინ ჩვენ პარლამენტის მანდატურთუხუცესს მოვუსმენთ. აბა, სხვა რა ვქნათ? სხვა რა გავაკეთოთ?“

— თუ მინისტრები არ მოვლენ, ჩვენ ნებისმიერ უწყებაში მისვლის უფლება გვაქვს, გარდა ციხეებისა, ფრაქციის წევრები დავეწყობით და მინისტრებს საკუთარ კაბინეტებში მივაკითხავთ და მედიის საშუალებით გაიმართოს ღია დიალოგი. თუ მინისტრები არ მოვლენ, ეს მათთვის იქნება ძალიან ცუდი, — აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა.

ჩატარდება თუ არა 29 სექტემბერს სამთავრობო საათი, ეს ამ კვირაში გაირკვევა.

# ტარიელ ფუტკარაძე: „ვიღაცებს სურთ, ტაო-კლარჯეთის წარმოშობა დაამახინჯონ“

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ოფიციალური განათლების ენა თურქულია, ხოლო მათი სკოლები — თურქულენოვანი. იქ ნაკლებადაა აქცენტირებული საქართველოს ისტორია.

***— მაინც რა იციან თავიანთი წარმოშობის შესახებ?***

— იმდენად მწირია მათი ცოდნა თავიანთი ისტორიული ფესვებისა, რომ, მაგალითად, ტაოსა და იმერხევში ხშირად შემხვედრიან ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ისინი იქ მისული არიან აჭარიდან. სინამდვილეში ისინი ამ მიწაზე მოსახლე უძველესი ქართველი მოსახლეობაა, ავტოქტონებია. ამაზე მეტყველებს ის, რომ ყველას ახსოვს გადმოცემები თამარ მეფის შესახებ. მათ ახსოვთ, ტაოსა და იმერხევში ნებისმიერი ციხე და ეკლესია თამარ მეფის სახელს რომ უკავშირდება. ამიტომ, ბუნებრივია, ისინი ადგილობრივები არიან, მაგრამ რატომღაც მათ ვიღაც აჯერებს, რომ ისინი ადგილობრივები არ არიან.

***— ბატონო ტარიელ, მოგეხსენებათ, აქაური ქართველები ხშირად დადიან თურქეთში, მრავალსერიანი ფილმებიც გადაიღეს. ყველა ფილმში საუბარია იმაზე, თითქოს ქართველები იქ მისული არიან. რატომ ხდება, რომ აქედან ჩასულებიც ლაპარაკობენ, თითქოს ისინი იქ მისული არიან?***

— მე მუდამ ვცდილობ ვთქვა ის, რაც სიმართლეა. არსად მსგავსი რამ არ მითქვამს. ხშირად მიხდება საუბარი იქ ქართველებთანაც და თურქ კოლეგებთანაც, რომ, მაგალითად, ტაოსა და ბორჩხაში ადგილობრივი ავტოქტონი მოსახლეობაა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მათი მეტყველება, მათი ენობრივი თავისებურებები აბსოლუტურად სხვაა, ვიდრე აჭარული ან გურული. ტაოური მეტყველება, ტაოური ქართული იმდენად თავისებურია, რომ თუ საგანგებოდ არ შეისწავლა ქართველმა კაცმა, იქაურ ქართულს ვერ გაიგებს. მაგალითად, იქ ლაპარაკს ჰქვია ხვარათი, კარტოფილს — მარქვალი და ა.შ, ბევრი სიტყვაა, რომელიც თავისი არსით ქართულია. ისინი ნამდვილად ადგილობრივი ქართველები არიან და არ არიან მიგრირებული საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. რაც შეეხება მიგრირებულ ქართველებს, მუჰაჯირობის დროს ქართველები წავიდნენ აჭარიდან თურქეთის ცენტრალურ რეგიონებში — ბურსაში, ადაფაზარში, გუნინში და ა.შ. შიდა შავშეთსა და ბორჩხაში კი ნამდვილად ადგილობრივი ქართველები სახლობენ.

***— იქაური ქართველები როგორ ხვდებოდნენ თქვენს ახსნა-განმარტებებს მათი***



***ისტორიის შესახებ და რას გეუბნებოდნენ?***

— როდესაც ადამიანს მიაწვდი აკადემიურ ინფორმაციას, აკადემიურად დაუდასტურებ, მიხვდება. თურქეთის ქართველები ძალიან გონიერი ხალხია და უხარიათ, რომ ისინი იმ კულტურისა და ისტორიის მემკვიდრენი, მეპატრონენი არიან, სადაც ცხოვრობენ. როცა ადამიანი მისულია სადღაც, მისი ფსიქოლოგია სხვაგვარია. როდესაც ისინი რწმუნდებიან, რომ იქ მისულები კი არა, იმ მიწაწყლის მფლობელები თავად არიან, რა თქმა უნდა, სხვანაირი ხდებიან. ასე რომ, არგუმენტირებული მტკიცების შემდეგ მათ ძალიან დადებითი განწყობები უჩნდებათ. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს ძალიან ბევრი სამუშაო, რომ მათ შეძლონ იდენტიფიცირება ქართულ მრავალსაუკუნოვან კულტურასთან. ეს დიდი პრობლემაა.

***— თუ არ ვცდები, ბაგრატოვანთა დინასტია თურქეთში დარჩენილი საქართველოდან წამოვიდა...***

— დიახ, არსებობს საკმაოდ დასაბუთებული მოსაზრება, რომ ბაგრატიონები იყვნენ კლარჯელები. ორი ვერსიაა. ერთი ვერსიით, ბაგრატიონები კლარჯეთის ლაზური ქედის წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ ჩემთვის სულ ერთია, ბაგრატიონები ლაზები იყვნენ თუ, დავუშვათ, ლივანელები თუ იმერხეველები, ფაქტი ერთია — დიდი საქართველოს აღორძინება ტაო-კლარჯეთიდან დაიწყო და ეს ტერიტორია დღეს იმავე ქართველებით არის დასახლებული, რომელმა ქართველებმაც შვეს ბაგრატიონები და ტაო-კლატჯეთის აღორძინების ხანის დიდი კულტურა. დღეს ისიც არის პრობლემა, რომ თანამედროვე ტაოელსა და კლარჯელს უჭირს იდენტიფიცირება ოშკის, ხახულის, ბანასა და პარხალის ამშენებელ ხალხთან. მათ ჰგონიათ, იქ სხვა ქართველები იყვნენ, რომლებიც დაიხოცნენ ან გამოიქცნენ აქეთ საქართველოში ოსმალობის დროს. თვითონ კი აჭარიდან ჩავიდნენ, მაგრამ, როდესაც ეტყვი, თქვენ ხართ იმ ადამიანების მემკვიდრეები, რომლებმაც ეს ციხეები და ეკლესიები ააგო და ეს კულტურა შექმნა, ეს თქვენი და თქვენი წინაპრების კულტურაო, მაშინ უკვე ხვდებიან. თუმცა, ამ მიმართულებით კიდევ ბევრია სამუშაო, ვინაიდან ამ ადამიანებს უბრალოდ არ აქვთ სწორი ინფორმაცია თავიანთ ისტორიაზე.

***— მათი ასეთი „ინფორმირებულობა“ რამენაირად პოლიტიკასაც ხომ არ უკავშირდება, რადგან ეუბნებიან, მოსულები ხართო?***

— თქვენ თვითონ თქვით, რომ აქედან ჩასული ქართველებიც იმავეს ეუბნებიანო.

***— შეიძლება, ერთის მხარე უცოდინრობით აკეთებს ამას, ხოლო მეორე მხარე — პოლიტიკური მოტივით.***

— მინდა დავრჩე მეცნიერად და პოლიტიკური განცხადებები არ გავაკეთო.

***— ბატონო ტარიელ, იქაურ ქართველებზე ტელევიზიით ისე ლაპარაკობდით, კინაღამ ვიტირე. მოგვიყევით, როდესაც თქვენ ბაგრატიონების იქაური წარმოშობისა და მსგავს ისტორიებს უყვებით ხოლმე, როგორი განწყობით გისმენენ და როგორ მოსწონთ და რას გეუბნებიან?***

— რაც უეჭველია, თითქმის ყველა ოჯახში გაცნობიერებული აქვთ, რომ თამარ მეფე იყო იქაური ან იქ ცხოვრობდა. მაგალითად, დიობანსა და ქოქლიეთში ჩავეწერეთ ასეთი გადმოცემა: სოფლის თავზე არის დიდი ციხე. მეორე მხარეს ადგილია, სადაც ყოფილა დიდი ეკლესია. ნაეკლესიარს ახლაც ჯვარი ჰქვია. თქმულებაა, რომ თამარ მეფე გადმოფრენილა ციხიდან ეკლესიაზე, მდინარის მეორე მხარეს. რა თქმა უნდა, თამარ მეფის გადმოფრენის ლეგენდა შემონახულია ხალხში. ე.ი. ეს ხალხი ადგილობრივია და არ არის მოსული. თამარ მეფის გადაფრენის ახსნაც არსებობს. როგორც მე გავარკვიე, მდინარის მეორე მხარეს მაღლა აღმართული ციხიდან ამ ეკლესიამდე არსებობდა გვირაბი. როგორც ჩანს, თამარ მეფე შევიდა ციხეში, ცხენით ავიდა ციხემდე, ხოლო შემდეგ ხალხმა ნახა, რომ გამოვიდა ეკლესიიდან. ალბათ, თამარ მეფე ეკლესიამდე გვირაბით გადმოვიდა და ასე გაჩნდა ეს ლეგენდა, თამარ მეფის ციხიდან ეკლესიამდე გადაფრენის თაობაზე. მსგავსი ლეგენდები და თქმულებები მეტყველებს იმაზე, რომ ეს ხალხი ადგილობრივი ქართველები არიან, მაგრამ ვაიმეცნიერები თუ პოლიტიზებული ადამიანები ცდილობენ, ტაოში, შავშეთსა თუ ბორჩხაში მცხოვრები ადგილობრივი ქართველობა მისულებად გამოაცხადონ. ზოგიერთი ძალები ცდილობენ თავიანთი ტყუილებით სიმართლე დაფარონ, ჩვენი ისტორიული სიმართლე ჩაკლან და გააქრონ.

# საქართველოს ეპარქიები ქველმოქმედებაში ჩაერთვებიან

ეკა ირემაშვილი

ფონდი „ერთობა“ და მისი ხელმძღვანელი გიორგი დარასელია ამ კვირიდან საქველმოქმედო აქციებს იწყებს, რომლის მიზანიც უნარშეზღუდული, მზრუნველობამოკლებული და სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებისათვის დახმარებაა. ფონდის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, საქველმოქმედო აქციებში საქართველოს ეპარქიებიც ჩაერთვებიან.

საქველმოქმედო ფონდი ბავშვებს საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე არსებულ ისტორიულ ძეგლებს დაათვალიერებინებს, მოაწყობს ექსკურსიებს, შეხვედრებს სასულიერო პირებთან და კულტურის მოღვაწეებთან, ჩაატარებს ერთობლივ კულტურულ ღონისძიებებს.

ფონდის ინიციატივით სიმბოლურ ფასად გაიყიდება კალმები, მაისურები, სამაჯურები, საათები და სხვა აქსესუარები, რომლებიც მთელი საქართველოს მასშტაბით გავრცელდება, აქსესუარების რეალიზაციიდან შემოსული თანხა კი დაგეგმილი საქველმოქმედო აქციების გამართვას მოხმარდება.

გიორგი დარასელია პროფესიით ეკონომისტი და რეჟისორია. უკვე ხუთი წელია ქველმოქმედებითაც აქტიურად დაკავდა. საქველმოქმედო ფონდი „ერთობა“ მან სასულიერო პირების ლოცვა-კურთხევით და მათი უშუალო მითითებებით დააარსა. ეს ფონდი მიუსაფარი ბავშვების სულიერ აღზრდას ემსახურება. ხშირად ფონდის მიერ დაგეგმილ აქციებში ცნობილი სახეებიც მონაწილეობენ. მომღერალმა ეთერ კაკულიამ თავისი პირველი კლიპი სიმღერაზე „და მე არ მინდა სხვა ნეტარება“ სწორედ რეჟისორ გიორგი დარასელიას ანდო და მასში მთლიანად მიუსაფარი ბავშვები გადაიღო.

**გიორგი დარასელია, ფონდის ხელმძღვანელი:**

— ჩემი ცხოვრების გარკვეული პერიოდი სასულიერო პირების გარემოცვაში გავატარე, რადგან ბავშვობიდანვე დავდიოდი ეკლესიაში და 14 წელი სტიქაროსანიც ვიყავი. ადვილი მისახვედრია, რომ ის, რაც ბავშვობაში მინდოდა და მაკლდა, ახლა ამ ბავშვებს უნდათ, ამიტომ ჩამოვაყალიბე ეს ფონდი. ფონდი „ერთობა“ უკვე შვიდი წელია არსებობს. რაც შეეხება სახელწოდებას, „ერთობა“ იმიტომ შევარჩიეთ, რომ საკეთებელი ერთად უნდა ვაკეთოთ. თუმცა, პირველად სასულიერო პირებმა გვითხრეს, „ძმობა და ერთობა“ დავარქვათო, მაგრამ ამ სახელწოდებას მხოლოდ „ერთობა“ ვარჩიე. თავდაპირველად, როცა ფონდი შევქმენით, მასში სასულიერო პირები გავაერთიანეთ, რომ შეცდომა




არ დაგვეშვა, თუნდაც იმიტომ, რომ ფონდის საქმიანობა პოლიტიკურ ამბებში არ გადაზრდილიყო. ამის ყველაზე კარგი საშუალებაა, როცა სასულიერო პირები ტაძრიდან კურთხევას გაძლევენ და საქმიანობის მიმართულებას გიჩვენებენ. ჩვენს ფონდში არიან გაერთიანებული სასულიერო პირები და მათ ვეკითხები, როგორ მოვიქცე, რომ შეცდომა არ მოგვივიდეს. ყველაფერს ვცდილობ, გავაკეთო კურთხევით. რადგან ეკლესიასთან არის ახლოს ჩვენი აქციები, ჩვენი იდეები ხშირად ემთხვევა. ჩვენ ვარსებობთ იმით, რომ ჩვენ გვყავს ასეთი პატრიარქი, მის ყველა ეპისტოლესა და ქადაგებებს ვისმენ და გამომაქვს აზრი, როგორ უნდა ვიმოქმედო. მისი თითოეული ქადაგება და ეპისტოლე არის საქართველოს წიგნი. მათში ზუსტად არის მითითებული, რა გვიჭირს. ბევრმა რომ მოისმინოს, სულ სხვანაირად იცხოვრებენ. მსოფლიოში არსად არ არის ასეთი ადამიანი. როცა ქვეყანას ასეთი ადამიანი გააჩნია, მის სიტყვას უნდა უსმინოს და ღვთის წინაშეც და ერის წინაშეც მართალი იქნება. ჩვენი ფონდის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ის, რომ უკვე ზრდასრულმა ახალგაზრდამ ცუდი არჩევანი არ გააკეთოს. ვცდილობთ, ადამიანები ბავშვობიდანვე ტაძრებში ვატაროთ, ღვთის სიყვარული ჩავუნერგოთ. მჯერა, მომავალში ეს ნაყოფს აუცილებლად გამოიღებს. სამწუხაროდ, ზოგიერთი გაჭირვებული ადამიანი სექტაში წევრიანდება. ეს სირცხვილია. ბორჯომში სექტანტებმა საკმაოდ დიდი შენობა დაიკავეს. ხალხი იქ საკვების გამო მიდიოდა. მეუფე სერაფიმემ ბორჯომის გაჭირვებულ მოსახლეობას დაანახვა, რომ სექტანტები მცდარ გზას ადგნენ. ჩვენი ფონდი უკვე 5 წელია ჩამოყალიბდა, გვინდოდა, ბავშვებზე გვეზრუნა. ვიცი, თვითონ ბავშვობაში რაც მჭირდებოდა — უფროსებთან ურთიერთობა, ეკლესია, ტაძარში სიარული და სიწმინდეებთან სათუთი დამოკიდებულება. ამის წყალობით ხალხთან ურთიერთობაშიც უფრო მიმტევებლები და მოკრძალებულები ვხდებით. ამას თუ ვასწავლით ბავშვებს თავიდანვე, ისინი დამნაშავეებად აღარ გაიზრდებიან. მთავარია, მათ მაქსიმალურად ავარიდოთ ცუდი აურა და გარემო. ჩვენი ფონდი ძალიან ეწინააღმდეგება ტელევიზიით კაზინოების რეკლამირებას. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში დღეს უფლისათვის მიუღებელი ბევრი რამ კეთდება — საზოგადოებას პირდაპირ ტელეეთერიდან მოუწოდებენ, ტოტალიზატორში დადეთ ფსონი და გაჭირვებულებს დავეხმარებითო. იმაზე რატომ არ ფიქრობენ, რომ ბავშვების ნაწილი მატერიალურად გაჭირვებული იმიტომ ხდება, რომ მისი მშობელი ტოტალიზატორში თამაშობს?! კაზინოს, ტოტალიზატორის შემოსავლით იმდენ ადამიანს ვერ ეხმარებიან, რამდენსაც ღუპავენ. კეთილი საქმე უფალს უკავშირდება. „ეშმაკის ფულით“ კეთილ საქმეს ვერ გააკეთებ. აზარტული თამაშები ეკლესიურად მიუღებელია. როცა ქართველი კაცი საქართველოში კაზინოს ხსნის, ის ქართველი აღარ არის, რადგან არ შეიძლება, მცირერიცხოვანი ერის ხარჯზე 2-3 კაცი კარგად იყოს, დანარჩენი კი დაიღუპოს. ეს ძალიან ცუდია. რამდენი ადამიანი დაღუპა ამ კაზინოებმა და ტოტალიზატორებმა. ისეთი ადამიანები უწევენ ამ კაზინოებს რეკლამას, ცნობადი ადამიანები არიან, ჩემთვის არაფერს წარმოადგენენ, მაგრამ მაინც საზოგადოებისთვის ხომ არიან ცნობილი სახეები? ეს რეკლამები დამღუპველია. ამით ერთი და ორი კი არა, ასიათასობით ადამიანი ზარალდება. ვითომ ქველმოქმედებას სჩადიან და ისევ იმ გაღატაკებულ ხალხს უგდებენ კაპიკებს. ხალხი, იცით, რა დღეშია? სახლებს ყიდიან, რომ წაგებული თანხა გადაიხადონ. ადამიანები ფსიქიკურად ზარალდებიან. ეს საშინელებაა. ტოტალიზატორით გაჭირვებული ადამიანები ინტერესდებიან. მათ იმედი აქვთ, რომ დიდ თანხას მოიგებენ და ამის გამო ოჯახს უკანასკნელ ლუკმას ართმევენ.

***— რატომ მოგინდათ ქველმოქმედებაში ჩართვა?***

— რეჟისორიც ვარ და ეკონომისტიც, მაგრამ მინდა, ქველმოქმედებაში აქტიურად ჩავერთო. არ მიყვარს ამ საქმიანობაზე ბევრი ლაპარაკი, მაგრამ ახლა მინდა, ამ აქციამ მასშტაბური ხასიათი მიიღოს. ბავშვებს საჩუქრებს ვაძლევთ — ლოცვის წიგნებს, ჯვრებს, სამახსოვრო საჩუქრებს. ნიქოზში მყავდა ბავშვები, ეკლესიის მშენებლობაშიც მიიღეს მონაწილეობა, ომის დროს დავდიოდი კონფლიქტურ რეგიონებში. საპატრიარქო ოფიციალური ნებართვით დადიოდა, მე დავდიოდი ჩუმად. ვხედავდი, საპატრიარქო როგორ ეხმარებოდა, ამის კადრებიც მაქვს. აგვისტოს ომის პერიოდში ოკუპირებულ ტერიტორიასთან მდებარე ერთ-ერთი სოფლის გზაზე შეგვხვდა ქალი, რომელიც გზის პირას ახლობელი ბიჭის საფლავს დასტიროდა. თურმე რუს ოკუპანტებს ბიჭისთვის რუსული დროშისათვის კოცნა უბრძანებიათ, ბიჭი მათ არ დამორჩილებია, ოკუპანტებს მისთვის პირში ლულა ჩაუდვიათ და ასე მოუკლავთ. ამ ქართველი ბიჭის მიერ ჩადენილი გმირული საქციელის მსგავსს ის ადამიანები ვერასოდეს ჩაიდენენ, რომლებიც ქველმოქმედების სახელით ტოტალიზატორებს „არეკლამებენ“.

***— რა სახის ღონისძიებებს ატარებს თქვენი ფონდი?***

— ბავშვები დაგვყავს ტაძრების მშენებლობებზე, ექსკურსიებზე. ისინი ეცნობიან საქართველოს ისტორიასა და სიწმინდეებს. ჩვეულებრივ ბავშვებთან ერთად, ჩვენს აქციებში ჩართული არიან მიუსაფარი ბავშვებიც. იმ ერთ დღეს მაინც თუ დავავიწყებთ, რომ მას მშობლები არ ჰყავს, მაგითიც კმაყოფილი ვარ ხოლმე. ეს ყველაფერი დიდი ნაყოფს გამოიღებს. ბავშვები მამებთან ურთიერთობენ, პარაკლისებში მონაწილეობენ. ეს ყველაფერი ბავშვებს მომავლისთვის სჭირდებათ. როგორ ხესაც დარგავ, ისეთი ნაყოფიც გამოუვა. დარწმუნებული ვარ, ადამიანი უყურადღებობის გამო ბოროტდება.

***— რატომ მიუსაფარი ბავშვები? სხვა კატეგორიის ბავშვები არ მონაწილეობენ თქვენს აქციებში?***

— მათ უფრო სჭირდებათ ჩვენი ყურადღება, თორემ სხვა კატეგორიის ბავშვებიც დაგვყავს, ამ დროს ყველა ბავშვის ერთმანეთთან ინტეგრაცია ხდება. ისინი თანასწორნი ხდებიან, ისედაც თანასწორნი არიან და თანაც ღვთის წინაშე მიუსაფარნი უფრო ამაღლებული არიან. არის შემთხვევა, როცა ამბობენ, მე დამცინიან, მჩაგრავენო. არ ვიცი, ამას რატომ აპიარებენ, მსგავსი რამ საქართველოში არასოდეს ყოფილა. არავინ არავის დასცინოდა, არც კი იმჩნევდნენ. ახლა გადაცემებში დაიწყეს ამ ყველაფრის ცუდად გაპიარება. რომ მიმყავს ექსკურსიაზე ბავშვები, ისეთი მეგობრობაა, იქ არავინ არავის დასცინის. ასეთი ბავშვები კარგი პლასტელინები არიან და კარგი გამოძერწვა სჭირდებათ.

***— ვინ გეხმარებათ თქვენ მიერ დაგეგმილი აქციების განხორციელებაში?***

— ადრე სპონსორები იყვნენ, ახლა ცოტა გაჭირდა. ხშირად მეგობრები დამხმარებიან. ახლა ჩვენ თვითონ მოვიგონეთ, გამოვუშვათ აქსესუარები, ფონდ „ერთობის“ ნაწარმი, როგორც ბრენდი. შესყიდვის შემდეგ მოგროვდება გარკვეული თანხა და გავუკეთებთ ექსკურსიებს ბავშვებს, მთელ საქართველოს შემოვატარებთ. მიუსაფარს ვამბობთ, თორემ ყველა კატეგორიის ბავშვი გვყავს ამ ექსკურსიებში ჩართული. გვინდა, რეგიონებში გავიდეთ, რათა ისინი ერთმანეთს დაეხმარონ.

***— რა ეღირება თქვენი სუვენირები?***

— ლარი, ორი ლარი. შეიძლება, გაჭირვებულს ლარი ვერ შეაწიო, მაგრამ, როცა ბევრი სუვენირი გაიყიდება, უკვე ყულაბის სისტემა იქნება და გადაეცემა კონკრეტულ ადამიანებს.

***— რას დაამზადებთ?***

— სამაჯურებს, კალმებს, მაისურებს, საათებს, გულსაბნევებს, სხვადასხვა აქსესუარს. ვიღაც რომ იყიდის, ეცოდინება, რომ ამ საქმით გაჭირვებულებს ეხმარება.

***— სად აპირებთ მათ რეალიზაციას?***

— შეიძლება ტაძრებშიც იყოს ალაგ-ალაგ. მოვაწყობთ სხვადასხვა აქციას და მაქსიმალურ თანხებს შევაგროვებთ, რომ გაჭირვებულებს დავეხმაროთ. ძირითადად გაჭირვებულებს ეხმარებიან ეკლესიური ადამიანები, თორემ არაეკლესიურის დახმარება არ გამიგია. თავდაპირველად ცოტა რაოდენობით დავბეჭდავთ, შემდეგ კი უკვე დავივლი ეპარქიებს, სხვადასხვა სოფლებს და გაჭირვებულ ადამიანებს დავეხმარები. მინდა, ნიქოზს დავეხმარო, აქცია ჩავატარო გორში. მინდა, ეს აქცია მასშტაბური გახდეს. მხოლოდ ჩვენს ფონდს მოუვიდა ასეთი იდეა და აუცილებლად განვახორციელებთ.

***— კიდევ ვის დაეხმარებით?***

— მინდა, ტაძრებს დავეხმაროთ. სადაც ჩავალთ ექსკურსიაზე, იმ ტაძარს შევეწევით.

***— როგორ არჩევთ კანდიდატებს?***

— ყველაფერი სპონსორებზეა დამოკიდებული. ვცდილობთ, აქციაში ბევრი ბავშვი ჩაერთოს და ტაძრების მშენებლობაში საკუთარი წვლილი შეიტანოს. თუ ისეთ ადგილებში მივდივართ, როგორებიც არის ატენის სიონი და უფლისციხე, მაშინ გიდსაც ვქირაობთ. სასულიერო პირებიც გვეხმარებიან და დადებით ზეგავლენას ახდენენ მათზე. სასულიერო პირები ხშირად იხდიან პარაკლისს, ნათლავენ

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავლისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა, თვეში 3-5 სმ მომატებით 25 წლამდე, ძვლის აქტიური კვება-ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე უნებლიე შარდვის (ენურეზის) მკურნალობა როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. ასევე გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა უკუჩვენების გარეშე, 100% შედეგებით. ტელ: 599-964-494; 234-02-38 ექიმი სალომე.

● ჰორმონალური პრობლემის მოწესრიგება, ციკლის დარღვევები, კლიმაქსური ფონის მოხსნა (ალები, ნევროზი, შიშები, უძილობა) ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე დაინფიცირებისგან. სიმსივნური პროცესის შეჩერება (იმუნიტეტის გაძლიერება), მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 234-02-38; 599-964-494 ექიმი სალომე.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● მაღალკვალიფიციური პროფესორმასწავლებლები მოამზადებენ აბიტურიენტებს, მაგისტრანტებსა და მოსწავლეებს ეროვნული და საატესტატო გამოცდებისთვის ყველა საგანში, ოთხი საგანი 160 ლარი. ტელ: 239-08-42; 599-48-39-13.

# ტორპედო სტარტზე მწვრთნელების გაშვებას დაეჩვია

**მეტალურგი — ტორპედო 2:0**

**რუსთავი.** "ფოლადი". 2.000 მაყურებელი

1:0, 2:0 ტატანაშვილი (30, 61)

**მეტალურგი:** ბედიაშვილი, სეთურიძე (მახვილაძე 67), გ.კვარაცხელია, კვახაძე, ჯაფარიძე, რაზმაძე, ქავთარაძე (დობროვოლსკი 58), მიქაბერიძე (ი.მაისურაძე 58), ჭედია, გეწაძე, ტატანაშვილი

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, ფოფხაძე, გამეზარდაშვილი, ფარულავა, ჩიკვილაძე, დიღმელაშვილი, დ.ბოლქვაძე, გ.დათუნაიშვილი, იოსელიანი (მეგრელაძე 53), დოლიძე (კუხიანიძე 46), საბანაძე (გოცირიძე 67)

ზედიზედ მეორე სეზონის დასაწყისია, როდესაც ქუთაისის „ტორპედოს" გულშემატკივრები მწვრთნელის შეცვლას ითხოვენ. გასულ სეზონში მოთხოვნას ნესტორ მუმლაძე შეეწირა, წელს კი კიკნაძე□ზამთარაძის დუეტი დგას ზღურბლზე. შესაძლოა, ამ დროისთვის ყველაფერი გარკვეული იყოს, რადგან ქუთაისური კლუბის პრესსამსახურის უფროსის, რამაზ ჩხიკვაძის თქმით, მწვრთნელებმა გუშინ გუნდი ჩვეულ რეჟიმში ავარჯიშეს, ხოლო ხელმძღვანელების შეკრება მოგვიანებით იყო დაგეგმილი და ვინ რა განაჩენს გამოიტანდა, იქ გადაწყდებოდა. თუმცა, თავად მწვრთნელებს გუნდის დატოვება უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ.

ვერ დავიჩემებთ, რა მოხდა, მაგრამ „მეტალურგთან" მატჩისას ქუთაისელთა გუნდი მოედანზე იდგა, ეს ყველაფერი კი ამ მოვლენების შემდეგ სწორედ დამდგარ სპექტაკლს გავდა.

რუსთაველები მე-3 წუთზე კინაღამ კურიოზული გოლით დაწინაურდნენ — ომარ მიგინეიშვილმა ცუდად შეიტანა ბურთი, რომელიც ტატანაშვილს ზურგში მოხვდა და გოლს ცოტაღა დააკლდა. მალევე, გიორგი ჭედიას შეექმნა მომენტი, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოვიდა.

მართალია, იმერლები არაფერს ცდილობდნენ, მაგრამ დიდი მონდომება არც კობა ჟორჟიკაშვილის შეგირდებს ეტყობოდათ და თამაში სწრაფტემპიანი არ იყო. როგორც ქართულ ფეხბურთს სჩვევია, ამჯერადაც ხშირი იყო ელემენტარული შეცდომები.

„მეტალურგმა" თავისი მცირე უპირატესობა გოლად 30-ე წუთზე აქცია — რევაზ გეწაძემ მარცხნიდან ჩააწოდა, ბურთი ჭედიას ფეხიდან ტატანაშვილს მიუვიდა, რომელმაც ჰაერში ერთი შეხებით შეაგება და მიგინეიშვილის კარის ცხრიანში გაგზავნა — 1:0.

ტაიმის ბოლოს, გუნდებმა თითო მომენტი გაცვალეს: ჭედიამ კონტრშეტევისას მახვილი კუთხიდან მიზანში ვერ დაარტყა, ხოლო ქუთათურთა მცველმა თემურ ფარულავამ კი თავური დარტყმით გადააცილა კარს.

ქუთაისელი გულშემატკივრები კი „კიკნაძე, წადის" გარდა, „მეგრელაძე, მეგრელაძეს" სკანდირებდნენ. გამოცდილი ფორვარდი 56-ე წუთზე შეიყვანა კიკნაძემ და მეგრელაძე მანაც თავისი გამოცდილები რუსთაველთა კართან ყველაზე რეალური ხიფათი შექმნა, როდესაც 77-ე წუთზე უხერხული სიტუაციიდან შემოტრიალებით დაარტყა და გრიგოლ ბედიაშვილმა რთული ბურთი მოიგერია.

მანამდე „მეტალურგს" მეორე გოლი გატანილი ჰქონდა — 61-ე წუთზე, შეცვლაზე ახალშესულმა ირაკლი მაისურაძემ ტატანაშვილს საჯარიმოში შეაყოლა ბურთი და რუსთაველთა გოლეადორმა ზედიზედ მეორე მატჩში დუბლი მიითვალა — ტექნიკური, რბილი დარტყმით მეკარეს შანსი არ დაუტოვა — 2:0.

ტატანაშვილს კიდევ ორჯერ შეეძლო გატანა, მაგრამ ჯერ მაისურაძის პასის შემდეგ ააცილა, შემდეგ კი გეწაძის ფლანგური გარღვევის შემდეგ დაარტყა და მეკარემ აუღო. მატჩის ბოლოს კი, მაისურაძესა და ჭედიას უნდა გაეტანათ, მაგრამ ვერც მათ ივარგეს.

**კოლხეთი — დინამო 0:3**

**ზუგდიდი.** გულია თუთბერიძის სახელობის სტადიონი

0:1 კვეკვესკირი (55), 0:2 კოშკაძე (62), 0:3 ჯიღაური (76)

**კოლხეთი:** ნადირაშვილი, ცხვიტარია, ინწკირველი, თედიაშვილი, პ.დათუნაიშვილი, გოგონაია (ცხადაია 73), შავგულიძე, ლემონჯავა, ქებაძე, გვალია, ჯანაშია (ციცხვაია 69)

**დინამო:** ლორია, ოდიკაძე, თომაშვილი, კაკუბავა, ჰომოლა, კვეკვესკირი, ალვარო (ჯიღაური 71), კოშკაძე, კოტო, ლექვთაძე (რობერტინიო 60), იაგუე (ფანცხავა 80)

საქართველოს 13-გზის ჩემპიონმა ამჯერად გამარჯვება სუფთა ქართული გოლებით მოიპოვა და ესპანელი თუ ბრაზილიელი ლეგიონერების დახმარება არ „დასჭირვებია". ფოთელებს გეგმაში სტადიონის რეკონსტრუქციაა აქვთ, რომელიც დაწყებულია და როდის დამთავრდება ჯერ კაციშვილმა არ იცის, ამის გამო ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან გუნდს ზუგდიდში უმასპინძლა.

თუ „დინამოს" ვებგვერდს დავყრდნობით, პირველი ტაიმი არცთუ საინტერესოდ წარიმართა და ყველაზე რეალური მომენტი სტუმართა კართან შეიქმნა — 42-ე წუთზე თბილისელთა მეკარე გიორგი ლორიამ თავისი კარი ზამირ ჯანაშიას მიერ შესრულებული დარტყმის შემდეგ იხსნა და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

მეორე ტაიმში თბილისელთა შეტევებს გაცილებით მეტი სიმწვავე და სიზუსტე ჰქონდა, რამაც ასახვა ანგარიშშიც ჰპოვა. პირველი გოლი 56-ე წუთზე გავიდა, როდესაც ნიკა კვეკვესკირმა შორიდან ძლიერი დარტყმით გაიტანა — 0:1.

მალევე დინამოელებმა მეორეც მიაყოლეს და მატჩის ბედიც იქ გადაწყდა — იაგუეს ჩაწოდებული ბურთი კოტომ მიიღო და უმალ ალექსანდრე კოშკაძეს დაუგორა დასარტყმელად, სტუმართა შვიდიანის დარტყმის შემდეგ ლადო ნადირაშვილი უძლური აღმოჩნდა და „დინამო" კიდევ უფრო დაწინაურდა — 0:2.

77-ე წუთზე კოშკაძის მიერ საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთზე თავით რობერტინიომ ითამაშა, მაგრამ ბურთი ხარიხამ მოიგერია, მინდორზე დაბრუნებულ ბურთზე ყველას ჯაბა ჯიღაურმა დაასწრო და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა — 0:3.

**მერანი — დილა 2:2**

**მარტვილი.** ცენტრალური სტადიონი

0:1 ჩაგელიშვილი (20), 1:1 მანწკავა (21), 1:2 რაჟამაშვილი (60), 2:2 მანწკავა (63)

**მერანი:** შეროზია, კაკუშაძე, გ.ჟვანია, გ.მანწკავა, სუხიაშვილი, ე.გრიგალაშვილი (სამადაშვილი 65), დიდავა, მემარნიშვილი, ამბროლაძე, ჩალაძე, ტაპე (ტორაძე 86)

**დილა:** მერლანი, ო.გველესიანი, ბაქრაძე (მაჭავარიანი 46), ლომიძე, ქარქუზაშვილი, ვ.ხორგუაშვილი, ახალკაცი (ი.ბერაია 46), პ.ხორგუაშვილი, ნემსაძე (ნ.ნოზაძე 62), რაჟამაშვილი, დ.ჩაგელიშვილი

მატჩის დასაწყისი სტუმართა უპირატესობით წარიმართა და უკვე მე-20 წუთზე ანგარიშიც გახსნეს გორელები დავით ჩაგელიშვილის გოლით დაწინაურდნენ. თუმცა, იქვე გიორგი მანწკავამ ანგარიში გაათანაბრა და თაიმიც ასე მორჩა — 1:1.

გორელები მეორე ტაიმშიც დაწინაურდნენ — გოლი ამჯერად დავით რაჟამაშვილის ანგარიშზეა.

„მერანი" მარცხისაგან გიორგი მანწკავამ იხსნა. 63-ე წუთზე მარტვილელთა ფორვარდმა დუბლი შეასრულა და თავისიანებს ქულა მოუტანა — 2:2.

**სიონი — ზესტაფონი 1:2**

**ბოლნისი.** თამაზ სტეფანიას სახელობის სტადიონი

0:1 წინამძღვრიშვილი (63პ), 0:2 ლომია (80), 1:2 ჩხეტიანი (90)

**სიონი:** ზუხბაია, კობაური, გ.ოქროპირიძე, სვანიძე, კობერიძე (ქუცურუა 46), რეხვიაშვილი (ისიანი 82), გაბრიჭიძე, უგრეხელიძე, ვ.ბოლქვაძე, ლ.ჩხეტიანი, უგულავა (მ.ოქროპირიძე 66)

**ზესტაფონი:** კვასხვაძე, ალადაშვილი, გ.ონიანი, მ.კობახიძე, ელიავა, ბაბუნაშვილი (ბენაშვილი 67), გორგიაშვილი, შ.გრიგალაშვილი, აფციაური (სარდალიშვილი 45), დვალი (ს.ლომია45), წინამძღვრიშვილი

**გაძევება:** სვანიძე (61)

დიდი უპირატესობის მიუხედავად, „ზესტაფონმა" ანგარიშის გახსნა მხოლოდ მე-2 ტაიმში მოახერხა — იმერელთა კუთხურის შემდეგ მასპინძლეთა კაპიტანმა დავით სვანიძემ ხელით ითამაშა და პენალტთან ერთად მეორე ყვითელ ბარათსაც გამოჰკრა ხელი. პენალტი რატი წინამძღვრიშვილმა აქცია გოლად.

ამის შემდეგ კაცნაკლულ მასპინძლებთან თამაში ფავორიტად შერაცხულ ზესტაფონელებს არ გასჭირვებიათ და მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე, უმაღლეს ლიგაში თავისი სადებიუტო გოლი გაიტანა საბა ლომიამ — 0:2.

თუმცა, ქვემოქართლელებმა ბოლო წუთზე პრესტიჟის გოლი მაინც გაიტანეს — თავი ლევან ჩხეტიანმა გამოიჩინა — 1:2.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 5 | 4 | 1 | 0 | 11:4 | 13 |
| 2.ბაია | 5 | 4 | 0 | 1 | 10:3 | 12 |
| 3.ზესტაფონი | 5 | 3 | 2 | 0 | 10:6 | 11 |
| 4.მეტალურგი | 6 | 3 | 2 | 1 | 6:2 | 11 |
| 5.გაგრა | 5 | 3 | 0 | 2 | 9:6 | 9 |
| 6.მერანი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:8 | 8 |
| 7.ტორპედო | 5 | 2 | 0 | 3 | 4:5 | 6 |
| 8.ვიტ ჯორჯია | 5 | 1 | 2 | 2 | 5:8 | 5 |
| 9.კოლხეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:8 | 5 |
| 10.დილა | 5 | 1 | 1 | 3 | 7:9 | 4 |
| 11.სპარტაკი | 5 | 0 | 2 | 3 | 2:6 | 2 |
| 12.სიონი | 6 | 0 | 2 | 4 | 3:11 | 2 |

**ბომბარდირები:**

დიმიტრი ტატანაშვილი (მეტალურგი) — 4 ბურთი, ლუკა გუგუჩია (ბაია), შალვა კვანტალიანი (გაგრა), გიორგი მანწკავა (მერანი), ჩისკო (დინამო), რატი წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) 3□3.

# შოტლანდიასთან ასე რომ გვეთამაშა

**საქართველო — ინგლისი 10:41**

**საქართველო:** 15. რეზო გიგაური, 14. სანდრო თოდუა, 13. დავით კაჭარავა, 12. თედო ზიბზიბაძე, 11. ირაკლი მაჩხანელი, 10. მერაბ კვირკაშვილი, 9. ირაკლი აბუსერიძე.

1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. ჯაბა ბრეგვაძე, 3. დავით ქუბრიაშვილი, 4. ილია ზედგინიძე, 5. ვახტანგ მაისურაძე, 6. შალვა სუთიაშვილი, 7. მამუკა გორგოძე, 8. დიმიტრი ბასილაია.



**მარქაფა:** 16. აქვსენტი გიორგაძე, 17. დავით ზირაქაშვილი, 18. გიორგი ჩხაიძე, 19. ლევან დათუნაშვილი, 20. გივი ბერიშვილი, 21. ბიძინა სამხარაძე, 22. ლაშა ხმალაძე.

**ინგლისი:** 15. ბენ ფოდენი, 14. კრის ეშტონი, 13. მანუ ტუილაგი, 12. შონთაი ჰეპი, 11. დელონ არმითიჯი, 10. ტობი ფლადი, 9. ბენ იანგზი. 1. მეთ სტივენსი, 2. დილან ჰარტლი, 3. დენ კოლი, 4. საიმონ შოუ, 5. ტომ პალმერი, 6. ტომ ვუდი, 7. ლუის მუდი, 8. ნიკ ისთერი

**მარქაფა:** 16. სტივ ტომსონი, 17. ალექს კორბშეირო, 18. ტომ კროფტი, 19. ჯეიმზ ჰესკელი, 20. ჯო სიმპსონი, 21. ჯონი ვილკინსონი, 22. მეთ ბანაჰანისაქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ახალ ზელანდიაში მიმდინარე მსოფლიოს თასზე მეორე მატჩი ბ ჯგუფის პირველადგილოსან ინგლისის ეროვნულ ნაკრებთან გამართა და 10:41 დამარცხდა.

„ბორჯღალოსნები" ტურნირის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტ ინგლისებს დიდი მონდომებით ეთამაშნენ. პირველ ტაიმში, მიუხედავად იმისა, რომ დაცვაში დასანანი შეცდომების გამო ორი ლელო მიიღეს, შესვენებამდე დიმიტრი ბასილაიამ იყოჩაღა და საქართველოს ნაკრებს ახალ ზელანდიაში პირველი ლელო მოუტანა. მანამდე მერაბ კვირიკაშვილმა ერთი საჯარიმოს გატანა შეძლო და პირველი ნახევარი 10:17 დასრულდა.

ეს კიდევ არაფერია, განსაკუთრებით გამოსარჩევია საქართველოს ნაკრების თამაშის ხარისხი. რიჩი დიქსონის შეგირდება პირველ ტაიმში მართლაც უმაღლესი კლასის რაგბი აჩვენეს. ტერიტორიული უპირატესობა 80:20-ზე ჰქონდათ. ზემოთ ნახსენებ დაცვაში დაშვებულ შეცდომებს კვირიკაშვილის ნერვიულობაც დაერთო, რომელმაც 3 გასატანი ჯარიმა გააფუჭა. არადა, გუნდი ისეთი მონდომებით თამაშობდა, ვერავინ იფიქრებდა, რომ 4 დღის წინ ჩვენები სრულიად უღიმღამოდ ეთამაშენ სოტლანდიის ნაკრებს. სქოთებთანაც ასეთი შემართებით რომ გამოსულიყვნენ, ეგებ პირველი ხმაურიანი სენსაციაც კი მოეხდინათ.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბლექბერნი-არსენალი ........ 4:3
ასტონ ვილა-ნიუკასლი ........ 1:1
ბოლტონი-ნორვიჩი ........ 1:2
ვულვზი-ქპრ ........ 0:3
სუონსი-ვესტ ბრომვიჩი ........ 3:0
ევერტონი-უიგანი ........ 3:1

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

მილუოლი-ვესტ ჰემი ........ 0:0
ნოტინგემი-დერბი ........ 1:2
ბარნსლი-უოტფორდი ........ 1:1
ბლექპული-კარდიფი ........ 1:1
კრ.პალასი-მიდლსბრო ........ 0:1
ლესტერი-ბრაიტონი ........ 1:0
ლიდსი-ბრისტოლი ........ 2:1
პიტერბრო-ბარნსლი ........ 2:1
რედინგი-დონკასტერი ........ 2:0
ჰალი-პორთსმუთი ........ 1:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

გრანადა-ვილიარეალი ........ 1:0
მალიორკა-მალაგა ........ 0:1
ხიხონი-ვალენსია ........ 0:1
ბარსელონა-ოსასუნა ........ 8:0
სევილია-სოსიედადი ........ 1:0

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ვალიადოლიდი-მურსია ........ 1:3
დეპორტივო-საბადელი ........ 2:1
კარტახენა-ალკორკონი ........ 0:2
ნუმანსია-ხირონა ........ 1:0
უელვა-ელჩე ........ 1:0
უესკა-ალკოიანო ........ 3:3
ლას პალმასი-კორდობა ........ 0:1
ხერესი-ხიმნასტიკი ........ 0:0

**იტალია. სერია ა**

კალიარი-ნოვარა ........ 2:1
ინტერი-რომა ........ 0:0

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი სასუოლო ........ 0:1
ბარი-ნოჩერინა ........ 1:1
ვარეზე ალბინოლეფე ........ 2:1
კროტონე-ემპოლი ........ 2:1
ლივორნო-იუევე სტაბია ........ 3:0
მოდენა-გუბიო ........ 1:1
რეჯინა-პესკარა ........ 4:2
სამპდორია-გროსეტო ........ 0:0
ჩიტადელა-ვიჩენცა ........ 4:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ლევერკუზენი-კიოლნი ........ 1:4
ჰამბურგი-გლადბახი ........ 0:1
ჰერტა-აუგსბურგი ........ 2:2
ნიურნბერგი-ვერდერი ........ 1:1
ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი ........ 3:1
კაიზერი-მაინცი ........ 3:1

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

აინტრახტი-კოტბუსი ........ 3:1
დუისბურგი-უნიონი ........ 1:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ბრესტი-მონპელიე ........ 2:2
ვალანსიენი-დიჟონი ........ 4:0
ლორიენი-სენტ ეტიენი ........ 3:0
ნიცა-აიაჩო ........ 3:0
ოსერი-კანი ........ 1:1
ტულუზა-ბორდო ........ 3:2
ლილი-სოშო ........ 2:2

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

## შედეგები

ლე მანი-მეცი ........ 0:1

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

გრონინგენი-ექსელსიორი ........ 2:0
ვენლო-ჰერენვენი ........ 0:3
ვიტესი-როდა ........ 5:0

*ვიტესის მეორე და მესამე გოლები გურამ კაშიამ დაგიორგი ჭანტურიამ გაიტანეს*

ფეინოორდი-გრააფსხაპი ........ 4:0

**პორტუგალია. ა ლიგა**

ნასიონალი-ფერერირა ........ 1:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ტომი-კრასნოდარი ........ 0:4
ვოლგა-ნალჩიკი ........ 1:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

დამფერმლაიანი-ჰიბერნიანი ........ 2:2
აბერდინი-კილმანროკი ........ 2:2
დანდი-ინვერნესი ........ 3:1
მოზერველი-სტ.ჯონსონი ........ 0:3
ჰართსი-სტ.მირენი ........ 2:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რიდი-ადმირა ........ 1:1
რაპიდი-კაფენბერგი ........ 5:1

**ბელგია. პროლიგა**

ვესტერლო-სტ.ტრუიდენი ........ 2:0
ბეერსხოტი-ვარეგემი ........ 2:0
კორტრაიკი-ევერლე ........ 2:0
მონსი-მეხელენი ........ 5:1
სერლკი-ლიერსი ........ 0:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

კერკირა-პანეთოლიკოსი ........ 2:3
ატრომიტოსი-პანათინაიკოსი ........ 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

გენჩლერი-ქარაბუქი ........ 2:1
ორდუ-მანისა ........ 1:0
ტრაბზონი-ისტანბული ........ 0:1

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ლიბერეცისიგმა ........ 1:1
სლოვაცკო-ბუდეოვიცე ........ 2:0
პლზენი-იაბლონეცი ........ 4:2
ჟიჟკოვი-ტეპლიცე ........ 0:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პოდბესკიჟიე-ხიჟუვი ........ 0:1
ლოძი-გურნიკი ........ 1:1
კორონა-ლეჩნა ........ 1:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ილიჩევეცი-ზარია ........ 1:1
კარპატი-ობოლონი ........ 0:0
დნიპრო-ტავრია ........ 2:1

**დანია. სუპერლიგა**

კიოგე-ორხუსი ........ 0:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

კალმარი-ჰალმშტადი ........ 1:0

**ნორვეგია. ელიტ სერია**

ფრედრიკსტადი-მიოლდე ........ 0:1

**აშშ. მლს**

ფილადელფია-კოლამბუსი ........ 1:0
დალასი-ნიო იორკი ........ 0:1
ჰიუსტონი-სან ხოსე ........ 2:1
სოლტ ლეიკი-კანზასი ........ 1:0
სიეტლი-ვაშინგტონი ........ 3:0
ლოს ანჯელესი-ვანკუვერი ........ 3:0

**ბრაზილია. სერია ა**

ატლეტიკო(გ)-ატლეტიკო(მ) ........ 1:0
ვასკო-გრემიო ........ 4:0
სან პაულუ-სეარა ........ 4:0

**არგენტინა. აპერტურა**

ოლიმპო-გოდოი ........ 2:2
სან მარტინი-ბელგრანო ........ 0:1
ტიგრე-არსენალი ........ 2:2
ოლ ბოიზი-ბანფილდი ........ 0:1
სან ლორენცო-რაფაელა ........ 1:3

**კალათბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**

სერბეთი-სლოვენია ........ 68:72
ლიტვა-საბერძნეთი ........ 73:69

**ფრენბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**

**კაცები**

იტალია-პოლონეთი ........ 3:0
რუსეთი-სერბეთი ........ 2:3

**ამხანაგური მატჩები**

**ქალები**

კანადა-მექსიკა ........ 1:3
კუბა-პუერტო რიკო ........ 3:0
აშშ-დომინიკების რესპ. ........ 3:0
ჰოლანდია-თურქეთი ........ 0:3
საფრანგეთი-რუმინეთი ........ 3:2

**რაგბი**

**მსოფლიო თასი**

უელსი-სამოა ........ 17:10
ინგლისი-საქართველო ........ 41:10
საფრანგეთი-კანადა ........ 46:19

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ილიკო სუხიშვილსა და ნინო რამიშვილს ძეგლებს დაუდგამენ

ეკა ირემაშვილი

**რუსეთში მოღვაწე ქართველმა მოქანდაკემ ზურაბ წერეთელმა საქართველოს თავისი ნამუშევრებიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი ქანდაკება აჩუქა.**





უკვე თბილისშია გიორგი დანელიას ცნობილი კინოფილმის „მიმინოს“ მთავარი გმირები. ვალიკო მიზანდარის, რუბიკ ხაჩიკიანისა და ივან ვოლოხოვის პერსონაჟები საქართველოს დედაქალაქში ერთი თვის წინ ჩამოიტანეს. მათი საზეიმო გახსნა 14 ოქტომბერს არის დაგეგმილი, რომელსაც ბუბა კიკაბიძის გრანდიოზული კონცერტი დაასრულებს. ძეგლები მეტრო „ავლაბრის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სკვერშია განთავსებული. მათი მონტაჟი რამდენიმე დღის წინ დასრულდა.

„მიმინოს“ კინოგმირების პერსონაჟების გარდა, უკვე თბილისშია ქართული ნაციონალური ბალეტის დამფუძნებლების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ძეგლებიც. მათთან ერთად ზურაბ წერეთელმა თბილისს აჩუქა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ქანდაკებაც.

ზურაბ წერეთელმა ყველა ქანდაკება გასულ წლებში შექმნა. „მიმინოს“ კინოგმირების ძეგლები 2007 წელს შეიქმნა. მათი დადგმა ზურაბ წერეთელს მოსკოვში სურდა, მაგრამ რუსეთის დედაქალაქის მერიამ ამაზე უარი განაცხადა.

ქართული ნაციონალური ბალეტის დამფუძნებლების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ძეგლების გახსნა თბილისობაზეა დაგეგმილი. საქართველოს დედაქალაქის მთავარ დღესასწაულზე დაგეგმილია ანსამბლ „სუხიშვილების“ კონცერტზე. მანამდე კი ანსამბლი ერთდროულად რამდენიმე ღონისძიებაში მონაწილეობს. ანსამბლი მიუზიკლ „ქეთო და კოტეში“ ცეკვავს. სპექტაკლში 30 მოცეკვავეა დაკავებული და 6 ნომერს ასრულებს. „სუხიშვილები“ „თბილისობის“ დღესასწაულზე სწორედ ამ ნომრით წარდგებიან საზოგადოების წინაშე. ანსამბლის წევრთა ნაწილი ვილნიუსში კალათბურთის ჩემპიონატზე იყო წასული, სადაც „ქართულ დღეებზე“ რამდენიმე ცეკვაც წარადგინეს. ვილნიუსში იმყოფებოდნენ ნინო და ილიკო სუხიშვილებიც. ვილნიუსში მოეწყო „ქართული დღეები“, სადაც ანსამბლმა რამდენიმე ცეკვა შეასრულა. ანსამბლი იქიდან ბელორუსიაში ფესტივალზე გადაფრინდა, ნოემბერში კი უკვე სხვადასხვა ქვეყანაში ელოდებიან.

ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ძეგლების დასადგმელად თბილისში რამდენიმე ადგილი განიხილება, მათ შორის არის ნინო რამიშვილის ქუჩა. საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, სად განთავსდება ქართული ცეკვის ლეგენდარული წარმომადგენლების ძეგლები.

რაც შეეხება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ძეგლს, იგი ქართველმა მოქანდაკემ ბრინჯაოში 2003 წელს ჩამოასხა. ძეგლის თბილისში ჩამოტანამდე ილია II-ის ქანდაკება ზურაბ წერეთლის ხელოვნების მუზეუმში, მოსკოვში ინახებოდა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ძეგლთან ერთად ქართველმა მოქანდაკემ რუსეთის აწ განსვენებული პატრიარქის ალექსი II-ის ძეგლიც შექმნა. ორივე ქანდაკება 2.8 მეტრის სიმაღლისაა და ორივე ბრინჯაოსია. ალექსი II-ის ქანდაკება მოსკოვის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმშია განთავსებული, ილია II-ის ძეგლი კი უკვე თბილისშია.

ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ძეგლების მსგავსად, ჯერ გადაწყვეტილი არ არის, სად დაიდგმება მისი უწმინდესობის ძეგლი. ვრცელდება ინფორმაცია, რომ თავისუფლების მოედანზე განთავსებული წმინდა გიორგის ძეგლის მსგავსად, ყველა ეს ქანდაკება ზურაბ წერეთელმა საქართველოს აჩუქა და მათში მთავრობას არანაირი ჰონორარი არ გადაუხდია.

სპორტი

## სოხუმი ლატვიაში ფინალს ითამაშებს

როგორც უკვე იცით, საკალათბურთო გუნდი „სოხუმი“ ევროჩელენჯის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის ემზადება და ლატვიაში საერთაშორისო ტურნირზე მონაწილეობს, სადაც ფინალში გასვლა მოახერხა.

არადა, პირველი თამაში სოხუმელებმა რუსეთის სუპერლიგის კლუბ ჩერეპოვეცის სევეროსტალთან წააგეს — 85:90. „სოხუმის“ შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანები იყვნენ ლაშა ფარღალავა (21ქულა), მარკ სალიერსი (15ქულა) და პიერ პირსი (14ქულა). ტრავმის შემდეგ „სოხუმის“ შემადგენლობაში პირველად ითამაშა მიხეილ ბერიშვილმა. მიუხედავად მარცხისა, „სოხუმს“ აქვს შანსი დარჩა ჯგუფში პირველი ადგილი დაეკავებია, მხოლოდ უკვე სხვა მატჩზე იყვნენ დამოკიდებული და ასეც მოხვდა.

მეორე მატჩში „სოხუმმა“ ტურნირის მასპინძლები, „ლიეპაიას ლომები“ ანგარიშით 80-68 დაამარცხა და დაიკავა პირველი ადგილი ქვეჯგუფში, რადგან თავის მხრივ ლიეპაიელებმა „სევორტალი“ დაჩაგრეს. შედეგად კი „სოხუმმა“ ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა, რომელიც დღეს გაიმართება და „სოხუმელთა“ მეტოქე უკრაინული კლუბი „დნიპრო“ იქნება.

ლიეპაიას „ლომებთან“ შეხვედრისას „სოხუმის“ შემადგენლობიდან გამოირჩეოდნენ მარკ სალიერსი და ლაშა ფარღალავა, რომლებმაც შესაბამისად დააგროვეს 25 და 21 ქულა.

რადგან საკალათბურთო თემას ვეხებით, გეტყვით, რომ სოხუმელთა და არმიელთა გარდა, გუნდის გაძლიერებას აპირებს შსს და მისმა ხელმძღვანელობამ საქართველოში ამერიკელი უკანასხაზელი რობო კრეპსი (183 სმ.) ჩამოიყვანა. კრეპსი გუნდს გაეცნო და ვარჯიშსაც შეუდგა.

კრეპსს შსს-სთან ერთწლიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული. რობო გასული წლების განმავლობაში ილინოისის შტატის „ჩიკაგო ფლეიმსის“ ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე გახლდათ.

კრეპსი აშშ-ს სტუდენტური ლიგის (ნცაა) კლუბში 2007 წელს ჩაირიცხა და მუდმივ პროგრესს განიცდიდა.

კრეპსისთვის საუკეთესო კი გასული სეზონი გამოდგა, რომელშიც საშუალოდ 38.4 წუთს თამაშობდა, მისმა საშუალო მონაგარმა კი 15.8 ქულას, 4,2 მოხსნას, 2,9 პასსა და 1.4 ჩაჭრას უწია. ამერიკელ კალათბურთელს ტყორცნებში 41, 8 პროცენტიანი მაჩვენებელი ჰქონდა, სამქულიანებში — 36,1, ხოლო საჯარიმოებს 79,2 პროცენტიანი სიზუსტით ესროდა.

გიორგი ნიკოლაძის, ბექა წივწივაძის, ჟოლივეტ ტუჯანი-ტალბას, დავით იმნაძის, ლექსო ლაფანაშვილის, ილია ლონდარიძის, აკაკი დვალიშვილის, ნოდარ თენიეშვილის, მერაბ ბოქოლიშვილისა და აკაკი ლომოურის შემდეგ, რობო კრეპსი მეთერთმეტე კალათბურთელი იქნება, ვინც 2011-12 წლების სეზონში შსს-ს განაცხადში მოხვდება.

## „აიას“ ვერ აჩერებენ

სანამ ახალ ზელანდიაში მსოფლიოს თასის გათამაშება მიმდინარეობს, საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის რეგულარული პირველობა გრძელდება და მის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე, დაუმარცხებელმა „აიამ“ მინიმუმ მეორე ადგილზე გასვლა გაინაღდა.

სატურნირო ცხრილში ისეთი სიტუაციაა, რომ რიონისპირელებს პირველობას ვერავინ შეეცილება, რაც მოედნის უპირატესობას მისცემს, მაგრამ ფლეი ოფებში რა მოხდება, ამისი განსაზღვრა ცოტა რთულია.

მე-10 ტურში „აია“ „არმაზს“ თბილისში ესტუმრა. ქუთაისელებმა მებრძოლი მეტოქე მხოლოდ მეორე ტაიმში გატეხეს. პირველი ნახევრის მიწურულს, „არმაზმა“ ჩამორჩენის შემცირება მოახერხა და ტაიმი 10:12 დათმო, მაგრამ მეტის გასაკეთებლად ძალა აღარ ეყო და 17:31 დამარცხდა.

მორიგი გამარჯვება იზეიმა და საფლეიოფო ოთხეულისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა „არმიამ“, რომელიც უშუალო კონკურენტ „ლელოს“ დაუპირისპირდა და მეტოქე 29:9 დაამარცხა.

დანარჩენ ორ შეხვედრაში დიდი ბრძოლები გაიმართა და ჩემპიონატის აუტსაიდერებმა მინიმალური სხვაობით იმარჯვეს, რის შემდეგაც ქვედა ექვსეულში ბრძოლა კიდევ უფრო გამძაფრდა.

განსაკუთრებით დიდი მოულოდნელობა აღმოჩნდა აუტსაიდერი „ყოჩების“ გამარჯვება, ქვეყნის ჩემპიონ „ლოკომოტივთან“ — 12:10. თუმცა, ბოლო ადგილს თავი მაინც ვერ დააღწია, რადგან რუსთავის „ხარებმა“ თავის მხრივ საფლეიოფო ოთხეულის საგზურისთვის მებრძოლი „აკადემია“ 17:16 დაამარცხა და ბოლო ადგილოსანთან სამქულიანი ჰანდიკაპი შეინარჩუნა.

რეგულარული პირველობის დარჩენილ ოთხ ტურში, საფლეიოფო ოთხეულისთვის და ბოლოსწინა ადგილისთვის ბრძოლა უკიდურესად დაიძაბა და სავარაუდოდ, ბოლო მომენტამდე ვერაფერი გაირკვევა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აია | 10 | 10 | 0 | 0 | 275:120 | 20 |
| 2.არმია | 10 | 7 | 1 | 2 | 239:162 | 15 |
| 3.ლოკომოტივი | 10 | 5 | 05 | | 188:180 | 10 |
| 4.აკადემია | 10 | 3 | 3 | 4 | 185:204 | 9 |
| 5.არმაზი | 10 | 4 | 1 | 5 | 198:218 | 9 |
| 6.ლელო | 10 | 4 | 0 | 6 | 224:218 | 8 |
| 7.ხარები | 10 | 3 | 0 | 7 | 115:212 | 6 |
| 8.ყოჩები | 10 | 1 | 1 | 8 | 132:242 | 3 |

## შოტლანდიასთან ასე რომ გვეთამაშა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

სამწუხაროდ, მეორე ტაიმში ქართველმა მორაგბეებმა, თავგანწირული თამაშის მიუხედავად, თავიანთ მონაგარს მეტი ველარაფერი შემატეს, ინგლისელები კი კლასისა და ტექნიკის ხარჯზე კარგად სარგებლობდნენ და ჩვენ შეცდომებს კარგად იყენებდნენ. საერთო ჯამში, მარტინ ჯონსონის მორაგბეებმა 6 ლელო დაგვიდეს, 4 რეალიზაცია და ერთი საჯარიმო ზუსტად შეასრულეს და ანგარიშით 41:10 გაიმარჯვეს.

თუმცა, უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენმა ნაკრებმა სარაგბო სამყაროში დიდი ყურადღება მიიპყრო — უცხოური პრესა მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ ინგლისმა თამაში კი მოიგო, მაგრამ ხეირიანი არაფერი უჩვენებია და თუ მოედანზე ვინმე იყო, ეს საქართველოს ნაკრებიაო.

აღსანიშნავია ისიც, რომ მატჩის საუკეთესო მოთამაშედ წაგებული გუნდის მორაგბე, მამუკა გორგოძე დაასახელეს. ეს გასაკვირიც არ იყო — გულივერამ თავდაუზოგავად იბრძოლა მოედანზე და ამასთან სადაც ნაკრებს დასჭირდა, იქ იდგა — გორგოძემ 7, 8 და 11 ნომრების პოზიციებზა ითამაშა.

საქართველოს ნაკრები მომდევნო შეხვედრას 28 სექტემბერს, რუმინეთის ეროვნულ გუნდთან, პემერსთონში გამართავს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## მარსაგიშვილმა დიდებში ბრინჯაოთი გადაინაცვლა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

დათო მარსაგიშვილი ჩემპიონატში პირდაპირ მეორე წრიდან ჩაერთო და საბერძნეთის სახელით მოჭიდავე ემზარ ბედინეიშვილს ორ პერიოდში მოუგო. ასევე ორ პერიოდში აჯობა რუმინელ გეორგიტა სტეფანსაც. მეოთხედფინალში კი უკრაინის სახელით მოჭიდავე იბრაგიმ ალდატოვთან სამპერიოდიან შეხვედრაში დამარცხდა და მას შემდეგ, რაც ალდატოვი ფინალში გავიდა, რეპეშაჟში გადაერთო. ბრინჯაოს გზაზე მარსაგიშვილმა ორი ადვილი გამარჯვება მოიპოვა — ბელარუს ამარჰადი მაჰამედაუსთან და ლატვიელ არმანდს ზვირბულისთან.

ზარქუა პირველსავე წრეში პუერტორიკოელ ფრანკლინ გომეს მატოსთან დამარცხდა, მაგრამ მატოსმა ფინალამდე გააღწია და ქართველს დამამშვიდებელი ეტაპის გზა გაუხსნა. ჩრდილოკორეელი იონგ მიონგ ლის, სამხრეთკორეელი სეუნგ-ჩულ ლისა და აზერბაიჯანელი ზელიმხან ჰუსეინოვის ძლევის შემდეგ ზარქუა „ბრინჯაოს ფინალში“ გავიდა და ოლიმპიური ლიცენზია გაინაღდა. მედლისთვის ბრძოლა კი ყაზახ დაურენ ჟუმაგაზიევთან დათმო.

## სკანვორდი



1. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 2. რასაც საათი გვიჩვენებს; 3. აჩრდილი; 4. მსხვერპლად შესაწირავი; 5. წონის ერთეული; 6. ... ბრეგვაძე; 7. ჩალის მაგარი ქუდი; 8. სუბტროპიკული მცენარე; 9. მექსიკური არაყი; 10. ცეცხლის ანადენი; 11. სანელებელი; 12. სახელმწიფო ჩრდილოეთ ამერიკაში; 13. ერთგვარი დივანი; 14. ბერძნული ანბანის ასო; 15. ზღვის „კომბოსტო“; 16. ... როლანი; 17. უეცარი შიში; 18. გაუტკივარება; 19. იაპონური თეატრი; 20. დედმამიშვილი; 21. ბეთჰოვენის სონატა; 22. ქალაქი ბელგიაში; 23. საკლასო ოთახის ატრიბუტი; 24. იუპიტერის თანამგზავრი; 25. წილი საერთო ბიზნესში; 26. ... ღუნია; 27. სიმებიანი საკრავი; 28. მარადმწვანე მაღალი ბუჩქი; 29. საიზოლაციო მასალა; 30. სიკვდილის მომავლინებელი მითიური ღმერთი; 31. „კენტავრის“ ავტორი; 32. ივლისი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „პეჟო“; 2. „აია“; 3. კანონირი; 4. რა; 5. ჩანტლაძე; 6. ჰიტი; 7. როლექსი; 10. ლეკი; 11. ბუდაპეშტი; 12. ჯაბახანა; 13. ქერი; 16. ნატვრა; 18. კაპრონი; 19. ხმიადი; 21. დიქტი; 24. რკინა.

**თარაზულად:** 1. „პუბლიკა“; 3. „კაჰორი“; 8. კაზინო; 9. ჟოლო; 14. სკოლა; 15. ჯეჯილი; 17. ბილი; 20. რაპიდი; 22. ძმარი; 23. მოხერი; 25. მზე; 26. ვაცი; 27. ბრნო; 28. ინსტიტუტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შაჰი; 2. ოდა; 3. ჩოჩიშვილი; 4. აჯიკა; 5. ჰორაციო; 8. ნიჭი; 9. იაგუნდი; 10. ბაიადერა; 12. პრუსია; 13. გრაფი; 15. იჯარა.

**თარაზულად:** 1. „შავლეგო“; 6. სოლფეჯიო; 7. „ჰონდა“; 10. ბრიჯი; 11. აჭარა; 13. „გაუდა“; 14. „ელისო“; 16. სოდა; 17. იურმალა; 18. არმანი.

## ბერლინის პოლიცია ტყიდან მოსული მოზარდის ვინაობის დადგენას ცდილობს

ბერლინის პოლიციამ ქალაქში გამოჩენილი მოზარდის ვინაობის დასადგენად, რომელიც ამტკიცებს, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ტყეში ცხოვრობდა, ინტერპოლს მიმართა.

17 წლის ახალგაზრდა ინგლისურად ლაპარაკობს და ცოტა გერმანულიც იცის.

საკუთარ თავს იგი რეის უწოდებს. პოლიციის ხელში იგი სექტემბრის დასაწყისში მოხვდა, როდესაც ახალგაზრდობის დახმარების ცენტრს მიმართა.

მისი თქმით, ასე ხუთი წლის წინ, დედის გარდაცვალების შემდეგ მამასთან ერთად ტყეში წავიდა, სადაც კარვებში და მიწურებში ათევდა ღამეს.

მიმდინარე წლის აგვისტოში მამამისიც გარდაიცვალა. კომპასის დახმარებით რეი ჩრდილოეთისაკენ გაემართა და ბერლინს მიადგა.

მოზარდი ვერ ახერხებს განმარტოს, თუ საიდან არის წარმოშობით მისი ოჯახი და სად ცხოვრობდა მანამდე.

ასევე გაურკვეველია, თუ სად მდებარეობს ის ტყე, რომლის შესახებაც რეი ლაპარაკობდა.

მისი ვინაობის დადგენის მიზნით ბრიტანეთის პოლიციამ ინტერპოლის საშუალებით ევროპის ყველა ქვეყანას მიმართა.

სამედიცინო შემოწმებამ ახალგაზრდის ჯანმრთელობის მდგომარეობის რაიმე გადახრა ვერ აღმოაჩინა.

პოლიციას არ მიაჩნია, რომ რეი რაიმე დანაშაულშია გარეული.

გ.თ.

## საქართველოს ეპარქიები ქველმოქმედებაში ჩაერთვებიან

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ბავშვებს, აცნობენ მართლმადიდებლობის მადლსა და ძალას. მეც მომინათლავს მიუსაფარი ბავშვი. მათ გარეშე არაფერს ვაკეთებთ. სასულიერო პირები ყოველთვის ჩუქნიან ბავშვებს პატარ-პატარა საჩუქრებს — ხატებს, ფსალმუნებს და ასე შემდეგ. ჩვენი მიზანია, თუნდაც ერთი დღით ამ ბავშვებს დავავიწყოთ თავიანთი ტკივილი და თავი ბედნიერად იგრძნონ. ჩვეულებრივი ბავშვებიც დაგვყავს, მაგრამ ოჯახში ბავშვს მშობელი ასწავლის სიკეთისა და ბოროტების გარჩევას, მიუსაფარი ბავშვი კი ამ ყველაფერს მოკლებულია, ამიტომ მიუსაფარ ბავშვში უფრო მეტი საფრთხეა, რომ ცუდ პიროვნებად არ ჩამოყალიბდეს, მათზე ყველამ უნდა იზრუნოს. როდესაც ერთად მიგვყავს მიუსაფარი და არამიუსაფარი ბავშვები, ისინი ერთმანეთთან ინტეგრირებას განიცდიან და მეგობრდებიან. წაგვიყვანია 50 ბავშვიც და 200-ც. გააჩნია ფინანსურ მხარეს. ჩვენს აქციებში არც ბავშვების ასაკს აქვს მნიშვნელობა. 5 წლის ბავშვიც წაგვიყვანია და 15 წლისაც. ინვალიდ ბავშვებთან შეხება არ გვქონია, უსინათლო ბავშვებთან გვქონდა ურთიერთობა, მაგრამ ძირითადად მიუსაფარ ბავშვებს ვეხმარებით. ბოლოს ბავშვები ნიქოზსა და ბორჯომში გვყავდა. მაშინ ნიქოზში ეთნიკური უმცირესობის ბავშვები ჩავიყვანეთ. ჩვენ ამით სხვებს დავანახვეთ — თქვენ რომ ანგრევთ, ჩვენ ვაშენებთ. ბორჯომში რომ ვიყავით, მეუფე სერაფიმემ საუცხოო ტრაპეზი მოუწყო ბავშვებს. იმდენად მოსწონთ მათ ასეთი ექსკურსიები, ხშირად რაღაც ხელობის მიმართ ინტერესი გამოუმჟღავნებიათ და ნიჭიც. ჩვენი აქციების ფარგლებში პატარები ტაძარში ხშირად დადიან, წირვას ესწრებიან. როცა ბავშვი თავიდანვე სასულიერო პირებთან ურთიერთობს, სწორ გზას ადგას. მომავალში ის ცუდ არჩევანს არ გააკეთებს. როგორც შემოსავალი გვიჩნდება, მაშინვე მიმყავს ბავშვები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. მათ შორის ეთნიკური წარმომავლობის ბავშვებიც არიან. მინდოდა, სკოლის ექსკურსიებშიც ჩამერთო ეს ბავშვებიც, რომ სკოლის ბავშვებს ცოტა მეტი თანხა დაედოთ და მიუსაფარი ბავშვებიც წაეყვანათ. ამიყვანია უბნიდან ბავშვები, რომლებიც სულ ქუჩაში დგანან და თვალში მხვდებიან. ხშირად მქონია ამაზე კამათი, ვთიქრობ, არ უნდა გაშუქდეს ასეთი ქველმოქმედება ტელევიზიებით და არ უნდა ილაპარაკო, ვაიმე, ნახეთ, რა კარგი ადამიანი ვარო, მაგრამ, როცა სპონსორი გყავს, ის აუცილებლად უნდა გაშუქდეს, ამიტომაც გადის ხოლმე სიუჟეტები ჩვენს აქციებზე.

**— მიუსაფარი ბავშვებიც ამიტომ გადაიღეთ ეთერ კაკულიას კლიპში?**

— მინდოდა მათი წარმოჩენა. კარგი იქნება, სხვებიც თუ გაითვალისწინებენ და თავიანთი ბიძაშვილებისა და დეიდაშვილების გადაღებას თავს დაანებებენ. შეიძლება, მათში ვინმემ კარგი მსახიობი ან მომღერალი აღმოაჩინოს. ჩვენ კლიპებში მათ ყოველთვის გადავიღებთ და ეპიზოდურ როლებში ვათამაშებთ.

## იტალიის პრემიერის „სექს სკანდალი“ ღვივდება



იტალიურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს სატელეფონო საუბრების შინაარსი, სადაც პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი ტრაბახობს, რომ მისი საძინებლის კართან მასთან ინტიმური კავშირის მოლოდინში 11 ქალი იცდიდა.

სატელეფონო საუბარში პრემიერ-მინისტრი ბიზნესმენ ჯანპაოლო ტარანტინისთან საუბრობს, რომელიც, იტალიელი პროკურორების აზრით, მაღალი რანგის კლიენტებისათვის მეძავების ქსელის ორგანიზებაში არის გარეული.

სილვიო ბერლუსკონის მეძავებით მომარაგებაში სულ რვა ადამიანი არის ბრალდებული.

პრემიერ-მინისტრისათვის ბრალდებები არ წაუყენებიათ. თავად ბერლუსკონი ამტკიცებს, რომ არ იცოდა, თუ რას საქმიანობდნენ ეს ადამიანები.

სატელეფონო საუბრების შინაარსის გამოქვეყნებამ პრემიერ-მინისტრის მისამართით კრიტიკის ახალი ტალღა ააგორა. პრემიერ-მინისტრი იტალიაში ისედაც არ არის პოპულარული, რადგან ევროზონის კრიზისისაგან იტალიის ეკონომიკის დაცვას ვერ ახერხებს.

ქალაქ ბარის პროკურატურის თანახმად, რვა ეჭვმიტანილი სილვიო ბერლუსკონის მეძავებით სარფიანი კონტრაქტებისა და თანამდებობების იმედით ამარაგებდნენ.

ბრალდებები მათ ხუთშაბათს წაუყენეს, პარასკევს კი იტალიურმა გაზეთებმა ამ საქმეში გარეული რამდენიმე ქალის ფოტო გამოაქვეყნეს.

შაბათის გაზეთებმა კი სატელეფონო საუბრების შინაარსი გამოაქვეყნეს. ერთ-ერთ მათგანში, რომელიც 2009 წლის 1 იანვრით არის დათარიღებული, ბერლუსკონი ტარანტინის ეუბნება, რომ მისი საწოლი ოთახის კართან 11 ქალი იცდიდა, მაგრამ მათგან მხოლოდ 6 „გააიმასქნა?, რადგან „ყველას ვერ ეყოფოდა“.

სხვა საუბარში იგი საკუთარ თავს „შეთავსებით პრემიერ-მინისტრს“ უწოდებს.

პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატები სატელეფონო საუბარში მოხსენიებული ერთ-ერთი შემთხვევის, კერძოდ, ბერლუსკონის წვეულებებზე ქალების გადასაყვანა სახელმწიფო თვითმფრინავის გამოყენების ფაქტის გამოძიებას მოითხოვენ.

ტარანტინი ამჟამად ნეაპოლშია დაკავებული გამოძალვის საქმესთან დაკავშირებით. იგი ბერლუსკონისაგან ბარის გამომძიებლებისათვის ცრუ ჩვენების მიცემის სანაცვლოდ 800 ათას ევროს მოითხოვდა.

პროკურორების ვარაუდით, 2008-2009 წლებში ტარანტინი სილვიო ბერლუსკონის წვეულებებისათვის მეძავებს, არასრულწლოვან და ახალგაზრდა გოგონებს ქირაობდა.

ბრალდებები აქვს წაყენებული აგრეთვე წაყენებული გერმანელ მსახიობ საბინა ბეგანს, რომელიც „დედა ფუტკრის“ მეტსახელით არის ცნობილი.

ბერლუსკონი ამტკიცებს, რომ თავის ვილებში იგი ორგიებს კი არა, ჩვეულებრივ, მეგობრულ წვეულებებს მართავდა.

გ.თ.

## ბარაქ ობამა მდიდარი ამერიკელების დაბეგვრას აპირებს



აშშ-ის პრეზიდენტი ბარაქ ობამა ამერიკის ყველაზე მდიდარი მოქალაქეებისათვის, ვისი წლიური შემოსავალიც 1 მილიონ დოლარს აღემატება, გადასახადის გაზრდას აპირებს.

ამგვარად ბარაქ ობამა განსხვავებული შემოსავლის მქონე მოქალაქეებისათვის დაბეგვრის გათანასწორებას ცდილობს.

მანამდე ადმინისტრაციამ კონგრესს წარუდგინა კანონპროექტი, რომელიც ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ითვალისწინებდა. ამისათვის საჭირო 447 მილიარდი დოლარის შოვნა პრეზიდენტმა სწორედ მდიდარი ამერიკელების დაბეგვრის ხარჯზე გადაწყვიტა.

მოსალოდნელია, რომ ბარაქ ობამა თავისი გეგმის დეტალებს 19 სექტემბერს გამოაქვეყნებს. ამ დღეს იგი ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების გეგმების გამოქვეყნებას აპირებს. როგორც ვარაუდობენ, ბარაქ ობამას დაბეგვრის წინადადება „ბაფეტის წესის“ სახელწოდებით იქნება ცნობილი, ცნობილი მილიარდერისა და ინვესტორის, უორენ ბაფეტის სახელის მიხედვით.

ბაფეტის აზრით, არსებული კანონმდებლობა მდიდრებისათვის „ხვრელს“ ტოვებს და ისინი სხვებთან შედარებით ნაკლებ გადასახადებს იხდიან.

ეს ასე იმიტომ ხდება, რომ ინვესტიციების შემოსავალი უფრო ნაკლებად იბეგრება, ვიდრე ხელფასი.

ობამას წინადადებამ სავარაუდოდ კონგრესში მძაფრი დაპირისპირება შეიძლება გამოიწვიოს. რესპუბლიკელებმა უკვე განაცხადეს, რომ გადასახადების გაზრდის ნებისმიერი წინადადების წინააღმდეგ გაილაშქრებენ.

აშშ-ში უმუშევრობის დონე კვლავინდებურად საკმაოდ მაღალია და 9%-ს აღემატება. მიმდინარე წლის ბოლომდე უმუშევრობის შემცირება თუ ვერ მოხერხდა, ბარაქ ობამას პრეზიდენტად მეორედ არჩევის იმედი არ უნდა ჰქონდეს.

## ფინეთში ტერორიზმში ეჭვმიტანილები დააკავეს




ფინეთის პოლიციის ინფორმაციით, დაკავებულია ტერორიზმში ეჭვმიტანილი ორი პიროვნება.

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების თქმით, დაკავებულები ტერორისტული საქმიანობისა და მისი ფინანსირებისათვის ჯგუფის ჩამოყალიბებაში არიან გარეული. ეჭვმიტანილები 7 სექტემბერს დააკავეს.

ფინეთისათვის ეს ამ სახის პირველი საქმეა.

ფინეთის პოლიციის ინფორმაციით, ჰელსინკში და მიმდებარე რაიონებში რამდენიმე საცხოვრებელი სახლის გაჩხრეკის შემდეგ პოლიციამ ეჭვმიტანილები დააკავა.

ხელისუფლები ვარაუდობენ, რომ გამოძიებას დიდი დრო შეიძლება დასჭირდეს, მაგრამ ჯერჯერობით რაიმე დეტალს შესახებ არაფერი უთქვამთ.

ასევე ცნობილი არ არის დაკავებულთა ასაკი და ეროვნება.

## პოლ მაკარტნი ცოლს ირთავს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მარტში ზედმეტი აურზაურის გარეშე იქორწინა ლინდა ისტმენთან და მასთან 1998 წლამდე ბედნიერად ცხოვრობდა.

ლინდა მაკარტნი კიბოთი გარდაიცვალა.

გასულ წელს პოლის და ლინდას უფროსმა ქალიშვილმა მერიმ, ამჟამად ცნობილმა ფოტოხელოვანმა, ქორწინების რეგისტრირებისათვის ასევე მერილბოუნ როუდის ბურო აირჩია.

ნენსი შეველი და პოლ მაკარტნი ერთმანეთს 4 წელია ხვდებოდა. შეველი 51 წლისაა. 20 წლის განმავლობაში იგი ამერიკელი ადვოკატისა და პოლიტიკოსის ბრიუს ბლეიქმანის ცოლი იყო.

იგი ნიუ ორკის შტატის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს დირექტორთთ საბჭოს წევრია. აგრეთვე საოჯახო სატრანსპორტო კონგლომერატის ვიცე პრეზიდენტია.

ამჟამად მისი თაყვანისმცემლები ერთდროულად ორ სასიამოვნო სიახლეს ელოდებიან — პოლ მაკარტნის მესამე ქორწინებას და მისი პირველი ბალეტის „ოუშნს ქინგდომის“ პრემიერას, რომელიც მომავალ კვირას ნიუ იორკშია დაგეგმილი.

გ.თ.

## სამგლოვიარო განცხადებები



გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ადამიანი, საპატიო პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს განათლების, მეცნიერებათა და საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ღირსების ორდენისა და მრავალი სამეცნიერო პრემიის მფლობელი

**მამია გრიგოლის ძე ყოლბაია**

ღრმა მწუხარებით იუწყებიან და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს ჯემალ, ვახტანგ, თამაზ, მურმან, ოთარ, ჯუმბერ, ზურაბ, რამინ და ოთარ ყოლბაიები.

თბილისის პირველი ვაჟთა საშუალო სკოლის 1954 წლის სკოლადამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თანაკლასელის

**მერაბ გამყრელიძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 19 სექტემბერი**

**07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **13.30** მხ.ფ.**"ოჯახური გეგმა"** **15.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **17.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **17.30** სილამაზის ფორმულა **18.00** მედ-ინფო **19.05** დოკ.ფ."შერლოკ ჰოლმსი" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **22.00** აუდიტორია **23.00** საფეხბურთო მიმოხილვა **00.00** ღამის საუბრები **01.00** მხ. ფ.**"მაგარი ბიჭები ვარ ცეკვავენ"** (18) **03.00** მოამბე **03.20** ცხოვრება მშვენიერია **04.20** საფეხბურთო მიმოხილვა

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** საბ. ფილმი "ჩარეცხილი" **10.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.30, 17.45, 23.30** ბრიფინგის დროით **16.00, 19.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **20.00** მხ. ფილმი **"ალისი"** **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** სერ. **"ზიანი"** **02.00** მხ. ფილმი **"დენის და ლორის დებატები"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმნდობდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** იღბლიანი ბორბალი (გან.) **17.00** სერ. **"ავრორა"** **18.45** სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** **19.45** სერ.**"სახლი მეზობლად"** **22.00** ჯეოსტარი **23.30** მხ. ფილმი **00.00** შუა დღე **01.00** პატრული **01.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **11.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. **"ეჰ მეგობრებო"** **1**-ლი ს. **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **23.50** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **01.15** მხ. ფილმი **"კეთილი ჯონი"** (ა. საიფრიდი) (სუბტ.) **03.25** მხ. ფილმი **"სამართლიანობისთვის მებრძოლი"** (**12**) (ს. სიგალი) (სუბტ.) **05.15** მხ. ფილმი **"მტრის საწოლში"** (**12**) (ჯ. რობერტსი) (სუბტ.)

**08.00** მხ. ფილმი **10.00** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **11.00** ანიმაცია "არგაი" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ.**"დაკარგული ქვეყანა"** **13.00** მხ. ფილმი **15.30** პულსი **16.00** გადაცემა "გუნდი" **17.10** სერ. **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ელიზა 2"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.40** სერ. **"სოფია, ცოტა მადროვე"** **10.30** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. **"კეთილშობილი თაღლითები"** **12.50, 19.35** სერ. **"დაშნების დედოფალი"** **15.15** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **23.00** სახლი ბათუმში **00.30** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** 08.30 განთიადი **10.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.10** მხ. ფილმი **"პასტორალი"** **12.30** კონცერტი – ქართული მუსიკის საღამო **15.25** სპექტაკლი **"დაკრძალვა კალიფორნიაში"** **16.55** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.25** საუბრები შ. ნადირაშვილთან **18.15** **100** ქართული ხალხური სიმღერა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი **"ჩაკლული სული"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** საღვთისმეტყველო საუბრები **22.20** დოკ. ფილმი "ჩარლი ჩაპლინი" **22.40** ერთსულოვანი ოჯახი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "იალაღობა აჭარაში" **00.30** განთიადის სტუმარი

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**18 სექტემბერი**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,641 |
| ევრო | 2,3815 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,7208 |
| რუსული რუბლი | 0,057 |

**ამინდის პროგნოზი 18 სექტემბრისთვის**

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 22-25, ღამით — 15-16

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 25-39, ღამით — 17-18

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 1§-29, ღამით — 4-8







# მარსაგიშვილმა დიდებში ბრინჯაოთი გადაინაცვლა

**სტამბოლში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე თავისუფალი სტილით ჭიდაობაში შვიდი წონითი კატეგორიიდან ოთხში უკვე ჩემპიონ-პრიზიორები გამოვლინდნენ. საქართველოს ნაკრების ანგარიშზე კი ერთადერთი მედალია — 84 კილოგრამში მოჭიდავე დათო მარსაგიშვილმა ევროპირველობაზე მოგებულ ვერცხლს მსოფლიოს ბრინჯაო მიამატა და შესაბამისად, ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიაც გაინაღდა.**



ოლიმპიური საგზური მოიპოვა მალხაზ ზარქუამაც (60 კგ) მიიღო, რომელმაც რეპეშაჟის ფინალში წააგო და მსოფლიოს ჩემპიონატი მეხუთე ადგილით დაასრულა. ქართული შვიდეულის ყველაზე ტიტულოვანი წევრი, გიორგი გოგშელიძე (96 კგ) კი პირველსავე წრეში დამარცხდა, ყაზახეთის სახელით მოჭიდავე ტაიმურაზ ტიგიევთან.

ტიგიევთან ჩვენებური პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე დამარცხდა და რევანშის აღება ამჯერადაც ვერ შეძლო. სამპერიოდიანი დაძაბული შეხვედრის შემდეგ მეთექვსმეტედფინალში ტიგიევი გავიდა. ცოტა ხანში მან ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი, რუსი ჰაჯიმურატ გაცალოვიც გამოთიშა ოქრო-ვერცხლისთვის ბრძოლას, მაგრამ ნახევარფინალში, თურქ სერჰატ ბალჩისთან წააგო და გოგშელიძეს ბრინჯაოსკენ მიმავალი გზაც გადაუკეტა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ასტროპროგნოზი

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

<u>წარმატებული დღეა</u>

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით სიურპრიზი. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — ფულის პრობლემა არ გაქვთ, ახალ სამსახურს შოულობთ. **ლომი** — საღამოს ამბავი ძალიან გაგახარებთ. **ქალწული** — გზიდან ფულს მიიღებთ, შეიძლება ვილაც ჩამოვიდეს. **სასწორი** — ფიქრებში ხართ, არ ინერვიულოთ. **ღრიანკალი** — მშვენიერი დღეა, დაჯილდოვდებით. **მშვილდოსანი** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამაზე. **თხის რქა** — თქვენი საქმე წინ მიდის, დაწინაურება გელით. **მერწყული** — დიდი ბედნიერება გელით, მოემზადეთ! **თევზები** — ნუ გაექცევით პასუხისმგებლობას, არ იზარმაცოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ა

**თარაზულად:** 1. მაგარმერქნიანი ხე; 4. ზღაპრული ცეცხლისმფრქვეველი მფრინავი გველი; 7. სწრაფი ტემპი მუსიკაში; 9. ძველი ქართული სანახაობების მონაწილე; 11. თვალსაზრისი; 12. შემოდგომის თვე; 13. როგორიც ..., ისეთია ჩალხანა; 17. ბეწვმოვლებული ქალის ზედა ჩასაცმელი; 18. საინფორმაციო ღრუ; 19. კლავიშებიანი საკრავი; 20. ორკესტრის ხელმძღვანელი.

**შვეულად:** 1. მეფე „აბესალომ და ეთერიდან“; 2. ტყის „მშვენება“; 3. სისხლის შენადედი; 5. მოულოდნელი კომისია; 6. თეთრი კრისტალური ნივთიერება მძაფრი სუნით; 8. შტატი აშშ-ში; 10. ზუსტი ნიმუში; 12. ბამბის მკვრივი ქსოვილი; 14. ყურძნის კრეფა; 15. მტაცებელი ფრინველი; 16. სპორტის სახეობა.

შეადგინა ოლივერ კოხიამ




# პოლ მაკარტნი ცოლს ირთავს




ცნობილმა ბრიტანელმა მუსიკოსმა, კომპოზიტორმა და სიმღერების ავტორმა პოლ მაკარტნიმ ქორწინების რეგისტრირება ლონდონში მერილბოუნ-როუდზე მდებარე იმავე საქორწინო ბიუროში გადაწყვიტა, სადაც თავის დროზე პირველ ცოლთან, ლინდასთან იქორწინა.

69 წლის მუსიკოსმა, ვისაც ბრიტანელები სიყვარულით „მაკას“ უწოდებენ, ბრიტანელ ბიზნესმენ ნენსი შეველზე ნიშნობის შესახებ მიმდინარე წლის მაისში გამოაცხადა. ცოტა ხნის წინ წყვილმა ქორწინების რეგისტრაციის განცხადება მოქალაქო მდგომარეობის რეგისტრირების მერილბოუნდ როუდის ბიუროში წარადგინა. ეს ბიურო მადამ ტიუსოს მუზეუმისა და პლანეტარიუმის გვერდით მდებარეობს.

პოლ მაკარტნისა და ნენსი შეველის ქორწინების თარიღი ცნობილი არ არის, თუმცა, კანონის თანახმად, წყვილს განცხადების წარდგენიდან 16 დღის შემდეგ შეუძლია ქორწინება. საქორწინო განცხადებაში პოლ მაკარტნი სრული სახელით, პოლ ჯეიმს მაკარტნით არის მოხსენიებული, პროფესიის გრაფაში კი „ხელმძღვანელი მუშაკი“ უწერია.

დოკუმენტების თანახმად, მაკარტნის საცოლე ლონდონში, მის სახლში გადავიდა.

საქორწინო ბიუროს გამგის, ალისონ კატკარტის თქმით, იგი მოხარულია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენისათვის პოლმა და ნენსიმ მერილბოუნის მაგისტრატურა აირჩიეს. ამ ბიუროში პოლ მაკარტნიმ, მაშინ ჯერ კიდევ ანსამბლ „ბითლზის“ წევრმა 1969 წლის

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# იუმორი



* * *

— ექიმო, თქვენი ვაშლის დიეტა არ მშველის, წონაში ვერ ვიკლებ.
— ვაშლებს რეცხავთ?
— დიახ.
— სცადეთ, არ გარეცხოთ...

* * *

— ფსიქიატრიულებში ნაპოლეონებს ვეღარ ნახავთ — დღევანდელმა გიჟებმა უბრალოდ არ იციან, ვინ იყო იგი...

* * *

— სახლის დალაგების დროს აუცილებლად იპოვით სრულიად უსარგებლო ნივთს, რომლის გადაგდებაც დაგენანებათ...

* * *

— მამაკაცმა მხოლოდ სამი სიტყვა უნდა იცოდეს — „მიყვარხარ“, „გიყიდი“, „გამომყევი“...

* * *

— ლამარას ცოლად მოყვანა არ მინდოდა, მაგრამ მამამისმა და მისმა სამმა ძმამ დამითანხმეს...

* * *

— რატომ უყვიროდი გუშინ ცოლს?
— არ მეუბნებოდა, სად დახარჯა ფული.
— დღეს რაღატომ უყვიროდი?
— დღეს მითხრა...

# ტესტი

## მიამიტი ხართ თუ ეშმაკი

**ტესტის შეკითხვებს დადებითი ან უარყოფითი პასუხები გაეცით**



1. როდესაც რაიმე უსიამოვნოს თქმა გსურთ, უფიქრდებით თუ არა იმას, რომ მოსაუბრეს შეიძლება ეწყინოს?
2. როდესაც სკოლაში, ან სამსახურში იგვიანებთ, ცდილობთ თუ არა ისე შესვლას, რომ არავინ შეგნიშნოთ?
3. თუ სთხოვთ ამხანაგს, გააკეთოს თქვენს მაგივრად ის, რისი გაკეთებაც თავად გეშინიათ?
4. მიგაჩნიათ თუ არა, რომ თამაშის დროს სჯობს წააგო, ვიდრე ეშმაკობით გაიმარჯვო.
5. როდესაც ვინმეს გამასხარავებას ცდილობთ, მაშინვე თუ ხვდება ყველა, ვისი ოინებიცაა?
6. შეგიძლიათ თუ არა თქვათ აშკარა ტყუილი, რათა ადამიანი აალაპარაკოთ და რამე დააცდენინოთ?
7. შეგიძლიათ (შეგეძლოთ) თუ არა სკოლაში მეზობლისაგან ისე გადაგეწერათ, რომ ვერ დაენახა?
8. ყოველთვის თუ ახერხებთ იმის მიღებას, რაც ძალიან გინდათ
9. შეგიძლიათ თუ არა ისე იეშმაკოთ, რომ ვერავინ შეიტყოს?

**პასუხები**

**0-3 ქულა:** თქვენ ძალიან ეშმაკი ხართ, არ არსებობს რამე, რასაც ვერ მიაღწიოთ. მაგრამ ამდენი ეშმაკობის გამო ადამიანებთან ურთიერთობაში არაგულწრფელი ხართ.

**4-6 ქულა:** თქვენ ჭკვიანი ხართ, მოტყუებით ვერავინ მოგატყუებთ და არც თქვენ გიყვართ ტყუილები.

**7-9 ქულა:** თქვენ, სამწუხაროდ, ძალიან მიამიტი ხართ, ადვილია თქვენი შეცდომაში შეყვანა, ხშირად დაბნეული დადიხართ და ახლობლების ოხუნჯობის საგანი ხდებით.

გ. თ.